

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

(47.93)06

2-42

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

1.1985

გაფ. N 15 ტიპი 3 000 000

36

(47.93)06	252342
მ-42	[მაცნე] ეკონომიკა
	და სამართლის სერია
	1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, № 1

87
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР


147.93/06

242

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

252342
СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА


ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



1985 N1

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ



სარედაქციო კოლეჯი: ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, პ. გუგუშვილი, გ. თოღუა, თ. ლილუაშვილი, ი. მიქელაძე, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავეულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкrellidze О. К., Гвелесиანი М. И., Гугушвили П. В., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Микеладзе И. С., Надареишвили Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия



„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 ტელეფონი

გადაეცა წარმოებას 5.3.84; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.07.85; შეკვ. № 587; ანაწყოების
ზომა 77×111/2; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.2; უე 05296; ტირაჟი 1109;

ფანი 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

აკონოიკა

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ	5
მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი	6
სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	7
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო	9
მ. კორტავა, მეორადი მატერიალური რესურსების ეკონომიკური არსი და მისი განსაზღვრის აქტუალობა	11
3. ბურდული, ქალაქის ეკონომიკის მართვის სრულყოფა	18
მ. მუხომბიძე, ზ. ჯორჯანიძე, საერთო სახალხო საკუთრება და სოციალისტური წარმოების კოლექტივისტური ხასიათი	28
ლ. ლაშინაძე, აგრარული რეფორმის ინტეგრაციის ბაზაზე ცენტრების წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები	31
ზ. ზურაბიშვილი, შემხვედრი გეგმა და სოციალისტური შეჯიბრება	40
რ. სარაშვილი, ეკონომიკურ ამოცანათა მათემატიკური უზრუნველყოფის საკითხები	47
3. ზაფხაძე, შრომის მატერიალური სტიმულირების სისტემური ანალიზი მური ანალიზი	56
ა. ჩოგოვაძე, სპილენძ-პოლიმეტალური მრეწველობა საბჭოთა მდელ საქართველოში (1863—1920 წ.).	68
6. არაბაძე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის ზრდის სტრუქტურული რეზერვები საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში	80
რ. გიგინიაშვილი, სტრუქტურული ძვრების ზეგავლენის შეფასება რეგიონალური წარმოების ეფექტიანობაზე	88

სამართალი

რ. ჯვარცხავა, ნ. ლაშინაძე, არასრულწლოვანი დამნაშავეის სოციალურ განწყობათა სტრუქტურის საკითხისათვის	94
მ. გომიანიძე, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შედარებითი შესწავლის გამოცდილება ქალაქ თბილისის რაიონების მიხედვით	105
ბ. ზომიძე, გარიგების ბათილობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ცნება	109

რეპეზიტი, პოლიტიკა, ინფორმაცია, პრობლემა

ეკონომიკური თეორიის აქტუალური პრობლემის საინტერესო გამოკვლევა	114
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

Информационное сообщение о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза	5
Михаил Сергеевич Горбачев	6
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу	7
Константин Устинович Черненко	9
КОРТАВА М. В. Экономическая сущность вторичных материальных ресурсов и актуальность ее определения	11
БУРДУЛИ В. Ш. Совершенствование управления экономикой города	18
МЕКВАБИШВИЛИ Э. Г., ДЖОРБЕНАДЗЕ З. И. Общепародная собственность и коллективистский характер социалистического производства	28
ДАТУНАШВИЛИ Л. Е. Современное состояние и перспективы развития производства цитрусов и перерабатывающей промышленности на базе агропромышленной интеграции	31
ЗУРАБИШВИЛИ З. Ш. Встречное планирование и социалистическое соревнование	40
САРЧИМЕЛИЯ Р. А. Вопросы математического обеспечения экономических задач	47
ЗАДОНСКИЙ В. Г., ГАГУА Г. А. Системный анализ материального стимулирования труда	56
ЧОГОВАДЗЕ А. В. Медно-полиметаллическое производство в дореволюционной Грузии	68
АРЕВАДЗЕ Н. Г. Структурные резервы роста эффективности научно-технического прогресса в химической промышленности Грузинской ССР	80
ГИГИЛАШВИЛИ Р. Ш. Оценка влияния структурных сдвигов на эффективность регионального производства	88

ПРАВО

КВАРЦХАВА Р. Л., ДАТЕШИДЗЕ Н. А. К вопросу о структуре социальных установок у совершеннолетних преступников	94
ГОДЗИАШВИЛИ И. В. Опыт сравнительного изучения преступности несовершеннолетних по районам города Тбилиси	105
ЗОИДЗЕ Б. И. Понятие ответственности за недействительную сделку	109

РЕЦЕНЗИЯ, ПОЛЕМИКА, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Интересное исследование актуальной проблемы экономической теории	114
--	-----





საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის უახლესი

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი განხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ან. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაცვალება გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამედვერული მებრძოლი კომუნისტის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეაღწა ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამედვერულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა მოძვე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამედვერულად ხორციელდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაუღალავი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამაღებელი შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისწინებით უფროხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრული, აწყობილი და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობა მიაჩნდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდარად, განუხრელი წინსვლა-განვითარების საწინდარად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მეტდროს დაიარსებებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიბიუროს გარშემო. საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამიზნარი გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობელ-ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტიბიუროს წევრმა აშხ. ა. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად აშხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ერთსულვნად აირჩია აშხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აშხ. მ. ს. გორბაჩოვი. მან უღრმესი მადლობა მოახსენა სკკ ცენტრალური კომიტეტს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

აშხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკ ცენტრალური კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს, რათა განუზრუნავდეს ბორცვივით აღმართვას სკკ სპაროგრაფო მიითთებები, უზრუნველყოფილ იქნეს მექანიზაციების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუზრუნავდეს ბორცვივით აღმართვას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

მიხეილ სერგის ქე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოვარდისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში.

მალე 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის შემდეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან მ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პრაპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივნად.

1962 წლის მარტში მ. ს. გორბაჩოვი დააწინაურეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივნად.

მ. ს. გორბაჩოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში მ. ს. გორბაჩოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნა პოლიტიბიუროს წევრად. არის სსრ კავშირის მე-8—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის ოცსრ მე-10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომლებიც მისთვის პარტიას მიუწვდია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერგიითა და თავდადებათ, თავის ცოდნას, დიდ გამოცდილებასა და

ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინს დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული დეაწლისათვის მ. ს. გორბაჩოვი დაქილდობებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნისტების იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი ცხოვრება ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეაღია, სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თვადღებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის როგებშიც იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომკავშირული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგიდან სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერნენკოს ცხოვრების გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისავსით გამოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სკკ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმებისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების კურსი. პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, სკადრო პოლიტიკის, საბჭოების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკ მორიგი, XXVII ყრილობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად ხმარდებოდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კ. უ. ჩერნენკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულმა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

სკკ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპს, გადაჭრით უკუაგდებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული გამაღებელი შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის ადვიტისათვის, ხალხების საიმედო უზიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით სკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირდნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის

მეტეტისა და მისი პოლიტიბუროს ვარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომლები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განწარხვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირითადი ინტერესებისადმი, კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უკვადავი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრეკლად მიიბაძევს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიაჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების საფუძველზე. მთელი გულმოდგინებით სულ უფრო სრულად განხორციელებდა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრეკლად გატარდება ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცების გეზი. პარტია კვლავაც განამტკიცებს მშუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების მთელ შეთავაზობას, რაც ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური საფუძველს წარმოადგენს, განვითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზენაეს სულიერ ღირებულებებად მიიჩნედა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციითა განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრეკლად ვესწრაფვით გამაღებელი შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მონიტორინგის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად იღვწოდა და იღვწის კონსტრუქციული დიალოგისათვის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა მეშვეობითაც შემცირდება საერთაშორისო დაძაბულობა, დამპყრდნობა ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ეშუქრება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფომ კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. აი ამიტომ ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად გავაძლიერებთ სიფხიზლეს, განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით და მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულობს საერთაშორისო კომუნისტური და მშუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს.

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაზღვრო ნდობა მოაპოვებინეს. ხალხთან ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერჩენკო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეაღია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის სსოვნებაში. იგი დარჩება ჩვენი სსოვნაში როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უარესად ყურადღებანი ადამიანი.

სკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იზრუნებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას.



კონსტანტინე უსტინის კეჩიკიანი

1985 წლის 10 მარტს სამოცდაცამეტი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო. შეწუდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწის გულისცემა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკომ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მოახზარა პარტიისა და ხალხის საქმის თავდადებულ სამსახურს, ბრძოლას სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი სრულყოფისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს გლეხის ოჯახში კრასნოარსკის მხარის ნოვოსელდოვოს რაიონის სოფელ ბოლშეია ტესში. შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერენეკომ სიყრმიდანვე დაიწყო, მოკამაგრედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დეკავშირებულა ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერენეკო იყო სრულიად საქავშირო აღკვეთის კრასნოარსკის მხარის ნოვოსელდოვოს რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს იგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიას, სადაც 1931 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

არმიასი სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა კრასნოარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელდოვოს და უიარის რაიონების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოარსკის პარტიული განათლების სამსახურს სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, მდივნად.

1945 წლიდან სკკ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიორგანიზატორთა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1948 წლიდან — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1956 წელს იგი დაწინაურებს სკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგის თანამდებობაზე. 1960 წლიდან კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს იგი დაამტკიცეს სკკ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში კ. უ. ჩერენეკო სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე, 1971 წლის მარტში იგი აირჩიეს სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელზეც გაიმართა პარტიის XXV ყრილობის შემდეგ, — სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1977 წლიდან კ. უ. ჩერენეკო სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო 1978 წლიდან — სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრია.

1984 წლის 13 თებერვალს გამართულმა სკკ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა კ. უ. ჩერენეკო აირჩია სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

კ. უ. ჩერენეკო იყო სსრ კავშირის 7—11 მოწვევითა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და რუსეთის მესამე 10—11 მოწვევითა უმაღლესი საბჭოს პირველ სესიონზე კ. უ. ჩერენეკო აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მალდ პოსტებზე, რომლებზეც პარტია ანდობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკოს, მან თავი გამოიჩინა როგორც ერთგულმა და მტკიცე მარქსისტ-ლენინელმა, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის აქტიურმა მებრძოლმა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკომ, რომელსაც უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება, საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილის განვითარება-განმტკიცებისათვის.

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივნისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, სხვა გამოსვლებში კ. უ. ჩერნენკომ ყოველმხრივ დაასაბუთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — სსრ კავშირში აშენებული სოციალიზმის სრულყოფის კურსი. მის სახელთან არის დღევანდელი პარტიის მიერ შემუშავებული განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემდგომი გაღრმავება და დაკონკრეტება, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებისათვის მუშაობას.

კ. უ. ჩერნენკო დიდ ძალ-ღონესა და ყურადღებას უთმობდა მასევე პარტიის იდეურ-აღმშრდებლობითი და ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მის საკადრო პოლიტიკას, საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია კ. უ. ჩერნენკოს წვლილი სკოლის რეფორმის შემუშავებაში.

კ. უ. ჩერნენკო დიდად ზრუნავდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის, ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის. სკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოქმნილ სიტუაციაში შემდგომი განვითარება პოვა პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ, განისაზღვრა სასურსათო პროგრამის შესრულების, ხალხის ცხოვრების დონის გაზუსრელი ამაღლების აქტუალური ამოცანები.

კ. უ. ჩერნენკომ, რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს მეთაურობდა, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში კ. უ. ჩერნენკო დაუცხრომლად მუშაობდა ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, გამაღწეული შეიარაღების აღკვეცა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. ამ პოლიტიკას ერთსულლოვანდ უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

კ. უ. ჩერნენკო ყურადღებას უთმობდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობისა და შეკავშირების განვითარებასა და განმტკიცებას. იგი თანამიმდევრულად იღვწოდა მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერისათვის.

კ. უ. ჩერნენკოს ინიციატივით იყო შემუშავებული საბჭოთა კავშირის ბევრი კონსტრუქციული წინადადება, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპების დამკვიდრება.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სამღვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ოთხი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით, აგრეთვე მოძმე ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატი იყო.

კ. უ. ჩერნენკოს საბჭოთა ხალხის, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების დიდი პატივისცემა და ნდობა ჰქონდა მოპოვებული. იგი მუდამ გამოირჩეოდა გულისხმიერად და მოკიდებულებით მშრომელთა საქაროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, პრინციპულობითა და პირადი თავმდაბლობით.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მთელი ცხოვრება არის ლენინური პარტიის დიდი საქმისადმი ურყევი ერთგულების, კომუნისმის იდეალების გამარჯვებისათვის თავდადებული შრომის მკაფიო მაგალითი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში.

სკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



მიხეილ კორტავა

მეორადი მატერიალური რესურსების ეკონომიკური არსი და მისი განსაზღვრის აქტუალობა

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში კვლავწარმოების პროცესის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ეკონომიკის უმთავრესად ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანა. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ „თავისი ისტორიული მასშტაბით, მნიშვნელობითა და შედეგებით ჩვენი სახალხო მეურნეობის გადაყვანა ინტენსიური განვითარების რელსებზე სამართლიანად შეგვიძლია გავეუტოლოთ ისეთ უდიდეს გარდაქმნას, როგორც არის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, რომელმაც ძირითადად უცვალა სახე ქვეყანას“¹.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ინდუსტრიალიზაციის პერიოდთან შედარება ნათელიყოფს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის წინაშე დასახულ ამოცანებს ენიჭება. ეკონომიკის ძირითადად ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანა თვისობრივი პროგრესია საწარმოო ძალების განვითარებაში, რაც შესამჩნევად აფართოებს წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების გამოყენების შესაძლებლობებს. ეს პროცესი გარკვეულ კრიტერულ სისტემაში აისახება, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების მასშტაბურობა შეადგენს. ეს გარემოება განსაკუთრებულად წარმოაჩენს მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების სახალხო მეურნეობრივ მნიშვნელობას, ამ რესურსების ნაკლები დანახარჯებით მაღალი სახალხო მეურნეობრივი შედეგების მიღწევას.

მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების დიდმა სახალხო მეურნეობრივმა მნიშვნელობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 ივნისის დადგენილებაში „ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ“. ამ დადგენილების მიზანი რესურსების ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება და სახალხო მეურნეობის დარგში ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნაა, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური დანახარჯების ზრდის ტემპებთან შედარებით წარმოების შედეგების მატების უფრო მაღალ ტემპებს. მეორადი მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება კი საშუალებას იძლევა: დიდი რაოდენობით გამოთავისუფლდეს ტრადიციული რესურსები, მაშინ, როდესაც მათი მოპოვება სულ უფრო ძნელდება და ძვირდება; შემციირდეს კაპიტალური დაზანდებანი სანედლეულო დარგების განვითარებისათვის, რაც ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ

¹ სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 163.

უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს; შემცირდეს კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა გადაამუშავებელ მრეწველობაში, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში პროდუქციის წარმოება მეორადი მატერიალური რესურსებისაგან გაცილებით ნაკლებ სახსრებს მოითხოვს, ვიდრე ეს საჭიროა ამ პროდუქციის ტრადიციული ნედლეულისაგან წარმოებისათვის; შესუსტდეს ნედლეულის წყაროების ათვისების ტემპებზე ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულება; განხორციელდეს შრომითი რესურსების ეკონომია როგორც მომპოვებელ, ასევე გადაამუშავებელ დარგებში; მიღებულ იქნას ისეთი სახის პროდუქცია, რომლის წარმოებაც ძირითადი ნედლეულისაგან სხვადასხვა მიზეზის გამო არ არის მიზანშეწონილი; გამოთავისუფლდეს დიდი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებები; მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ნედლეულისა და მასალაში შემავალი სასარგებლო კომპონენტები; მიღებულ იქნას მაღალი ეკოლოგიური ეფექტი.

საერთოდ, მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენება სახალხო მეურნეობაში დაახლოებით ორჯერ უფრო სარგებელია, ვიდრე ძირითადი რესურსების მოპოვება². ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შესაძლებელია მალდდება ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა მათი ცენტრალიზებული დაგეგმვის ობიექტურად გადაქცევა — წამოიჭრა ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ცენტრალიზებული დაგეგმვის გარეშე შეუძლებელი ვახდა. აღნიშნულ საკითხებს, პირველ ყოვლისა, განეკუთვნება მეორადი მატერიალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების გზების განსაზღვრა და მათი მეცნიერული დასაბუთება.

ამჟამად საკავშირო და რესპუბლიკურ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებში შექმნილია სპეციალური განყოფილებები, რომლებიც მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების საკითხებს განაგებენ. 1981 წლიდან სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში, აგრეთვე საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეთა, ოლქების, ქალაქების, რაიონების, გაერთიანებათა, საწარმოების განვითარების გეგმებში შემოღებულია ახალი განყოფილება „მეორადი ნედლეულის გამოყენება“. გეგმის ამ ნაწილში განსაზღვრულია მეორადი მატერიალური რესურსების ჩაბარების, დამზადებისა და გადაამუშავების დავალებები.

ამრიგად, მეორადი მატერიალური რესურსების სულ უფრო მზარდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა მოითხოვს მათი გამოყენების ეკონომიკის საკითხების მეცნიერულ გადაწყვეტას, რისთვისაც, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ამ რესურსების ეკონომიკური არსის განსაზღვრა, რომელიც ჯერჯერობით სათანადოდ არაა შესწავლილი.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ერთიანი ტერმინოლოგიის უქონლობა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინები: „წარმოების ნარჩენები“, „მოხმარების ნარჩენები“, „მეორადი პროდუქტები“, „მეორადი ნედლეული“, „თანმდევი პროდუქტები“ განიხილება, როგორც

² В. Покровский, Научно-технические мероприятия по экономии ресурсов, «Вопросы экономики», 1982, № 8, с. 67.

„მეორადი მატერიალური რესურსების“ სრული ან ნაწილობრივი სინონიმები, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების თეორიული, თუ პრაქტიკული გადაწყვეტისას.

ეკონომისტების მიერ „წარმოების ნარჩენების“ თაობაზე ჩამოყალიბებულ კონცეფციებში, საერთო მოსაზრებების გარდა, ზოგიერთ საკითხზე ჯერ კიდევ არაა გამომუშავებული ერთიანი პოზიცია. მაგალითად, ეკონომისტთა უმრავლესობა სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ წარმოების ნარჩენების უმნიშვნელოვანეს ნიშანს მათი სასარგებლო თვისებების უაღრესად დაბალი დონე ან ამ უკანასკნელთა სრული უქონლობა წარმოადგენს (იგივე შეიძლება ითქვას მოხმარების ნარჩენებზე). ხოლო წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ავტორის აზრით, წარმოების ნარჩენები გამოიყენება, ზოგნი კი მიიჩნევენ, რომ წარმოების ნარჩენების გამოყენება შეუძლებელია. თუ წარმოების ნარჩენები გამოიყენება, ეს ნიშნავს, რომ მათ გააჩნიათ სასმარი ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი — მათ არავითარი სასმარი ღირებულება არ ექნებათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ეკონომისტი განასხვავებს ორ ისეთ ცნებას, როგორცაა „ნარჩენი“ (отход) და „ნაყარი“ (отход) და მიუთითებს, რომ ამათგან მხოლოდ პირველს გააჩნია სასმარი ღირებულება³. ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით ნარჩენის ისეთ დაყოფას, როგორცაა „გამოსაყენებელი ნარჩენი“ და „გამოუყენებელი ნარჩენი“ (ამ შემთხვევაში „ნაყარს“ გამოუყენებელ ნარჩენს მიაკუთვნებენ)⁴. ამგვარი დაყოფის კრიტერიუმსაც კვლავ სასმარი ღირებულების არსებობა წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ცნების სხვადასხვა ტერმინით გამოსახვასთან, რაც აღნიშნული პრობლემის ეკონომიკური ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლის უქონლობაზე მიუთითებს.

იგივე შეიძლება ითქვას „თანმიმდევრი პროდუქციის“ განმარტებებზე. ერთ შემთხვევაში „თანმიმდევრი პროდუქციის“ მიაკუთვნებენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ მნიშვნელობას და თვლიან, რომ ეს პროდუქცია სახალხო მეურნეობაში გამოიყენება დამატებითი დამუშავების გარეშე და, ამრიგად, ხდება მისი რეალიზაცია. მეორე შემთხვევაში კი „თანმიმდევრი პროდუქციას“ ასეთ დამოუკიდებელ ეკონომიკურ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რადგან გულისხმობენ, რომ იგი კი არ წარმოადგენს, არამედ მისგან აწარმოებენ მზა პროდუქციას, რომლის დამზადების ტექნოლოგია ძირითადი ნედლეულის დამუშავების ტექნოლოგიის განშტოებას წარმოადგენს⁵.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ურთიერთისაგან განასხვავებენ ისეთ ორ ცნებას, როგორცაა „მასალების მეორადი გამოყენება“ და „წარმოების ნარ-

³ Ю. М. Ухналевский, Экономическая эффективность использования отходов производства и пути ее повышения (на примере пищевой промышленности УССР), канд. дисс., Киев, 1971, с. 16.

⁴ Н. Д. Селитерников, Проблемы повышения эффективности сбора и использования ресурсов вторичного сырья, Докт. дисс, М., 1980, с. 47.

⁵ პ. ჩაგელიშვილი, კვების მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების პრობლემები, თბილისი, თსუ-ს გამოცემა, 1982, გვ. 5.

ჩვენების გამოყენება⁶. მათ შორის განსხვავების კრიტერიუმს საწარმოო მოხმარება წარმოადგენს. ამგვარი დიფერენციაციიდან გამომდინარე, „მეორადი ნედლეული განისაზღვრება, როგორც ნარჩენების ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გამოსაყენებელი ნარჩენების მთელი რაოდენობისა და მათი იმ ნაწილის ნაშთს, რომელიც ამ უკანასკნელის წარმოშობის ადგილზევე გამოიყენება⁷. ე. ი. მეორადი ნედლეული იგივეა, რაც სასაქონლო ნარჩენი, რაც ფაქტიურად არაფრით არ განსხვავდება ზემოთ აღნიშნული „თანმდევნი პროდუქციის“ პირველი განმარტებისაგან. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ „მასალების მეორადი გამოყენება“ ნიშნავს, როგორც მორალური და ფიზიკური ცვეთის შედეგად ხმარებიდან გასული ძველი ნაკეთობების გადამუშავებას, ისე ნარჩენების გამოყენებას⁸.

მოყვანილი განსხვავებული პოზიციების არსებობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ რიგი არსებითი საკითხები, რომლებიც მეორადი მატერიალური რესურსების ეკონომიკურ არსს ეხება, ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული.

მეორადი მატერიალური რესურსების ეკონომიკური არსის კვლევისას უნდა გამოვიდეთ კ. მარქსის დებულებიდან წარმოებისა და მოხმარების ექსკრემენტების შესახებ. კ. მარქსი წარმოებისა და მოხმარების ნარჩენებს „წარმოებისა და მოხმარების“ ექსკრემენტებს“ უწოდებს, იგი წერს: „პირველში ვგულისხმობთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებს, მეორეში — ნაწილობრივ იმ ექსკრემენტს, რომელიც ადამიანის ნივთიერებათა ცვლის შედეგს წარმოადგენს, ნაწილობრივ — იმ ფორმას, რომელსაც მოხმარების საგნები ლებულობენ მათი მოხმარების პროცესის დამთავრების შემდეგ. წარმოების, ექსკრემენტს შეადგენს ამრიგად, ქიმიურ მრეწველობაში დამატებითი თანაპროდუქტები, რომლებიც მცირე მასშტაბით წარმოების დროს იკარგება, რკინის ბურბუშელა, რომელიც მანქანების დამზადების დროს რჩება და კვლავ ნედლეულის სახით რკინის წარმოებაში შედის და სხვა⁹. ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კ. მარქსი ნარჩენებს „ეგრეთწოდებულ ნარჩენებს“¹⁰ უწოდებს.

კ. მარქსი ხელავე განსხვავებას ნარჩენსა და წარმოების იმ ახალ ელემენტს შორის, რა ფორმასაც იღებენ ნარჩენები წარმოებაში შესვლის დროს. იმისათვის, რომ ექსკრემენტი განმეორებით შევიდეს საწარმოო პროცესში, აუცილებელია გარკვეული ობიექტური პირობების არსებობა. კ. მარქსი აღნიშნავდა: „საერთოდ ამ ხელახალი გამოყენების პირობები შემდეგია: ასეთი ექსკრემენტების დიდი რაოდენობით დაგროვება, რასაც მხოლოდ იქ აქვს ადგილი, სადაც შრომა დიდი მასშტაბით წარმოებს; მანქანების გაუმჯობესება, რის გამოც ის ნივთიერებანი, რომლებიც უწინ მათი ფორმით გამოიყენებელი იყო, ისეთ სახეს იღებენ, რომელიც გამოსადეგია ახალ წარ-

⁶ Э. Ю. Локшин, Вопросы экономики материальных ресурсов в промышленности СССР, М., Политиздат, 1960, с. 277.

⁷ Н. Д. Селитерников, Проблемы повышения эффективности сбора и использования ресурсов вторичного сырья, Докт. дисс., М., 1980, с. 42.

⁸ А. Ю. Шпирт, Изменения в экономике сырья и топлива во второй мировой войне, Академия Наук СССР, 1946, с. 147.

⁹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 128.

¹⁰ იქვე, გვ. 129.

მოგებაში გამოსაყენებლად; მეცნიერების წარმატება, განსაკუთრებით ქიმიისა, რომელიც ასეთ ნარჩენთა სასარგებლო თვისებების აღმოჩენია¹¹.

ნარჩენების გამოყენებისათვის აღნიშნული აუცილებელ ობიექტურ პირობებში ეს ნარჩენები იძენენ საზოგადოებრივ სახმარ ღირებულებას და შედიან საწარმოო პროცესში, როგორც წარმოების ახალი ელემენტები. „გვევლინება ესა თუ ის სახმარი ღირებულება ნედლ მასალად, შრომის საშუალებად თუ პროდუქტებად, ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარკვეული ფუნქცია აქვს მას შრომის პროცესში, რა ადგილს იკავებს იგი მასში და ამ ადგილის შეცვლასთან ერთად იცვლება მისი აღნიშნული განსაზღვრებანიც“¹² — ამბობს მარქსი.

ამგვარად, ნარჩენები წარმოადგენენ შრომის პროდუქტების ნაწილს. მათი გამოყენების ობიექტური პირობების შექმნამდე ისინი არ წარმოადგენენ სახმარ ღირებულებას და დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა განივთებულია მხოლოდ იმ სახმარ ღირებულებაში, რომლის წარმოების დროსაც ნარჩენები წარმოიშობა. მას შემდეგ კი რაც ნარჩენი სახმარ ღირებულებად იქცევა, იმავე შრომით პროცესში საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა განივთდება როგორც „ძველ“, ასევე „ახალ“ პროდუქტში. ე. ი. ნარჩენებს არ გააჩნიათ ღირებულება, ხოლო წარმოების იმ ახალ ელემენტებს, რომელთა ფორმასაც ნარჩენები იღებენ, აქვთ ღირებულება. აღნიშნავდა რა „ეგრეთწოდებული ნარჩენის უკუგარდაქმნას მრეწველობის იმავე ან სხვა დარგის წარმოების ახალ ელემენტად“, კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „მხოლოდ როგორც კოლექტიური წარმოების და, მაშასადამე, დიდი მასშტაბის წარმოების ნარჩენი, ... რჩება საცვლელი ღირებულების მატარებლად“¹³.

რაც შეეხება „ნარჩენისა“ და ნაყარის“ განსხვავებას, უნდა აღინიშნოს, რომ კ. მარქსი მათ განიხილავდა ფაქტურად როგორც სინონიმებს¹⁴. ალბათ არც შეიძლება მათი განსხვავება, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ განსხვავების საფუძველი მხოლოდ სახმარი ღირებულების არსებობაა და თუ ნარჩენებს არ გააჩნიათ სახმარი ღირებულება, მაშინ საცვლელი სამართლიანია ამ ორი ტერმინის სინონიმებად განიხილა.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია ნარჩენების ორ სახედ დაყოფა: „წარმოების ნარჩენები“ და „მოხმარების ნარჩენები“ თუმცა არსებობს სხვა კლასიფიკაციაც, მაგალითად, ნარჩენების დაყოფა ოთხ სახედ. ჩამოთვლილი ორი სახის გარდა, აქ ფიგურირებენ „მიმოქცევის ნარჩენები“ და „ბუნების ნარჩენები“¹⁵. რაც შეეხება ბუნების ნარჩენებს, კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ნივთიერებათა წრებრუნვა ბუნებაში არ შეიძლება ნარჩენების წარმოებასთან იყოს კავშირში, რადგან ნარჩენების წარმოშობა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

¹¹ იქვე, გვ. 129.

¹² კ. მარქსი, კაპიტალი ტ. 1, საქართველოს სსრ „სახგამი“, 1954, გვ. 234.

¹³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 101.

¹⁴ K. Маркс, и Ф. Энгельс, Соч., т. 26, ч. 1. с. 208.

კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. პირველი, თბ., 1966, გვ. 245.

¹⁵ Н. Д. Селитерников, Проблемы повышения эффективности сбора и использования ресурсов вторичного сырья в народном хозяйстве, М. Докт. дисс. 1980, с. 44.

უნდა აღინიშნოს რომ მიმოქცევის ნარჩენების ცალკე გამოყოფაც არაა გამართლებული, ვინაიდან ნარჩენების დაყოფის კრიტერიუმს ის კი არ წარმოადგენს, თუ რომელ სფეროში წარმოიშვებიან ისინი, არამედ ის, თუ აღნიშნულ რა საქმიანობას — წარმოების თუ მოხმარების შედეგად წარმოიშვებიან.

აგრეთვე არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს ისეთი ორი ცნების ერთმანეთისაგან განსხვავება, როგორცაა „მასალების მეორადი გამოყენება“ და „წარმოების ნარჩენების გამოყენება“. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მეორადი მასალები უკვე ცნობილი ობიექტური პირობების შექმნამდე ნარჩენის ფორმით გამოდიოდნენ და ამ შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ მათი წარმოშობის წყაროშია, ე. ი. იმაში, ნარჩენი შრომის საგნადაა წარმოშობილი თუ შრომის იზრადიდან; მეორე მხრივ — როგორც მეორადი მასალები, ასევე ნარჩენები (რა თქმა უნდა მხედველობაში გვაქვს ის ახალი ელემენტები, რომლის ფორმითაც ნარჩენები გამოდიან) შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც იმავე საწარმოში, ასევე სხვაში და, ამრიგად, საწარმოო მოხმარება შეიძლება ჩაითვალოს იმ განსხვავების კრიტერიუმად, რომელიც სახმარებელურებულადაა ფუნქციებს შორის არსებობს საწარმოო პროცესში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

წარმოების ნარჩენები წარმოადგენენ წარმოების პროცესში წარმოშობილ ნედლეულისა და მასალების ნარჩენებს, აგრეთვე ფიზიკური და მორალური ცვეთის გამო მწყობრიდან გამოსულ შრომის იარაღებს, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სათანადო დონის უქონლობის გამო არ წარმოადგენენ სახმარებელურების მატარებლებს (აქედან გამომდინარე არც ღირებულება გააჩნიათ) და საერთოდ არ გამოიყენებიან;

თანმდევი პროდუქტია (ნარჩენებისეული წარმოშობის) არის პირველადი ნედლეულისა და მასალების ნარჩენები, რომლებიც წარმოების პროცესში წარმოიშვებიან. თანმდევი პროდუქტის წარმოებისათვის საწარმოში სპეციალური წარმოების პროცესი არ ეწყობა. მას გააჩნია სასაქონლო სახე და განკუთვნილია სარეალიზაციოდ;

მეორადი ნედლეული ორგვარი წარმოშობისაა: მის წყაროს წარმოადგენს როგორც წარმოების, ისე მოხმარების ნარჩენები. მეორადი ნედლეული წარმოადგენს პირველადი ნედლეულისა და მასალების ნარჩენებს, ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად მწყობრიდან გამოსულ შრომის იარაღებს და ამავე მიზეზით ხმარებიდან გამოსულ მოხმარების საგნებს, რომლებიც წარმოების ფართო მასშტაბის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონის გამო იქცევიან სახმარებელურებად და რჩებიან ღირებულების მატარებელნი. მეორად ნედლეულს, რომელიც გვევლინება როგორც წარმოების ნარჩენების ფორმა და იმავე საწარმოში გამოიყენება ნედლეულად, სადაც იგი წარმოიქმნა, სასაქონლო სახე არა აქვს. მოხმარების ნარჩენებისაგან წარმოშობილ ნედლეულს კი ასეთი ფორმა აქვს.

უნდა ითქვას, რომ ტერმინი „მეორადი“ მხოლოდ და მხოლოდ ტექნოლოგიური ხასიათისაა და თუ კი ლაპარაკია, მაგალითად, მეორად ნედლეულზე, ეკონომიკური თვალსაზრისით იგი უბრალოდ ნედლეულს წარმოადგენს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს: იმის გამო, რომ წარმოების პროცესში შესვლისას ნარჩენები იღებენ წარმოების ახალ ელემენტთა სხვადასხვა ფორ-

მას, მისაღები იქნებოდა მათი გაერთიანება საერთო განმაზოგადებელი სახელწოდების ქვეშ — „მეორადი მატერიალური რესურსები“. ეს შესაძლებელია, ერთი მხრივ იმიტომ, რომ როგორი ფორმითაც არ უნდა შედიოდნენ ნარჩენები წარმოებაში, ისინი წარმოადგენენ მატერიალური რესურსების სხვადასხვა სახეობას; მეორე მხრივ კი მათ წარმოშობის საერთო წყარო გააჩნიათ: წარმოებისა და მოხმარების ნარჩენები.

М. В. КОРТАВА


ЭКОНОМИЧЕСКАЯ СУЩНОСТЬ ВТОРИЧНЫХ МАТЕРИАЛЬНЫХ РЕСУРСОВ И АКТУАЛЬНОСТЬ ЕЕ ОПРЕДЕЛЕНИЯ

Резюме

В статье рассматривается актуальность определения экономической сущности вторичных материальных ресурсов. На основе учения К. Маркса об экскрементах производства и критического анализа основных точек зрения на экономическую сущность вторичных материальных ресурсов, содержащихся в работах современных экономистов, была сформулирована авторская концепция решения данного вопроса.

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებამ.

252340



В. Ш. БУРДУЛИ

СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ УПРАВЛЕНИЯ ЭКОНОМИКОЙ ГОРОДА

В настоящее время в Грузинской ССР проводится несколько экспериментов по совершенствованию управления экономикой городов, в первую очередь, за счет развития территориальных аспектов управления, расширения прав и обязанностей территориальных (в данном случае городских) органов управления в области регулирования хозяйственной деятельности предприятий и организаций, усиления координации между территориальными, функциональными и отраслевыми органами управления. В частности, такие эксперименты проводятся в г. Поти и Заводском районе г. Тбилиси. Последний — в рамках первой очереди эксперимента по совершенствованию управления экономикой г. Тбилиси и его административных районов.

Следует отметить, что эти эксперименты преследуют примерно одни и те же цели, отличаясь лишь масштабами охваченных ими объектов (крупный город и его районы в одном случае, и малый город — в другом) и, в связи с этим, различиями в структуре созданных органов управления и организации механизмов воздействия на хозяйственные объекты, деятельность которых подлежит регулированию со стороны соответствующих территориальных органов управления в пределах их компетенции. Вместе с тем, есть некоторые различия и в количестве охваченных проблем и в методах реализации поставленных перед территориальными органами задач.

როგორც ციფრობრივი მონაცემები გვიჩვენებს, გაერთიანებაში მალალი უსტანდარტო და ჩამოსაწერი პროდუქციის (ციტრუსის) ხვედრი იწილი. სავაჭრო ქსელში აღნიშნული სახის პროდუქცია შეიძლება მინიმუმამდე შემცირდეს, თუ უფრო ამაღლდება აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებაში შემავალი საწარმო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის კავშირთა და უფრო მოქნილი გახდება მართვის სისტემა, მოწესრიგდება სწრაფი ინფორმაციის მიწოდების საკითხი, ხოლო სავაჭრო ქსელის ხელმძღვანელობა უფრო მეტად იზრუნებს უზრუნველყოფის ქსელში მალალხარისხიანი პროდუქციის შემოზიდვა და სწრაფი რეაგირება მოახდინოს არასტანდარტული პროდუქციის მიღების შემთხვევაში (შეადგინოს აქტი, დაუბრუნოს მდარე ხარისხის პროდუქცია მომწოდებელს და სხვ), აგრეთვე მოახდინოს სავაჭრო ქსელის საწყობებში დაგროვილი მალფუჭადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დროული მიწოდება გადამამუშავებელი მრეწველობისათვის და სხვა. გაერთიანებაში შემავალ სხვა რგოლებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს ავტოსატრანსპორტო საწარმოების სატრანსპორტო საშუალებების უფრო მოქნილ მანევირებაზე, რაც გაერთიანების მუშაობას უფრო მოხერხებულს გახდის და ხელს შეუწყობს გაერთიანების ძირითადი ამოცანის პრაქტიკულ რეალიზაციას — უზრუნველყოფის მოსახლეობის მომარაგება მალალხარისხიანი პროდუქტებით.

უქანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მუშაობა აგროსამრეწველო ინტეგრაციის გაღრმავების მიმართულებით, რასაც ხელი შეუწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 16 დეკემბერს მიღებულმა დადგენილებამ — „ხილ-ბოსტნეულის, ყურძნისა და კარტოფილის წარმოების, გადამამუშავების, შენახვის და რეალიზაციის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. ხილის (ციტრუსების), ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების, გადამამუშავებელი მრეწველობისათვის დროული მიწოდებისა და აღნიშნული პროდუქტების მომხმარებელამდე სასწრაფოდ დაყვანის მიზნით 1982 წლის თებერვალში საქართველოს უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით შეიქმნა ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ: რესპუბლიკის აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამზადებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება, „საქსათბურის“ რესპუბლიკური გაერთიანება თავისი 4 სასათბურე კომბინატით, რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვი“ 45 საკონსერვო, 10 ხილ-კენკერის და ღვინის ქარხნით. აღმინისტრაციული შენობა-ნაგებობებთანავე ექსპლოატაციის სამმართველო, თბილისისა და გორის ავტოსატრანსპორტო საწარმო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების სამმართველო.

როგორც ვხედავთ, სამინისტროში თავი მოეყარა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისა და სამრეწველო გადამამუშავებისათვის აუცილებელმა ძირითადმა საწარმოო ორგანიზაციებმა.

სამინისტროს სისტემის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამუშაოზე დასაქმებულთა რაოდენობა 30,3 ათას კაცს აღწევს, ხელფასის ფონდი კი 42 165 ათასი მანეთით განისაზღვრება. თუ შევადარებთ ერთმანეთს სამინისტროს სისტემაში მომუშავეთა თვიურ ანაზღაურებას, 1982 წელს 111.2 მან. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობის მუშის 110.8 მან. და კოლმეურნის 98.2 მან. ანაზღაურებას, ვნახავთ რომ სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება მეტია შესაბამისად. 1.0 და 12 პუნქტით. აქვე თუ განვიხილავთ სამინისტროს სისტემაში ერთ კაც-საათზე წარმოებულ პროდუქციის რაოდენობას (2,23 მან.) და საბჭოთა მეურნეობის ანალოგიურ მაჩვენებელს (1.5 მან.) ვნახავთ, რომ სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა მიერ 1.4-ჯერ მეტი პროდუქცია იქმნება, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში.

ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო რენტაბელურია. 1982 წელს მოგების თანხამ 23252 ათასი მანეთი შეადგინა. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ აღნიშნულ წელს მოგების გეგმა 50.7 %-ით შეასრულა. 1982 წელი ზარალით დაამთავრეს სამინისტროში შემავალმა საბჭოთა მეურნეობებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა, ხოლო სამრეწველო საწარმოებმა, სატრანსპორტო და სხვა მოიჯარე ორგანიზაციებმა მოგება მიიღეს. ზარალს თანხის მთლიან ოდენობაში 96.3 % საბჭოთა მეურნეობების, ხოლო დანარჩენი სავაჭრო ორგანიზაციების წილად მოდის. მოგების ყველაზე მეტ ოდენობას 97.8 %-ს გადამამუშავებელი მრეწველობა იღებს. აღნიშნული მოგვანიშნებს, რომ საჭიროა მოწესრიგდეს მოგების გადანაწილების საკითხი, ცენტრალიზებული ფონდების საშუალებით, ინტეგრაციაში მყოფ გადამამუშავებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის ფასები.

ციტრუსების წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტეგრაციის პროცესი თავისთავად გულისხმობს ხილ-ბოსტნეულის სამინისტროს სისტემაში არსებული ქარხნების სიმძლავრეებისა და წარმოებული ნედლეულის ოდენობას შორის თანაფარდობას, რომელიც უზრუნველყოფს ციტრუსების თავისდროულ, ნორმალურ და შეუფერხებელ გადამამუშავებას.

რესპუბლიკაში წლითიწლებით იზრდება საკონსერვო მრეწველობის სანედლეულო ბაზა, რასაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისი გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეების ზრდა. აღნიშნული იწვევს პროდუქციის ხარისხზე, საქართველოში ნედლეულის დამზადებასა და გადამამუშავების სიმძლავრეებს შორის (საკონსერვო მრეწველობაში) გარკვეული დისპროპორცია შეინიშნება. 1971—1982 წლებში რესპუბლიკაში ბოსტნეულის დამზადება 2,1-ჯერ, ხილის 2,2-ჯერ, ციტრუსების 3,2-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში კი საკონსერვო მრეწველობის სიმძლავრეების ზრდა 54 პროცენტს არ აღემატებოდა.

განვიხილოთ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობათა სამინისტროს სისტემაში არსებული საკონსერვო ქარხნების მდგომარეობა 1982 წლისათვის. სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის 45 საკონსერვო ქარხანა, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ ხილის, მათ შორის ციტრუსების გადამამუშავებას. ქარხნების წლიური სიმძლავრე შეადგენს 330,6 მლნ. პირობით ქილას, მთელი სამინისტროს მასშტაბით ძირითადად ქარხნების სიმძლავრეები დატვირთულია, მაგრამ შეინიშნება, რომ ქარხნები არაპროპორციულადაა განლაგებული სანედლეულო ბაზის მიმართ. მაგალითად, სამინისტროს 45 საკონსერვო ქარხნიდან საწარმოო სიმძლავრეებს სრული დატვირთვით ვერ იყენებს 29 ქარხანა, ხოლო დანარჩენებიდან მრავალს არ ყოფნის საწარმოო სიმძლავრეები. მაგალითად, ადიგენის რაიონში არსებული საკონსერვო ქარხნის საშუალო სიმძლავრე შეადგენს 5 მლნ პირობით ქილას, ფაქტიურად ქარხნის სიმძლავრეთა დატვირთვა შეადგენს 76 %-ს, ხოლო იქვე, მეზობლად მდებარე ახალციხის რაიონის საკონსერვო ქარხნის საწარმოო სიმძლავრე თითქმის საქმარისი არ არის ნედლეულის გადამამუშავებისათვის. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ბათუმის მეციტრუსეობის კომბინატშიც, რომლის ფაქტიური საშუალო სიმძლავრე 23,6 მლნ. პირობითი ქილაა. ქარხანას სეზონზე შეუძლია გადამამუშავოს 4000—4500 ტონა ციტრუსის ნაყოფი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკიდან სხვა საკონსერვო ქარხნებში გადასამუშავებლად უნდა გამოიტანონ ათასობით ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ბათუმის ქარხნის სიმძლავრეების უკმარისობის გამო. უკანასკნელ წლებში სწრაფი ტემპით იმატა გადასამუშავებელი ციტრუსების რაოდენობამ, ხოლო ამავე პერიოდში საწარმოო სიმძლავრეები უცვლელი დარჩა. თუ ქარხანა 1975 წელს ნორმალურად ამუშავებდა 3000 ტონა ციტრუსს, იგივე სიმძლავრისათვის 4500 ტონის გადამამუშავება უკვე ძნელია. ანალოგიური მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების საკონსერვო ქარხნებშიც. აქ, 1982 წელს, გადამამუშავდა 2170 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხოლო არსებული სიმძლავრეების უკმარისობის გამო ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებიდან გადასამუშავებლად გამოტანილი იქნა რესპუბლიკის სხვა საკონსერვო ქარხნებში 10 ათასი ტონა ციტრუსი. მომავალში ყველა ღონისძიება უნდა წარიმართოს არსებული ქარხნების სიმძლავრეების გადიდებისა-

თვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ახალი სიმძლავრეების მშენებლობისათვის, მათი ავტომატიზებული და ახალი ტექნოლოგიური ხაზებით დაკომპლექტებისათვის.

ბათუმის მეციტრუსეობის კომბინატში ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა და მალე მწყობარში ჩადგება ფირმა „ბერტელის“ ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქარხნის სიმძლავრეს და შესაბამისად — გადამუშავებული ციტრუსების მოცულობას.

სუბტროპიკულ რაიონებში საკონსერვო ქარხნების სიმძლავრეების გაძლიერება მინიმუმამდე შეამცირებს ნედლეულის დანაკარგებს ციტრუსოვანთა ნაყოფის სამრეწველო გადამუშავებაში და შესაბამისად აამაღლებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს.

რესპუბლიკაში უქანასკნელ წლებში შეინიშნება საკონსერვო მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტში გარკვეული ცვლილება. ეს ძირითადად გამოიხატა ისეთი სახის კონსერვების შემცირებით, რომელზედაც დიდია მომხმარებელთა მოთხოვნილება. ესენია ბოსტნეულის, ბადრიჯნის, ლობიოს, ტყეპილი წიწყის და სხვათა წარმოება. ასევე შემცირდა ზოგიერთი სახის მურაბისა და კომპოტის წარმოება.

საკონსერვო ქარხნების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებელია რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. რესპუბლიკაში შეინიშნება ზოგიერთი სახის პროდუქციის — მაგალითად, მანდარინის ჯემის, მურაბის და წველების ნაკლები რეალიზაცია, რასაც ძირითადად მათი ხარისხი და მაღალი საცალო ფასები განაპირობებენ. მართალია ხორციელდება საცალო ფასების სეზონური შემცირება, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება რადიკალურ ცვლილებებს ვერ იწვევს. მიუხედავად აღნიშნულისა, უქანასკნელ ორ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხილის, მათ შორის ციტრუსების კონსერვების წარმოება რესპუბლიკაში ათასი პირობითი ქილით. მაგალითად, ხილის კონსერვის წარმოება 1982 წელს, 1981 წელთან შედარებით, გადიდა 22.8 %-ით. მათ შორის, კომპოტისა — 45.2 %-ით, მურაბის 2-ჯერ, ხილფაფის 70 %-ით, ხილის წვენების 28.7 %-ით და სხვა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსახლეობა ციტრუსებს ძირითადად ზამთარში და ადრიან გაზაფხულზე ხმარობს. მანამდე კი ისინი მაცივრებსა და საცავეებში უნდა ინახებოდეს. ამისათვის აუცილებელია სათანადო სამაცივრო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რესპუბლიკაში საჭიროა არსებული სპეციალიზებული სამაცივრო საცავეების გაფართოება და შექლებისდაგვარად ახლის მშენებლობაც. ამ მხრივ ციტრუსების შენახვა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მაგალითად, 1981 წელს სავაჭრო ქსელში შემოზიდული ჩამოსაწერი ციტრუსების რაოდენობამ 440 ტონა, ხოლო 1982 წელს 928 ტონა შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი კილოგრამი ციტრუსების საცალო ფასი (მანდარინი, ფორთოხალი) 2 მანეთი, ხოლო ლიმონის 3 მანეთი და 50 კაპიკი ვნახავთ, რომ ციტრუსების არანორმალური შენახვით დიდ მატერიალურ ზარალს იღებენ სავაჭრო ორგანიზაციები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში 1990 წლისათვის დასახულია კვების მრეწველობის პროდუქციის გაზრდა 1.6 — 1.7-ჯერ, რისთვისაც აუცილებელია რესპუბლიკაში სპეციალიზებული დარგების გაძლიერება. მათ შორის ციტრუსების (მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის) წარმოება და



მათი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რითაც გარკვეულ წვლილს შევიტანთ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში და ავამაღლოთ საკავშირო ფონდში აღნიშნული პროდუქტების მიწოდებას.

გენერალურ პერსპექტივაში 1980 წელთან შედარებით რესპუბლიკაში ხილის წარმოება გაიზარდება 4-ჯერ, ციტრუსებისა — 19.0-ჯერ, ყურძნის — 3.2-ჯერ, ხოლო ჩაისა — 180 %-ით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ 1985 წლისათვის გათვალისწინებულია ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდება 350 ათას ტონამდე. მათ შორის ლიმონის — 12 ათას ტონამდე. 1990 წლისათვის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 500 ათასსა და 100 ათას ტონას უნდა მიაღწიოს. ასევე 1968—1990 წლებში გათვალისწინებულია 2 ათას ჰექტარზე ციტრუსების გაშენება. მათ შორის, ნარგავები უფრო დიდი ოდენობით უნდა გაშენდეს მახარაძის, ხობის, ზუგდიდისა და აფხაზეთის ასსრ რაიონებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1985 წლისათვის მსხმოიარე ციტრუსოვანთა ფართობი რესპუბლიკაში დაახლოებით 8320 ჰექტარი იქნება, შემდგომ ორ წელიწადში აღნიშნული ფართობი საშუალოდ 9 %-ით გაიზარდება, ხოლო 1988—1990-იან წლებში ზრდა 7,5 % იქნება, მაშინ პერსპექტივაში 1985—1990 წლებში მსხმოიარე ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი მიაღწევს:

წლები	ფართობი ჰა
1986	9086
1987	9855
1988	10616
1989	11176
1990	11966

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ დარგის განვითარება ექსტენსიური გზით უფრო შეზღუდულია, რადგან მეციტრუსეობა თავისი სპეციფიკით გამოირჩევა და ამ კულტურების გადაადგილების არც შემოფარგლულია სუბტროპიკული ზონით. ამ მიმართულებითაც არის რეზერვები, სახელდობრ, დახურულ გრუნტში ლიმონარაუმების მშენებლობა, რისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ ბამბუკის ან რკინა-ბეტონის ბოძების კარკასული ასაწყობ-დასაშლელი ტიპის სათბურები, რომელიც შეიძლება გადაეხუროთ პოლიეთილენის აფსკით. აღნიშნული კარკასული ტიპის ასაწყობ-დასაშლელმა სათბურებმა ფართო გამოყენება ჰპოვა შუა აზიის რესპუბლიკებში აბრეშუმის ჭიის ცენტრალიზებული წესით გამოკვების პირობებში.

ლიმონარაუმების მშენებლობა საშუალებას მისცემს ამ დარგით დაინტერესებულ პირებს ხელოვნურად შეუქმნას ციტრუსოვანთა ნარგავებს მიკრო კლიმატი და ამით მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ ამ კულტურების გადადილების არეალი.

ციტრუსოვანთა კულტურებიდან ლიმონი ნაკლებ ყინვაგამძლეს წარ-

მოადგენს, ამიტომ უკანასკნელი წლების ყინვიანმა ამინდებმა მათ მეტი ზიანი მიაყენეს.

რესპუბლიკის მეციტრუსეობის რაიონებს ყოველწლიურად ეძლევათ ლიმონის გაშენების გეგმები. ლიმონის კულტურის შემდგომი განვითარება ლიმონარიუმების მშენებლობის გზით უნდა წარიმართოს. ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებებია მიღებული. მაგალითად: 1983 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლიაში — ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 ჰექტარი ლიმონარიუმი. 1984 წელს ამ ფართობს 28 ჰექტარი, ხოლო ხუთწლედის ბოლოს 32 ჰექტარი დაემატება. 1984 წლის ბოლოსათვის 5 ჰექტარზე გაშენებული ლიმონარიუმები გადაეცემა საექსპლოატაციოდ ცხაპაის რაიონის სოფ. ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობას. ამჟამად პერიოდისათვის დამთავრდება 8 ჰექტარზე ლიმონარიუმის მშენებლობა ხობის რაიონის პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობაში. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლიმონის გაშენება ლიმონარიუმებში ვაცდა კოლხეთის დაბლობს და კახეთშიც ვავრცელდა. ლიმონმა კარგად იხარა ლაგოდეხში, თელავში, ყვარულში¹. მარტივი ტიპის ლიმონარიუმის მშენებლობის საშუალება გააჩნიათ არაა მარტო საზოგადოებრივ მეურნეობებს, არამედ პირად დამხმარე მეურნეობებსაც, სადაც ამ მიმართულებით შეიძლება წარმატებებს მივაღწიოთ. ლიმონარიუმის მშენებლობის ძირითადი მიზანია რამდენადმე შეამციროს ჰირვეული ამინდის ზეგავლენა ლიმონის ნარგავებზე.

პერსპექტივაში მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს სამუშაოები ლიმონის დაავადების „მალსეკოს“ წინააღმდეგ და აღნიშნული დაავადებისადმი შედარებით მდგრადი ჯიშების გამოყვანის მიმართულებით. სპეციალისტები უპირატესობას აძლევენ პროფ. ფ. მამფორიას მიერ გამოყვანილ ლიმონის ჯიშს „ლიოსკურას“ რომელიც გაცილებით უკეთ იტანს დაავადებას და უფრო მსხმოიარეა ლიმონის სხვა ჯიშებთან შედარებით.

ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდების საქმეში მნიშვნელოვანი რეზერვია პლანტაციებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია, მეჩხერიანობის მიზეზები მრავალგვარია. მათ შორის: ციტრუსოვან კულტურათა მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების დარღვევა, არასტანდარტული ნერგებით პლანტაციების გაშენება, ახლადგაშენებული პლანტაციების არანორმალური მოვლა და სხვა. მაგალითად გ. კილასონისა და მ. ჩიკვატიას მიერ აფხაზეთის 16 საბჭოთა მეურნეობაში ჩატარებული სამუშაოს მიხედვით ციტრუსოვანთა პლანტაციებში მეჩხერიანობა მანდარინის სრულმოსავლიან პლანტაციაში 25 %-ს, 6—10 წლამდე პლანტაციაში 17 %-ს, და 5 წლამდე პლანტაციაში 15 %-ს შეადგენს. აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებში მეჩხერიანობის შედეგად მოცდენილი ფართობი 725 ჰექტარია, რის შედეგადაც ყოველწლიურად 11 000 ცენტნერი ციტრუსოვანთა ნაყოფი იკარგება².

მეტ-ნაკლები ზომით ანალოგიური მდგომარეობაა მეციტრუსეობის სხვა რაიონებში.

მეციტრუსეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარგის

¹ გ. ნოდია, ბ. ჩხაიძე, ლიმონი ლიმონარიუმებში, ვახ. „კომუნისტი“ 8 ივლისი, 1984.

² ჟურნალი „ეკონომისტი“, № 6, 1982, წ. გვ. 88.

ინტენსიური გზით განვითარებას. ციტრუსოვანთა ნაყოფის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ამ დარგში, როგორც აღენიშნეთ ამ კულტურათა გავრცელების არეალის შეზღუდვის გამო. ციფრობრივი მონაცემები მოწმობს, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც ერთ ჰექტარ ფართობზე მოსავლიანობა 1982 წელს 66,4 ცენტნერს უდრის, ხოლო მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ რესპუბლიკაში 315 ცენტნერის ტოლია.

მეციტრუსეობის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საზოგადოებრივ მეურნეობაში სტიმიულირების ახალი ფორმების დანერგვა, რაც ემყარება ციტრუსოვანთა გაპირიონებულ ნაკვეთზე მოსავლიანობის შემდგომ ზრდას და შესაბამისად ანაზღაურების გადიდებას.

კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს მოსახლეობაში მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერირების გზით. მოსახლეობას უსასყიდლოდ უნდა გაეწიოს აგრო-ტექნიკური მომსახურება ლიმონის გაშენების, მოვლისა და ყინვისაგან მათი დაცვის საქმეში.

ამავე დროს მათ უნდა გამოეყოს სარგავი მასალა, სასუქები, შხამქიმიკატები და ტარა, რომელთა ღირებულება ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარებიდან მიღებული შემოსავლის თანხიდან დაეკეთებათ და სხვ.

აღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააძლიერებს ციტრუსების წარმოების მოცულობას, გააუმჯობესებს გადაამუშავებელი მრეწველობის (საკონსერვო) მუშაობის დონეს და აამაღლებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს, რითაც გარკვეული ნაბიჯი გადაიდგმება მეციტრუსეობის დარგის პროდუქტებით მოსახლეობის უკეთ მომარაგების საქმეში.

Л. Е. ДАТУНАШВИЛИ

СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ПРОИЗВОДСТВА ЦИТРУСОВ И ПЕРЕРАБАТЫВАЮЩЕЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ НА БАЗЕ АГРОПРОМЫШЛЕННОЙ ИНТЕГРАЦИИ

Резюме

Постановление ЦК КПСС и СМ СССР от 29 сентября 1979 года «О мероприятиях по увеличению производства южных и субтропических культур и дальнейшему ускоренному развитию сельского хозяйства в Грузинской ССР» ставит большие задачи перед республикой.

В свете данного постановления изучено современное состояние и рекомендованы основные направления дальнейшего развития цитрусводства. Изучены существующие мощности перерабатывающей промышленности, в тесной связи с сырьевой базой намечены пути дальнейшего развития цитрусводства и перерабатывающей промышленности на основе агропромышленной интеграции.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

3. შ. ზურაბიშვილი

ВСТРЕЧНОЕ ПЛАНИРОВАНИЕ И СОЦИАЛИСТИЧЕСКОЕ СОРЕВНОВАНИЕ

XXVI съезд КПСС, последующие Пленумы ЦК выдвинули важные задачи по совершенствованию управления всеми звеньями народного хозяйства, решение которых является одним из факторов интенсификации производства, повышения его эффективности и качества работ, резервом ускорения экономического роста.

Перспективными направлениями совершенствования системы управления производственными объединениями (предприятиями) являются мобилизация широких масс, повышение трудовой активности трудящихся, усиление действенности социалистического соревнования и, особенно, развитие такой высшей формы его организации, как принятие и выполнение трудовыми коллективами объединений (предприятий) встречных планов.

При этом встречное планирование, являясь важным средством органического соединения социалистического соревнования со всей системой хозяйственного руководства, создает благоприятные условия для широкого вовлечения трудящихся в управление производством и имеет первостепенное значение для успешного выполнения заданий одиннадцатой пятилетки.

Уметь вовремя увидеть и поддержать народную инициативу, — говорится в речи тов. К. У. Черненко на февральском Пленуме ЦК КПСС (1984 г.), — причем в самом широком смысле — от хозяйского, творческого отношения к делу на рабочем месте до активного участия в управлении государством, обществом, — в этом величайший, можно сказать, неисчерпаемый резерв нашего прогресса. Каждым крупным достижением наша экономика в той или иной мере обязана творческим починам трудовых коллективов, их собственным, как принято говорить, встречным планам¹.

Существующий порядок составления планов экономического и социального развития объединений (предприятий), а также положения «Закона СССР о трудовых коллективах и повышении их роли в управлении предприятиями, учреждениями, организациями» создают новые предпосылки по углублению и расширению встречного планирования. Это значительно усиливает роль встречных планов в деле решения задач одиннадцатой пятилетки и повышает требования к методологии их разработки.

Дальнейшее развитие встречного планирования ставит очередные задачи как перед органами хозяйственного руководства, которые должны обеспечить более благоприятные условия для развертывания инициативы масс, так и перед научными работниками и организаторами соревнования, призванными органически включить эту форму

¹ «Правда», 14 Февраля 1984 г.

социалистического соревнования в действующую систему управления промышленным производством.

Обзор специальной экономической литературы по проблемам встречного планирования показал неоднозначность толкования понятий «встречный план» и «встречное планирование» различными исследователями. Нами была предпринята попытка классифицировать все эти определения и объединить их в несколько групп по наиболее существенным признакам.

Первая группа определений связывает понятия «встречный план» с системой социалистического соревнования. В этом случае исследователи термин «встречный план» рассматривают как элемент системы социалистического соревнования; новую форму организации социалистического соревнования; высшую форму социалистических обязательств и т. д.

Вторая группа определений объединяет понятия «встречный план», рассматривая его как элемент централизованного государственного планирования. Встречный план трактуется как форма планирования; элемент народнохозяйственного планирования; метод оптимизации производства; дальнейшее развитие и конкретизация первоначального (исходного) плана.

Наконец, третья группа определений носит двойственный характер. Встречный план выступает (рассматривается) как социально-экономическая форма соединения народнохозяйственного планирования и социалистического соревнования, или как удачная форма сочетания централизованного планирования и творческой инициативы трудящихся социалистического соревнования, специфическая форма организации социалистического соревнования и в то же время как важный этап (ступень) в системе народнохозяйственного планирования, способ участия трудящихся в научном управлении обществом.

Не менее разнообразно понятие «встречное планирование». Так, в частности, оно характеризуется как неотъемлемая часть народнохозяйственного планирования, составная органическая часть общей системы народнохозяйственного планирования.

Другие авторы указывают на понятие — встречное планирование — как форму выражения единства планирования и социалистического соревнования, и считают, что благодаря встречному планированию обеспечивается «стыковка» централизованного планирования с социалистическим соревнованием. Оно также рассматривается как одна из наиболее эффективных форм, соединяющая централизованное планирование с инициативой масс.

Рассмотренное многообразие определений «встречное планирование» и «встречный план» вовсе не означает, что многие из них неверны. Наоборот, лишь некоторые из определений являются спорными, подавляющее же большинство имеет право на существование. Речь во многих случаях может идти лишь о степени их раскрытия. Это связано с тем, что каждое из определений раскрывает лишь ту или иную сторону разработки встречных планов, а также только соответствующий этап развития встречного планирования.

Отсутствие единства в определении понятия «встречный план» нашло отражение и в характере внешнего оформления годового плана с выделением заданий встречного плана.

В соответствии с Положением на XI пятилетку объединения (предприятия) могут также разрабатывать и принимать встречный план на пятилетку в целом. Возникает вопрос: что же в этом случае

считать «встречным планом» — только превышение над контрольными цифрами или весь объем пятилетнего плана?

Однако, если «встречным» назвать весь объем плана, включая превышение, то стирается грань между количественными значениями государственных и встречных планов. В чем же тогда будет отличие государственного плана от встречного? — отличаются ли встречные планы от социалистических обязательств или это два тождественных понятия; как соотносятся централизованное государственное планирование и встречное; как соотносятся встречные и государственные планы; весь ли это объем плана или величина его превышения над заданиями пятилетнего плана на соответствующий год и т. д.?

Выход из данного противоречивого положения — определить качественное своеобразие государственных плановых заданий и встречных планов, т. е. охарактеризовать роль и место государственных и встречных планов в хозяйственном механизме, их взаимоотношения между собой и выявить существенные различия между ними; раскрыть, чем отличаются встречные планы от всех других социалистических обязательств, которые принимались раньше и принимаются теперь наряду с ними.

Осветим эти проблемы более детально. В условиях развитого социализма в деле повышения эффективности общественного производства большое значение имеет участие трудящихся в его управлении. Это обусловлено совпадением основных принципиальных задач управления с их интересами, единством коренных интересов общества, трудовых коллективов и каждого работника.

Конкретное участие трудящихся масс в управлении производством проявляется:

во-первых, в совещательной форме в процессе подготовки управленческих решений. Например, участие коллективов производственных объединений (предприятий) в обсуждении и подготовке годовых и пятилетних планов, их экономического и социального развития;

во-вторых, в форме самоуправления, т. е. принятия решений тем коллективом трудящихся, который будет их исполнять. Наиболее полно эта форма участия масс в управлении производством нашла отражение в организации социалистического соревнования, в принятии трудовыми коллективами социалистических обязательств. При этом главная особенность социалистического соревнования заключается в том, что им могут быть охвачены все трудящиеся. В настоящее время в соревновании участвует более 94% работающих в народном хозяйстве.

Это обстоятельство предъявляет особые требования к организации и проведению социалистического соревнования. «Следует настойчиво добиваться, — говорится в постановлении ЦК КПСС «О совершенствовании организации, практике подведения итогов социалистического соревнования и поощрении его победителей», — чтобы формы социалистического соревнования отвечали требованиям времени, осуществляемым мерам по совершенствованию хозяйственного механизма. Развивать творческий характер соревнования, при выборе его форм не допускать дублирования и параллелизма, шаблонного подхода».

Наиболее перспективной формой организации социалистического соревнования, на наш взгляд, должно явиться встречное планирование, а встречные планы стать высшей формой социалистических обязательств, что обеспечит стирание существующих различий между организаторским и исполнительским трудом, все более превращая труда-

щихся не только в участников производства, но и в его подлинных хозяев в соответствии с Законом о трудовых коллективах.

«В условиях зрелого социализма, — говорится в Законе, — повышается роль трудовых коллективов в производственной, общественной и государственной жизни, расширяются возможности для активного участия рабочих, колхозников, интеллигенции в управлении предприятиями, учреждениями, организациями, осуществляется подлинное социалистическое самоуправление».

Социалистические обязательства и встречные планы являются категориями одного порядка и выступают элементами системы социалистического соревнования. Это обусловлено тем, что и те и другие принимаются не государственными органами сверху, а снизу по инициативе отдельных работников, трудовых коллективов объединений и предприятий, исходя из вскрытых резервов и возможностей.

В то же время между встречными планами и социалистическими обязательствами имеются существенные различия.

Встречные планы отличаются от социалистических обязательств составом показателей, по которым они принимаются. Круг показателей встречных планов шире, поскольку они охватывают не только результативную сторону производственной деятельности предприятий, но и другие аспекты социальной, культурной и общественной жизни коллектива трудящихся.

Разработка социалистических обязательств коллективами предприятий и объединений должна предшествовать принятию встречных планов, которые охватывают лишь их производственную часть. Это требует четкой согласованной работы по принятию объединениями и предприятиями социалистических обязательств и встречных планов. Для этого, считают некоторые авторы, было бы целесообразным, если бы показатели встречных планов повторяли производственную часть социалистических обязательств. Но в этом случае социалистические обязательства дублируют показатели встречных планов. На практике это приводит к тому, что на некоторых предприятиях принимаются только социалистические обязательства, на других же встречные планы и социалистические обязательства существуют параллельно, в том числе по совершенно одинаковым сугубо экономическим показателям. От этого параллелизма следует отказаться. На наш взгляд, встречные планы не должны дублировать социалистические обязательства.

Встречный план должен приниматься не вместо социалистических обязательств и не по тому же кругу показателей, которые им присущи, а выступать в качестве центральной, стержневой производственной части социалистических обязательств объединений (предприятий), вокруг которой группируются все остальные показатели.

В целях дальнейшего развития инициативы рабочих, ИТР и служащих, повышения активности трудящихся, в практику встречного планирования на 1984 и 1985 годы внесены существенные изменения и дополнения. Решено, что встречные планы могут принимать коллективы тех объединений и предприятий, которым по сложившимся обстоятельствам показатели и объем утверждены ниже заданий пятилетнего плана на данный год. Тем самым трудовые коллективы получили возможность восполнить отставание своего предприятия от заданий пятилетки.

Принятые трудовыми коллективами встречные планы теперь сообщаются вышестоящим органам, а не утверждаются ими. При этом



выполнение встречных планов должно быть достигнуто за счет изыскания и использования внутренних резервов.

В тех случаях, когда показатели утверждены ниже заданий пятилетнего плана на данный год, для стимулирования годовых встречных планов разрешается использовать повышенные (до 1,5 раза) нормативы. Если предприятие перевыполнит годовой план, не принимая встречного, то дополнительные отчисления в фонды поощрения производятся по нормативам, уменьшенным не менее, чем на 30 процентов. А то же самое перевыполнение годового плана, но предусмотренное встречным, сразу же увеличивает нормативы до полутора раза.

Нормативы при встречном плане, превышающем задания пятилетнего на данный год, не изменились и действуют в соответствии с утвержденным положением.

За каждый процент превышения во встречном плане заданий пятилетки на 1984—1985 годы по производству товаров народного потребления на рубль фонда зарплаты, фонд материального поощрения возрастает по нормативам, увеличенным в два раза.

Другой весьма важной и актуальной проблемой является определение места и роли встречного планирования в системе хозяйственного механизма и выявление его взаимосвязи с централизованным государственным планированием.

Народнохозяйственному планированию принадлежит ведущее место в системе хозяйственного руководства социалистической экономикой, ибо плановость составляет основную качественную характеристику социалистического способа производства.

Сущность централизованного планирования с точки зрения его роли во всей системе хозяйственного руководства заключается во взаимосвязке показателей производственно-хозяйственной деятельности всех звеньев народного хозяйства. Обеспечение пропорциональности и планомерности развития отдельных отраслей социалистической экономики является первостепенной задачей, а определение темпов и пропорций развития — основным содержанием государственного планирования. Пятилетние и годовые планы определяют основные целевые установки и социальные стандарты развития производственных объединений (предприятий) и отраслей народного хозяйства. Этими обстоятельствами определяется руководящая и организующая роль планирования по отношению к другим формам хозяйственного руководства, в том числе и к встречному планированию.

Централизованному государственному и встречному планированиям, являющимся элементами единой системы хозяйственного руководства социалистической экономикой, присущи общие, весьма существенные черты. В то же время встречное планирование обладает рядом особенностей, которые отличают его от народнохозяйственного планирования. Речь идет о соотношении двух взаимосвязанных составляющих основополагающего принципа управления социалистической экономикой — демократического централизма.

Сходство централизованного и встречного планирования обусловлено тем, что они основываются на социалистических производственных отношениях, и их общность определяется системой экономических законов социализма. Обе формы планирования направлены на решение главной цели социалистического производства. Здесь ведущая роль принадлежит государственному планированию. В текущих и пятилетних планах отраслей народного хозяйства, объединений и предприятий цель социалистического производства конкретизируется в

виде показателей планов социально-экономического развития, а также указываются средства их достижения. В то же время целевые установки и социальные стандарты являются основой для встречного планирования. Поэтому цели, устанавливаемые во встречных планах, должны быть идентичны целям государственных планов, что позволяет тесно связать творческую активность трудящихся с главными направлениями экономической политики, реализуемой в государственных планах экономического и социального развития.

Вместе с тем встречные планы, принимаемые трудовыми коллективами производственных объединений (предприятий), обладают рядом специфических черт, которыми они отличаются от государственных планов, а именно:

во-первых, различный характер участия трудящихся масс в разработке встречных и государственных планов. При разработке государственных планов участие трудящихся носит совещательный характер и состоит в обсуждении основных направлений экономического и социального развития, проектов пятилетних и годовых планов объединений и предприятий, внесении поправок, дополнений и уточнений. Право участия трудовых коллективов в планировании закреплено Конституцией СССР, статья 8: «Трудовые коллективы участвуют в обсуждении и решении государственных и общественных дел, в планировании производства и социального развития, ...в обсуждении и решении вопросов управления предприятиями и учреждениями...». Встречные же планы принимаются снизу, по инициативе самих коллективов, т. е. трудящиеся участвуют в управлении в форме принятия управленческих решений;

во-вторых, они отличаются по своему правовому и юридическому статусу. Государственный план — это директивный акт, он имеет силу закона и является обязательным, а его неисполнение влечет административные, юридические и экономические санкции. Встречные же планы не являются директивными актами. Поэтому за их выполнение коллективы несут главным образом моральную ответственность;

в-третьих, важное отличие встречных планов от плановых заданий заключается в их оперативности и гибкости. Плановые задания базируются на утвержденных нормах и нормативах и являются относительно стабильными. Встречные же планы опираются не на нормы и нормативы, а на индивидуальное и коллективное творчество, т. е. на изменяющуюся базу. Для встречных планов в системе народнохозяйственного руководства всегда остается место, т. к. их природа обусловлена неисчерпаемыми источниками: на стадии разработки пятилетних и годовых планов у предприятий могут оказаться не полностью выявленные ими неучтенные резервы, в процессе производства появляются новые возможности за счет достижений научно-технического прогресса и передового опыта;

в-четвертых, встречные планы принимаются дополнительно по ограниченному кругу показателей основной производственной деятельности объединений (предприятий). Годовые же государственные планы (техпромфинпланы) включают, кроме утверждаемых показателей, значительное количество расчетных, обосновывающих реальность принимаемых планов;

в-пятых, государственные годовые и пятилетние планы должны быть обоснованы материальными, трудовыми и финансовыми ресурсами на основе утвержденных прогрессивных, научно обоснованных норм и нормативов. Выполнение же встречных планов обеспечивается ресурсами, которые сэкономлены сверх выделенных лимитов, за счет

мобилизации внутренних резервов. Практика принятия встречных планов, выполнение которых требует сверхплановых ресурсов (особенно сырьевых и трудовых) нежелательна и даже недопустима.

Особенно важное значение эти обстоятельства имеют при выявлении различий между встречным планом и проектом годового государственного плана экономического и социального развития объединений и предприятий. Проект плана, разработанный с участием трудящихся, рассматривается, корректируется и утверждается вышестоящим хозяйственным органом и становится актом государственного планирования. При этом такое участие трудящихся в планировании, если оно связано обязательствами превзойти задания пятилетки на данный год, рассматривается в качестве встречного плана. Этот факт нашел отражение и в ряде официальных методических документов.

При разработке проекта государственного плана все уточнения, дополнения и предложения, которые вносит трудовой коллектив, базируются на действующих нормах и нормативах. Все, что включается во встречный план, должно перекрывать общеобязательную (общественно необходимую) меру труда, ибо даже самое совершенное государственное планирование не может учитывать индивидуальные возможности каждого производителя или специфические особенности трудовых коллективов.

Принцип сверхнормативности является важнейшей методологической основой встречного планирования. В этом главный критерий отнесения принимаемых по инициативе трудящихся предложений к государственному или встречному плану. Поэтому включение встречных планов в механизм хозяйственного управления производством должно осуществляться не путем превращения их в элемент системы централизованного планирования, а благодаря использованию их особенностей как элемента, системы социалистического соревнования за счет придания встречным планам специфических качеств, не изменяющих их социально-экономической сущности.

Все вышеизложенное позволяет сделать следующие выводы:

— природа встречных планов иная, чем у государственных плановых заданий;

— встречные планы являются элементами социалистического соревнования, а не народнохозяйственного централизованного планирования;

— роль и место встречных планов и плановых заданий в системе управления социалистическим производством различны;

— под встречными планами выступают дополнительные обязательства, которые находят свое отражение в техпромфинплане.

Следовательно, под встречным планом следует понимать не весь объем плана, а величину дополнительных встречных обязательств, превышающих задания государственных напряженных планов на соответствующий год, которая является результатом творческой активности коллективов трудящихся производственных объединений (предприятий) по мобилизации внутрихозяйственных резервов благодаря сверхнормативному использованию выделенных плановых лимитов материальных, трудовых и финансовых ресурсов.

როლანდ სარჩიშვილი

ეკონომიკურ ამოცანათა მათემატიკური უზრუნველყოფის საკითხები

თანამედროვე ეტაპზე არ შეიძლება სამართლიანად ჩავთვალოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მათემატიკური მეთოდებისა და ეგმ-ის გამოყენების გარეშე ეკონომიკის, როგორც რთული დინამიკური სისტემის, სრული გაძოკვევა. ახლო პერსპექტივაში აუცილებელია, რომ მაღალკვალიფიცირებულ და ყოველმხრივ მომზადებულ ეკონომისტს შეეძლოს: მათემატიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე ეკონომიკური ანალიზის ჩატარება, დაგეგმვის კონკრეტული ამოცანის დასმა მათემატიკის მისაწვდომ ენაზე. ისეთი მაგალითები, როდესაც მათემატიკოსებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეჩვენნ გამოყენებითი ამოცანის არსში, უხვადაა ფიზიკოსებისა და ტექნიკური დარგის სპეციალისტების მათემატიკოსებთან თანამშრომლობის პროცესში. ანალოგიურად, თუ ჩამოყალიბდება ეკონომიკური პრობლემა მათემატიკურ ტერმინებში, მაშინ არ შეიძლება იგი თანამედროვე მათემატიკის აპარატით არ იქნეს გადაწყვეტილი. მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში გამოყენების მიზანს ეკონომიკური მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებაში თავისი წვლილის შეტანა წარმოადგენს.

მათემატიკური აპარატის თავისთავად ეკონომიკასთან შეერთების ნათელი გამოხატულებაა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების ფართო სისტემა, რომელთა კვლევა ჩვენს ქვეყანაში 60-იანი წლებიდან დაიწყო. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროცესშივე გამოყენებითი მათემატიკის ახალ დისციპლინებს და ეგმ-ს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში გამოყენების ფართო ასპარეზი შეექმნათ. ამჟამად ეკონომიკურ ამოცანათა მათემატიკური უზრუნველყოფის პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი მიმართულებებით: ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატის გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში, ეკონომიკური მონაცემების დამუშავება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების სრულყოფა, რომელიც თავის მხრივ შეიცავს მაკრო და მიკრო ეკონომიკური მოდელების სხვადასხვა მოდიფიკაციის გამოყენებას, მომსახურე მათემატიკურ დისციპლინათა შექმნასა და განვითარებას (წრფივი პროგრამირება, თამაშთა თეორია და ა. შ.). დასახელებული მიმართულებებით ინტენსიური მუშაობა ამჟამად ეკონომისტთა და მათემატიკოსთა ერთობლივი მოღვაწეობით მიმდინარეობს. იმ ახალი მათემატიკურ დისციპლინათა სრულყოფას, რომელიც ძირითადად ეკონომიკური მეცნიერების მოთხოვნილების შედეგად შეიქმნა, ჩვეულებრივად მათემატიკოსები ემსახურებიან.

ეკონომიკური ამოცანების მოთხოვნილებების შედეგად შექმნილმა მათემატიკურმა დისციპლინამ წრფივი პროგრამირება, შემდგომი განვითარება და განზოგადება მათემატიკურ პროგრამებში ჰპოვა. სრულყოფის პროცესშია გადა-

წყვეტილების მიღების მათემატიკური თეორიის პერსპექტიული მიმართულება, ოპერაციათა გამოკვლევა, რომელიც მომსახურობის თვალსაზრისით ეკონომიკის ამოცანებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. თანამედროვე კლასიციკაციით ოპერაციათა გამოკვლევა აერთიანებს წარფიქვს, დისკრეტულ, არაწრფივ, დინამიკურ პროგრამირებას, თამაშთა, გრაფთა, მასობრივი მომსახურების თეორიაში სხვადასხვა დისკიპლინებს, გამიზნულია გადაწყვეტოს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სისტემებში პროგრამირების, წარმოების ოპტიმალური დაგეგმვისა და მართვის, ობიექტთა ოპტიმალური გაადგილების, დარგთაშორისი ბალანსის შედგენის სხვადასხვა ამოცანები და ა. შ.

თანამედროვე ეტაპზე (გარემოზე უწყვეტად ზემოქმედების მისწრაფებით) შექმნილია ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მძლავრი სისტემები, ეგმის და ოპტიმიზაციის ეკონომიკურ მათემატიკური მეთოდების, ინფორმაციული და მართვის ავტომატიზებული სისტემის სახით. ტექნიკურ პროგრესთან შედარებით კი თვით ადამიანის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობანი თითქმის უცვლელი დარჩა. ერთი მხრივ ადამიანის უფრო ინფორმაციის მომხმარებლები გახდნენ, ხოლო მაღალი შემოქმედებითი უნარის მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღების მიმართ — პასიური. მეორეს მხრივ ადამიანს კვლევის პროცესში გაუჩნდა თავისი შესაძლებლობის გამოვლენის მიმართ მუდმივი უკმარისობის გრძნობა. მესამე მხრივ, ინტენსიური განვითარების შესაბამისად აუცილებელი გახდა უმოკლეს ვადებში ურთულესი საგემო სამუშაოების ჩატარება, მათ საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ იქმნება რა წარმოების დაგეგმვისა და მართვის ყოველ იერარქიულ საფეხურზე კონფლიქტური სიტუაციის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების სიძნელეები, იზრდება მოთხოვნა ადამიანის შემოქმედებითი უნარის უწყვეტად გამოვლენის მიმართ.

ყურადსაღებია პ. კაპიცას გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ისტორიულად დამკვიდრებული „მოსინჯვისა და შეცდომების“ მეთოდი ამჟამად კოლოსალურ ზარალს იძლევა, რადგან ვერ ეგუება წარმოების განვითარების თანამედროვე ტემპებს. დადგა დრო, როდესაც ფიზიკის მსგავსად ეკონომიკაც, რომ უნდა განთავისუფლდეს მოსინჯვისა და შეცდომებისაგან. მოსინჯვა, შეცდომის გარეშე, შესაძლო ვარიანტების გამოვლენით და სისტემური ანალიზით ოპტიმალური გეგმიდან უნდა იქნეს დაწყებული.

ეშვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მათემატიკური მეთოდებისა და ეგმის გამოყენებით შეიძლება ეფექტურად ჩავატაროთ ეკონომიკური გამოთვლები, ავირჩიოთ გეგმის ოპტიმალური ვარიანტი. სადაო საკითხები წამოიჭრება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათემატიკური მოდელების აგებისას მიმდინარებს ეკონომიკურ თეორიაში მეთოდოლოგიური საკითხების გადასინჯვის ცდა. ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება, ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ფუნქციონალური კავშირების აღწერა, ეკონომიკური ინფორმაციის ეგმზე დამუშავება, ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზი, ეკონომიკური მეცნიერების განუყოფელი ნაწილი გახდა. მათემატიკა თამაშობს თავისებური სახის როლს ეკონომიკური თეორიის განვითარებაში. ა. კოლმოგოროვი აღნიშნავდა იმის შესახებ, რომ მოვლენის შესწავლის ბუნება ეკონომიკაში კარგადაა ცნობილი, მათი მეცნიერული გაგება სრულადაა დამუშავებული მარქსისტულ პო-

¹ П. Л. Капица. Влияние современных научных идей на общество, Вопросы философии, 1979, № 1, Кн.: Эксперимент, теория, практика, М., Наука, 1761, с. 468—472.

ლიტიკურ ეკონომიკაში, ამიტომ არ არის იმის საფუძველი ველოდოთ ამ არეში ძირფესვიან ცვლილებებს².

ვ. ნოვოილოვი აღნიშნავდა, რომ ჩვენი მეურნეობრივი მშენებლობის თანამედროვე პრაქტიკაში ეკონომიკური გამოთვლების წარმოება და მისი მეთოდოლოგია ვიწრო ადგილებს წარმოადგენენ. ამით ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებით ჩამორჩა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებებს. ცნობილია, რომ ეკონომიკური ვაზომვის მეთოდების შეუთანხმებლობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მოთხოვნილებასთან ჩამოყალიბდა ისტორიულად. მათემატიკის განვითარება საუკუნეების განმავლობაში მიმართული იყო ბუნებათმცოდნეობისა და ტექნიკისადმი. კაპიტალისტური მეურნეობა კმაყოფილებოდა ელემენტარული მათემატიკით. სოციალიზმმა მისი წარმოშობისას ვერ ნახა მზა მათემატიკური აპარატი.³

იქმნება, ხოლმე მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები საბჭოთა კავშირში წარმოიშვა ეგმ-ის გამოჩენის შემდეგ. მაშინ, როდესაც მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში გამოყენების ცდა ჯერ კიდევ 20-იან წლებში და უფრო ადრეც მიმდინარეობდა⁴. ეკონომიკური ამოცანებისათვის მათემატიკური უზრუნველყოფის პრობლემა კი თითქმის არც დასმულა, ვინაიდან მათემატიკა თავისი არსენალიდან პასუხობდა ეკონომიკის წინაშე წამოჭრილ ყოველ ამოცანას. შესაბამისად მიმდინარეობდა არსებული მეთოდების გამოყენება ან ახალ მათემატიკურ დისციპლინათა გამოყოფა მისი შემდგომი სრულყოფისა და გაფართოებისათვის, საჭიროა კი ეკონომიკის ამოცანების დასმა იმ ფორმით, რომ მათემატიკურ უზრუნველყოფასაც გააჩნდეს მოქმედების ფართო ასპარეზი, ჩანდეს მოსალოდნელი ეფექტი, სამუშაოს სიღრმე და სიძნელის ხასიათი. ანგარიშგასაწევეია ისიც, რომ ეკონომიკური ამოცანების მათემატიკურ უზრუნველყოფას გააჩნია ორმაგი ხასიათი: გადაწყვიტოს მათემატიკურად საინტერესო პრობლემა და მის გამოყენებას ჰქონდეს რეალური შედეგობრიობის პრეტენზია. ცნობილია მათემატიკის ახალი მეთოდისა და დისციპლინების სისტემა, რომლის შექმნა მეტწილად ეკონომიკური მეცნიერების მოთხოვნილებითაა განპირობებული. მიუხედავად ამისა მათემატიკური მეთოდების როლი ეკონომიკაში, არ უნდა შევავსოთ გადაჭარბებულად და არ შევექმნათ მათემატიკის ყოვლისშემძლეობის რწმენა. ბუნებრივია მხოლოდ ისეთი პროცესი, როდესაც სწავლული ეკონომისტების მიერ დასმული იქნება პრობლემა, რომელიც ეკონომიკურ-მათემატიკურ და მათემატიკურ გამოკვლევებათა საგანი გახდება.

დაისმის კითხვა თუ როგორია ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევითი მუშაობის თანამედროვე პროცესი. კავშირის მასშტაბით იგი მრავალმხრივია და ძირითადად მიმდინარეობს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების სრულყოფის გზით. ხოლო ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა კომპლექსური კვლევა დაწყებული ეკონომიკური ამოცანის (პრობლემის) და-

² С6. Общие вопросы применения математики в экономике и планировании, Труды научного совещания, т. I, М., 1961, с. 189

³ В. В. Новожилов. Вопросы развития социалистической экономики, М., 1972, с. 230.

⁴ А. Г. Гранберг. Математические модели социалистической экономики, М. 1958, с. 6—29.

4. მაკენ, ეკონომიკისა და საპრობლემის სერია, 1985, № 1

სახვით, შესაბამისად ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ნომარჩევებით, მათემატიკური ამოცანის ამოხსნით ეგმ-ზე და შედეგების რეალიზაციით პრაქტიკაში. ამ მხრივ მუშაობა წარმოებს ხოლმე ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების, ეკონომიკური ამოცანის დასახვის, ეგმ-ის გამოყენების საფეხურებზე იძულებითი გამარტივების წესით. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ გავაჩნია სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებისათვის მოქმედი ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების სისტემა. არაა დასმული ისეთი პრობლემები, რომელთა ვადაწყვეტა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე. ზოგჯერ პრობლემის დასამასა და ამოცანის დასახვას აიგივებენ. პრობლემების სირთულე სათანადოდ ვერაა შეფასებული. ხოლო ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანის დასმა მეცნიერული კვლევის საგნად არ მიაჩნიათ.

თანამედროვე ეტაპზე შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი დასათურების პრობლემებზე:

1. ოპტიმალობის პრობლემების დაკავშირება წარმოების ინტენსიფიკაციასთან, ამასთან ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდების ფართო გამოყენება ეკონომიკაში.

2. ეკონომიკურ მაჩვენებელთა მომზადება სისტემური ანალიზისათვის, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სარწმუნო ინფორმაციით მოქმედება. მათი ჩართვა მართვის ავტომატიზებულ და ინფორმაციულ სისტემებში⁵.

3. ეკონომიკის, როგორც რთული დინამიკური სისტემის, რეგულირების ამოცანების განხილვა. მარეგულირებელ პარამეტრთა მინიმალური რაოდენობის დადგენა, მაჩვენებელთა ცვლილების საზღვრების განსაზღვრა, რომლის გარეშე ეკონომიკა არამდგრად სისტემას წარმოადგენს.

4. გეგმისა და პროგნოზის უსაფუძვლო გაიგივების, ზოგჯერ უმისამართო არევის გამოსწორება. პროგნოზირების სტენარის მეთოდის სრულყოფა და ფართო გამოყენება.

5. მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში დაფუძნებისა და ამ მიმართულებით კადრთა მომზადებაზე სწავლული ეკონომისტებისა და მათემატიკოსების ზრუნვა რესპუბლიკის სინამდვილეში.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკურ და სინჯერო ეკონომიკურ სპეციალობებზე ისწავლება წირფივი პროგრამირება, თამაშთა, გრაფთა, მასობრივი მომსახურების თეორია, არაწრფივი, დისკრეტული, დინამიკური პროგრამირება და სხვა. რაც შეესატყვისება იმ გარემოებას, რომ მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში გამოყენების, ეკონომიკური კიბერნეტიკის და ოპტიმიზაციის მეთოდების კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე მოთხოვნილება საკმარისად მაღალია. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარეობს ეკონომისტთა მათემატიკური ცოდნით შეიარაღება, ამასთან იქმნება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების სისტემა გამიზნული ეკონომიკური ამოცანების „მათემატიკური მეთოდებით უზრუნველსაყოფად“. მიუხედავად ამისა, მათემატიკური მეთოდებით გამოწვეული „უქუებება“ ეკონომიკაში ჯერ კიდევ დაბალია. თუმცა შეიძლება გამოეთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ როდესაც „ეკონომიკა გაჯერდება მათემატიკური მეთოდებით“, მაშინ ეკონომიკური მეც-

⁵ В. М. Глушков. Макроэкономические модели и принципы построения ОГАС (методы оптимальных решений), М., 1975.

ნიერების ეფექტიანობის ამაღლებაში იქნება ასახული მათემატიკური მეთოდების წვლილიც. ამიტომ „ეკონომიკის მათემატიკური უზრუნველყოფის პროცესი“ უნდა გაგრძელდეს უწყვეტად, რომელიც მდგომარეობს ეკონომიკური ამოცანებისათვის მათემატიკური აპარატის შემდგომ განვითარებაში სპეციალური სახის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენებასა, ეკონომიკური ამოცანებისათვის პროგრამების გამართვაში ეგმ-ზე და სხვ.

სახალხო მეურნეობის დარგების გაჯერება იმ ახალი სპეციალისტებით, რომელიც მეცნიერულმა ტექნიკურმა პროგრესმა წარმოშვა, ბუნებრივად უკავშირდება ამ ახალი სპეციალობების შესახებ საზოგადოების აზრს. პროფესიული ორიენტაცია მოსწავლე ახალგაზრდობაში ამ ახალი სპეციალობებისა და დარგების მიმართ რეგულირდება მოსახლეობის განათლების მაღალი დონით. თუმცა რესპუბლიკის სინამდვილისათვის დამახასიათებელი არის ისეთი პროცესი, როდესაც ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად ირჩევს ტრადიციულ დარგებს, რომლის შედეგად ინერციით გრძელდება ამ დარგების მაღალი დონით გაჯერება, ხოლო ახალი დარგები შედარებით „დაუკომპლექტებელი“ რჩება. სასკოლო კურსით მათემატიკას კარგად დაუფლებული ახალგაზრდების მცირე ნაწილი სწავლობს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკურ სპეციალობებზე. ამით კიდევ უფრო მეტად ღრმავდება იმ ეკონომისტთა პროფესიონალთა დეფიციტი, რომლებიც დაუფლებულნი არიან მათემატიკურ აზროვნებას.

ფართოდაა ცნობილი სპეციალიზებული ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლების ეფექტიანობა, რომელიც იმ დიდი შრომისა და ზრუნვის შედეგია, რომელიც რესპუბლიკაში ტარდება. ანალოგიური გზით, საჭიროა შეიქმნას სპეციალიზებული საშუალო სკოლები ეკონომიკურ მათემატიკურ მეთოდებში, ეკონომიკაში, ეკონომიკურ კიბერნეტიკაში.

პერსპექტიული აზრს იმის შესახებ, რომ საჭაროა საშუალო სკოლაში ისწავლებოდეს პოლიტიკური ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობას დაგეგმვის ელემენტები შეიძლება დაემატოს ისიც, რომ მოწავლე ახალგაზრდობას უნდა გავუღვივოთ ინტერესი ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების, ეკონომიკური კიბერნეტიკის მიმართაც. საკითხის ასეთ დაყენებას მიყვართ იმ პროცესთან, რომ დაწყებულ უნდა იქნეს პედაგოგების მომზადება საშუალო სკოლებისათვის ზემოთ აღნიშნულ დისციპლინებში, იმ მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია სასკოლო რეფორმით. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შეუძლიათ საშეფო სკოლებთან თანამოაწილეობით შეარჩიონ და მოამზადონ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებსაც საშუალო სკოლიდანვე უნდა გავუღვივოთ ინტერესი იმ ახალი დეფიციტური სპეციალობის დაუფლებებისადმი, რომლებზედაც თანდათანობით იზრდება მოთხოვნილება უმაღლეს სკოლებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და საწარმოებში.

სახალხო მეურნეობის დარგებში მომუშავე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომ შეეძლოთ სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობაც. ასეთი შეესება შექმნის პირობებს ახალი მეცნიერული დარგების კვალიფიცირებული კადრებით განსამტკიცებლად. ამჟამად უფრო საწინააღმდეგო სურათს ვაწყდებით. მეცნიერული შედეგების დანერგვა ისე მიმდინარეობს, რომ მეცნიერ თანამშრომელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან უკავშირდება საწარმოს, სადაც სათანადო პირობები არ არსებობს.

ამიტომ მიმდინარეობს მეცნიერული შედეგების გაუბრალოება. ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ საწარმოში არ არსებობს მეცნიერული კოლექტივი, ხოლო უმადლესი განათლების სპეციალისტები ისეთ სამუშაოზე გამოიყენებიან, რომელიც მათ კვალიფიკაციას არ შეესაბამება. აღნიშნული უარყოფითი გავლენას ახდენს არა მარტო მეცნიერული შედეგების დანერგვაზე, არამედ უმადლეს სასწავლებლებში კვალიფიცირებულ სპეციალისტთა მომზადების პროცესზედაც. აქედან გამომდინარე ადგილი აქვს ისეთ სურათს, როდესაც ახალ დისციპლინებში მოსწავლე ახალგაზრდობა ცოდნას „იძულების“ გზით იმადლებს, ხოლო საფუძვლიან მომზადებას არჩევს სტუდენტთა ის ნაწილი, რომელსაც სამუშაო სამეცნიერო ინსტიტუტში აქვს შერჩეული.

აუცილებელია მსხვილ საწარმოებსა და გაერთიანებებში შეიქმნას სამეცნიერო კოლექტივები და გაძლიერდეს იმ ახალ დისციპლინებში ცოდნაზე მოთხოვნა, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა წარმოშვა. საშუალო სკოლებში სავალდებულო უნდა გახდეს პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ოპტიმალური პროგრამირების გამართლებული კურსის სწავლება, რაც საფუძვლად უნდა დაედოს წარმოების ტექნიკური საშუალებით უწყვეტად შეიარაღებისადმი ადაპტირებული, მეურნეობრივი ინიციატივის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება იმ ცოდნისა და უნარის დანაკლისის წინაშე, რომელსაც იძლევა მხოლოდ პროფესიული მომზადება⁶.

განვითარება თავისთავად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის როგორც მთლიანის კომპლექსურობას მის ცალკეულ მოვლენებში ოპტიმიზაციის მათემატიკური აპარატით მოდელირების ჩატარების აუცილებლობას. პროგრნოზებში იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები გახდება ეკონომიკაში კვლევის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი აპარატი, გულისხმობენ ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდების ფართო გამოყენებას, როდესაც წარმოების ოპტიმალური დაგეგმვა და მართვა იქნება ჩვეულებრივი პროცესი.

ოპტიმიზაცია, რომლის განხორციელებისათვის მათემატიკური პროგრამირების მეთოდები არის მოწოდებული, ფართოდ შეიჭრა არა მარტო ეკონომიკურ გამოკვლევებში, არამედ წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მართვის თითქმის ყველა რგოლში. ფართოდ გამოიყენება ტერმინი ოპტიმალური იმ მიზნის გამოხატვის პროცესში, როდესაც დასახულია მასალების რაციონალური ხარჯვა, მაქსიმალური შემოსავლის მიღება, დარგთა შეთანაწყობა და ა. შ..

ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატის განვითარების მიუხედავად ჯერ კიდევ ვერ არის რაოდენობრივად აღწერილი ეკონომიკური სისტემის რთული დინამიკური ურთიერთკავშირები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა კრილიში გამოვიკვლიოთ სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარეობა ექსტენსიურ და ინტენსიურ ფაქტორთა მოქმედებით. ინტენსიურ ფაქტორთა მოქმედების გაძლიერება მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში და მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, ამიტომ აუცილებელია გამოკვლევა ჩატარდეს კომპლექსურად, სისტემური მიდგომის საფუძ-

⁶ ბ. სარჩიმელია. მათემატიკური პროგრამირების სწავლების საკითხები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკოსთა X რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, თელავი, 1983, გვ. 133, 134.

ველზე შინაგან რაოდენობრივ დამოკიდებულებებში მაკროეკონომიკური კავშირების გამოვლენით.

ეკონომიკაში მათემატიკური აპარატის გამოყენების არც საკმარის ფართოა და იმედის მომცემი, ამასთან რთული და შრომატევადი ისე, რომ შეუძლებელი ხდება მეცნიერული ცოდნით შეიარაღების გარეშე განვეყრიტოთ არა თუ მოსალოდნელი ეფექტი, არამედ შევადგასოთ მიღებული შედეგები. ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევებში მიმდინარე ინტენსიური მუშაობის შედეგად სამი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში დაგროვდა გამოცდილება. მიუხედავად ამისა ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდების წარმოებაში დაწერგვა ისევე პრობლემად რჩება, ამასთან გამოვლინდა ახალი საკითხები და ამოცანები, კვლევამ მიიღო სისტემატიზებული ხასიათი.

ეკონომიკურ ამოცანათა კვლევის პროცესში გამოიკვეთა ორადობის მათემატიკური თეორიის შემდგომი სრულყოფის და ვექტორულ ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების ანალიზის მეთოდების შემუშავების აუცილებლობა.

ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში 70-იანი წლებიდან ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ყოვლისშემძლეობის მოჩვენებითობა რეალისტური სისტემური მიდგომით გამოვლინდა. აქაც ადგილი ჰქონდა გადაჭარბებას, რაც მათემატიკური მეთოდების გამოყენების თითქმის უარყოფაში გადაიზარდა. უფრო მოგვიანებით 80-იან წლებში შეიქმნა მანქანა ადამიანის ურთიერთობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და მანქანური მართვის ხელშემწყობი პირობები. დადგა დრო, როდესაც მაღალი შედეგობრიობის რწმენით ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას უნდა მიეცეს ფართო გზა.

როგორც ოპტიმიზაციის საფუძველი, შედარების ოპერაცია აუცილებელია დაინერგოს ეკონომიკაში. საჭიროა გაანალიზდეს წარმოების არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა ტექნოლოგია, მათგან შეირჩეს საუკეთესო. იმის გამო, რომ წარმოების დაგეგმვისა და მართვის ყოველ საფეხურზე ვაზრდილია მოთხოვნები, რაც განსაკუთრებით იძაბება წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში, წარმოების მიზანი მრავალმხრივი ხდება. ბუნებრივია ყველა მიზნის მაქსიმალურად დაკმაყოფილების ეფექტიანობაც. საკითხის ასეთ დასმას მიყვავართ ხოლმე ისეთ მიდგომარობასთან, რომ წარმოების ფუნქციონირებისათვის არა თუ ოპტიმალური, არამედ ამოხსნა არ გავაჩნია. პროცესი იძაბება, იწყება რეზერვების ძიება როგორც რესურსებში ასევე ტექნოლოგიაში. საბოლოოდ მიიღება ამოხსნა, გეგმა სრულდება, მაგრამ დანახარჯთა ოპტიმიზაცია განუხორციელებელი რჩება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში შეიქმნა პირობები მათემატიკური მეთოდების ეკონომიკაში გამოყენებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების სრულყოფის მიმართულებით, ინსტიტუტის სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების განყოფილებაში, როგორც ამ მიმართულების ერთ-ერთ უჯრედში, მიმდინარეობს ისეთი ამოცანების დამუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების შემდგომ განვითარებას, ეკონომიკური ამოცანების მათემატიკურ უზრუნველყოფას. განყოფილების მათემატიკიდან გამოიყოფთ შემდეგი სახის სამუშაოებს:

1. წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანებში რესურსთა რეზერვების

ორად შეფასებათა სრულყოფა (ოპტიმიზაციის პრობლემა ეკონომიკაში — მართლებით კვლევა).

2. ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირებისათვის გამართივებული განოთვლითი სქემის შემუშავება.

3. მათემატიკური მეთოდების გამოყენება სამრეწველო დარგთა რაციონალური შეთანაწყობის საფუძველზე სოფლის მეურნეობის შრომითი რესურსების სეზონური დასაქმების გამოთანაბრებისათვის.

4. რესპუბლიკის მეცნიერ კადრთა კვლავწარმოების კანონზომიერებათა დადგენა, კვალიფიციურ და დარგობრივი სტრუქტურის რეგულირების ამოცანის დასმა. სპეციალისტ კადრებზე მოთხოვნილების განსაზღვრის და რიცხოვნობის პროგნოზირების მეთოდების შემუშავება.

5. წარმოების ინტენსიური განვითარებისა და კვლავწარმოების მაკრომოდელირება.

განყოფილებაში შესრულებული სამუშაოებიდან შედეგი ეხება — რესურსთა რეზერვების ორად შეფასება-სრულყოფას წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანებში⁷, ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენების ეკონომიკურ პროგნოზირებაში⁸, ლოგიკურ წირთა სხვადასხვა მოდიფიკაციას და სპლან ფუნქციით ექსტრაპოლაციას, წარმოების ინტენსიური განვითარების მაკრომოდელირებას, კვლავწარმოების ოპტიმიზაციის ამოცანის დასმას.

გამოკვლეულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დარგებში მუშა ძალაზე მოთხოვნილების სეზონურობა, რაც გაპირობებულია აგროტექნიკური თავისებურებებით და იმ სირთულეებით, რომელიც ახასიათებს საქართველოს რელიეფს ტექნიკის გამოყენების მიმართ. დასმულ იქნა რა წლის განმავლობაში, თვეების მიხედვით, დასაქმებულთა შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილების ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა, მრეწველურ და სოფლის მეურნეობის დარგების შეთანაწყობის საფუძველზე დადგინდა დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის და სუბტროპიკული მეურნეობის ექვსი ადმინისტრაციული რაიონის მავალითზე დარგთა რაციონალური შეთანაწყობის შესაძლო ვარიანტები. ასეთი სახის ამოცანის გადაჭრამ მოითხოვა რესპუბლიკის მოსახლეობის ზრდის დინამიკის, სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსებისა და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა ცვლილების რაოდენობრივ კანონზომიერებათა გამოვლენა, მათ შორის ხელის შრომის შემცირებისა და მექანიზებული შრომის ზრდის ტენდენციის პროგნოზირება. შრომითი რესურსების კვალიფიციური სტრუქტურის ანალიზი, სპეციალისტებზე მოთხოვნილების პროგნოზირება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში⁹.

შედგენილია ოპტიმალური პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის მიზნის ფუნქციებით — შრომის მწარმოებლურობა (მაქსიმუმი) და სპეციალისტების მომზადებაზე დანახარჯები (მინიმუმი). გამოთვლები ჩატარებულია საქართველოს

⁷ Р. А. Сарчимелия. О задаче с несколькими целевыми функциями планирования производства. Сообщениям АН ГССР, 87, № 2, 1977.

⁸ Р. А. Сарчимелия. Задача установления вида экстраполяционной функции. Сообщения АН ГССР, 93, № 2, 1979.

⁹ მ. ქებუია. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის სოფლის მეურნეობაში. „მაცნე“, ფილოს. ფსიქოლ. და სამართლის სერია, 1979, № 3.

სსრ სოფლის მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების ტენდენციის განსაზღვრისა და რიცხოვნობის პროგნოზირებისათვის¹⁰.

განყოფილებაში გაიშალა მუშაობა რესპუბლიკის მეცნიერ კადრებზე მოთხოვნილების განსაზღვრისა და რიცხოვნობის პროგნოზირებისათვის¹¹. დამუშავებულია რიგი საკითხი, რომელიც ეხება მეცნიერ კადრთა კვალიფიკაციას, მეცნიერ კადრთა კვალიფიკაციური და დარგობრივი სტრუქტურის, შრომითი რესურსების საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო მოძრაობის დინამიკის მოდელირებას.

ზემოთ მოტანილ სამუშაოთა ძირითადი დანიშნულებაა გაზდენ ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი, რაც პირველ რიგში ხორციელდება მცირე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პირობებში.

Р. А. САРЧИМЕЛИЯ

ВОПРОСЫ МАТЕМАТИЧЕСКОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ ЭКОНОМИЧЕСКИ ЗАДАЧ

Резюме

Охарактеризованы те новые математические дисциплины, которые широко применяются в экономике. Проводимые работы по математическому обеспечению экономических задач представляют ряд направлений, в том числе введение элементов оптимизации в экономике, применение методов математической статистики, совершенствование экономико-математических моделей.

Охарактеризованы ступени применения экономико-математических методов в экономике. Выделены те проблемы, решение которых, по мнению автора, будут способствовать повышению эффективности математических методов в экономике в условиях республики. Особенно выделяется необходимость заботы ученых экономистов и математиков по подготовке кадров для экономико-математических исследований, для экономической кибернетики, создания условий для развития экономико-математического направления в республике.

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამების განყოფილებამ.

¹⁰ ნ. იაშვილი, ე. კაკულია, რ. სარჩიმელია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში „მაენე“, ფილოსოფიის ფსიქოლოგიის ეკონომიკისა და სამართლის სერია 1977, № 3.

¹¹ ე. ჩიქოვანი, სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციური სტრუქტურის ანალიზისათვის „მაენე“ ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 2; Р. А. Сарчимелия, Е. А. Чиковани, И. М. Рубинштейн. О методе прогнандирования потребности в научных кадрах «Мацне», Серия экономики права, 1982, № 1.

ბალერი ზალონსკი, ვიორა ბაგუა

შრომის მატერიალური სტიმულირების სისტემური ანალიზი

სისტემური მიდგომის როგორც მეცნიერული მეთოდის საფუძვლები იდეალისტური პოზიციებიდან პირველად დამუშავებული იქნა ჰეგელის მიერ, ხოლო ნამდვილად მეცნიერული დასაბუთებულობით და სიღრმით დამუშავა კ. მარქსმა. სისტემური მიდგომა განავითარა და დააკონკრეტა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც ზუსტად ჩამოაყალიბა მისი ძირითადი იდეა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ საგნის ნამდვილად ცოდნისათვის საჭიროა ყოველმხრივ მოვიცვათ იგი, შევისწავლოთ მისი ყველა მხარე, ყველა კავშირი. ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ამას სრულად, მაგრამ ყოველმხრივობის მოთხოვნა დაგვიცავს ჩვენ შეცდომისაგან¹.

თანამედროვე მეცნიერებას, სისტემური მიდგომა ეკონომიკური მოვლენების შესწავლისადმი, ესმის „ეკონომიკის როგორც ერთიანი მთლიანის კომპლექსური შესწავლა სისტემური ანალიზის პოზიციებიდან“².

ისეთი სისტემის განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერული ახსნა, როგორცაა შრომის მატერიალური სტიმულირება, შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც გულისხმობს დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას. დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს მატერიალური სტიმულირების განვითარების განხილვას როგორც წინსვლით მოძრაობას. მატერიალური სტიმულირების თითოეული მეთოდი და ფორმა აქტიურ ზეგავლენას ახდენს მშრომელებზე, მათი საშუალებით კი წარმოების განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლებაზე მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და კონკრეტულ პირობებში. ეკონომიკური სიტუაციის ცვლილების კვალობაზე წარმოიქმნება სტიმულირების ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფისა და ცვლილების აუცილებლობა.

დიალექტიკური მეთოდი მოიცავს ისტორიზმის პრინციპსაც. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ყველა საკითხი უნდა განიხილონ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში ცნობილი მოვლენა, რა ძირითადი ეტაპები გაიარა ამ მოვლენამ თავისი განვითარების მანძილზე და ამ განვითარების თვალსაზრისით შეეხედოთ, თუ რას წარმოადგენს ეს საგანი დღეს“.

მატერიალური სტიმულირების სისტემის კვლევა გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის გამოყენებას. ანალიზი, რომელიც წინ უძღვის სინთეზს, სტიმულირების სისტემას ანაწევრებს, ერთის მხრივ, მისი განვითარების ცალკეულ ეტაპებად, ხოლო მეორეს მხრივ, დიფერენცირებას უკეთებს მის ცალკეულ ელემენტს ყოველ ეტაპზე. ანალიზი საშუალებას იძლევა ჩავწედოთ

¹ В. И. Ленин, псс, т. 42, с. 290.

² Н. П. Федоренко, Системный подход к изучению экономических явлений.— В кн.: Математика и кибернетика в экономике, М., Экономика, 1975, с. 517.

³ В. И. Ленин, псс, т. 39, с. 67.

როგორც სტიმულირების არსს ყოველ ეტაპზე, ასევე სტიმულირების თითოეული ელემენტის — სატარიფო სისტემის, ნორმირების, ხელფასის ფორმებისა და სისტემების არსს, გავსხნათ მათი წარმონაქმნისა და გამოყენების ძირითადი პრინციპების შინაგანი, ლოგიკური დამოკიდებულებები.

სინთეზი წარმოადგენს ნაწილების შეერთებას. იგი უზრუნველყოფს სტიმულირების სისტემის ელემენტების განზოგადობისა და სისტემატიზაციის შესაძლებლობას, საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თუ რა მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული მომუშავეთა სტიმულირების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

სინთეზის განხორციელება შესაძლებელია მატერიალური სტიმულირების განვითარებისადმი მხოლოდ სისტემური მიდგომის გამოყენებით. ასეთი მიდგომისას სტიმულირების არც ერთი ფორმა, არც ერთი მეთოდი არაა იზოლირებული, ისინი განიხილება ერთობლიობაში.

მართებულად მიგვაჩნია ლ. ი. ლობატნიკოვის აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია შევხედეთ სისტემური მიდგომის ორგვარ გავებას: ერთი მხრივ, ეს არის არსებული სისტემების განხილვა — ანალიზი, მეორე მხრივ კი — შექმნა, ან როგორც ხშირად ამბობენ, კონსტრუირება, სინთეზი სისტემებისა რაიმე მიზნის მისაღწევად. ეს ორგვარობა ასახავს საქმეთა რეალურ მდგომარეობას. ანალიზი და სინთეზი მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ მატერიალური სტიმულირების მთელი რთული მექანიზმი, ღრმად ჩაეწვდეთ მატერიალური სტიმულირების განვითარების დიალექტიკას, გამოვყოთ ძირითადი კანონზომიერებანი მის განვითარებაში. ამრიგად, მატერიალური სტიმულირების სისტემაში მომხდარი ცვლილებების კანონზომიერებათა გამოსაკვლევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოვყოთ სტიმულირების სისტემის განვითარების შემადგენელი ეტაპები, განვიხილოთ ერთი ეტაპის მეორეთი შეცვლის პროცესი.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ისეთი მეცნიერული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს კვლევის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შეთანაწყობას. ისინი განუყოფლად არიან ურთიერთდაკავშირებული: პირველი საშუალებას იძლევა დავადგინოთ ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებანი სტიმულირების სისტემის ცვლილებაში, მეორე — უფრო სრულად განვიხილოთ პრაქტიკული გამოცდილება, განვსაზღვროთ რამდენად ეფექტიანი იყო სტიმულირების ესა თუ ის სისტემა (ელემენტების მიხედვით ანალიზთან ერთად), გავსხნათ მისი ძირითადი ნაკლოვანებები, გამოვიტანოთ ღრმა დასკვნები და განზოგადებები, დავსახოთ სისტემის სრულყოფის გზები.

როგორც აღნიშნული იყო, სტიმულირების სისტემა ვითარდება სახალხო მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, ამიტომ ცვლილებები სტიმულირების სისტემაში გამოკვლეული უნდა იქნას წარმოების განვითარების კანონზომიერებებთან კავშირში და მათ დაქვემდებარებაში.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მატერიალური სტიმულირების მექანიზმის კომპლექსური სისტემური გამოყენება მისი ცალკეული ელემენტების ინტეგრირების საფუძველზე. ეს დაკავშირებულია არა მარტო სისტემის მნიშვნელობის ზრდასთან, არამედ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის ხასიათის, მისი შინაარსის ცვლილებების აუცილებლობასთანაც.

ამრიგად, მატერიალური სტიმულირების შესწავლისას მეცნიერული მეტოდოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს მისი განვითარების ტენდენციების დადგენას, იძლევა სტიმულირების ფორმებსა და მეთოდებში ყოველგვარი ცვლილებებისადმი კრიტიკული მიდგომის საშუალებას, ქმნის მოცემულ ეტაპზე სტიმულირების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემების სწორი გადაწყვეტის საფუძველს.

ახლა განვიხილოთ საკითხი შრომის სტიმულირების სისტემის იერარქიულობის შესახებ.

ამ მიზნით დავახასიათოთ სისტემა საერთოდ, როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტების სიმრავლე, რომელიც წარმოქმნის გარკვეულ მთლიანობას, ერთიანობას. ის ხასიათდება არა მარტო მის შემადგენელ ელემენტებს შორის კავშირებისა და დამოკიდებულებების არსებობით, არამედ აგრეთვე განუყოფელი ერთიანობით გარემოსთან, რომელთანაც ურთიერთობაშიც სისტემა ამჟღავნებს თავის მთლიანობას.

ნებისმიერი სისტემა შეიძლება განხილული იქნეს როგორც უფრო მაღალი იერარქიული დონის სისტემის ელემენტი, მაშინ როცა მისი ელემენტები შეიძლება წარმოადგენდნენ უფრო დაბალი რიგის სისტემას. სისტემის ელემენტები სისტემური ანალიზის ფარგლებში განიხილება, მთელის შიგნით მათი ადგილის, დროისა და ფუნქციების გათვალისწინებით. ისინი განიხილება როგორც შეფარდებით განუყოფელნი, ე. ი. განუყოფელნი გარკვეული ამოცანისა და მოცემული ობიექტის კონტექსტში. სისტემის ელემენტი წარმოადგენს სისტემის მინიმალურ კომპონენტს, ან მოცემული ამოცანის ფარგლებში მისი დანაწევრების მაქსიმალურ ზღვარს. ამასთან თითოეული ელემენტი სისტემაში განიხილება როგორც მთლიანის ნაწილი, როგორც ქვესისტემა, რომლის ფუნქციები და ყოფიქცევა დამოკიდებულია არა მარტო მის თვისებებზე, არამედ აგრეთვე მთლიანად სისტემის თვისებებზეც.

აქედან გამომდინარე შრომის სტიმულირების სისტემის კვლევისას აუცილებელია გენეტიკური და სტრუქტურული მიდგომების გამოყენება.

გენეტიკური მიდგომა ნიშნავს სტიმულირების სისტემის ძირითადი კავშირისა და დამოკიდებულების, ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი კანონზომიერების გახსნას, მისი გენეტიკური საწყისის გამოკვლენას. მომუშავეთა სტიმულირების სისტემისადმი გენეტიკური მიდგომა ნიშნავს საზოგადოების მოძრავი ძალების შემდეგი სტრუქტურის ფორმირებას: „მოთხოვნილება-ინტერესი-სტიმული-დაინტერესება“. აღნიშნული სისტემის ელემენტები არიან ერთიანი, აქვთ საერთო გენეტიკური საფუძველი, რომელიც წარმოდგენილია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებით. განსახილველ სისტემაში მოთხოვნილებათა ურთიერთობანი პირველადია და შეიცავს თავის თავში მის გენეტიკურ საწყისს. წარმოების საშუალებებზე

საზოგადოებრივი საკუთრება და შრომის მიხედვით განაწილების კანონი განაპირობებენ სისტემის დანარჩენი ელემენტების გენეტიკურ ერთგვარობას.

სტრუქტურული მიდგომა გულისხმობს სისტემის ელემენტს შორის კავშირებისა და ურთიერთობების ფუნქციონირების ანალიზს. სისტემის სტრუქტურული ელემენტის შესწავლა საშუალებას იძლევა გამოავლინოთ მათი სპეციფიკური თავისებურებანი. სისტემის თითოეული ელემენტის ფუნქცია დამოკიდებულია სხვა დანარჩენი ელემენტების ფუნქციებზე და მათ ურთიერთქმედებაზე.

ზემომოყვანილიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სისტემური ობიექტის შესწავლისას აუცილებელია გამოვავლინოთ მისი გენეტიკური საწყისი, გავანალიზოთ ამ ობიექტის ყველა ქვესისტემა, დავადგინოთ მათ შორის კავშირები, ხოლო მოცემული ობიექტის განსახილველი სისტემა შევისწავლოთ როგორც რაიმე უფრო ფართო სისტემის ქვესისტემა.

სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმი არის საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების მთლიანობითი სისტემა მისთვის დამახასიათებელი მეთოდებით, ეკონომიკური ბერკეტებითა და სტიმულირებით, ადამიანების შრომისადმი მიზიდვის ორგანიზაციული ფორმებითა და ხერხებით. სამეურნეო მექანიზმის არსი და სტრუქტურა განპირობებულია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებით.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა განვითარებული სოციალიზმის პირობებში ხორციელდება მიზანდასახულად და შეგნებულად, საწარმოო ძალების დინამიურად, ცვალებად დონესთან წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობაში მოყვანის საფუძველზე.

სამეურნეო მექანიზმის წამყვან სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს შრომის მართვის მექანიზმი (სისტემა). „სოციალიზმის შრომის მართვის ძირითადი ობიექტებია: საზოგადოებრივი შრომის პროცესი, როგორც მიზანშეწონილი საქმიანობა და მისი შედეგიანობა; ადამიანებს შორის ურთიერთობანი საზოგადოებრივ შრომაში მათი მონაწილეობის თვალსაზრისით (შრომათი ურთიერთობები) და მათი სრულყოფა; შრომელი ადამიანისა და შრომითი კოლექტივების განვითარება, სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოება“⁵.

შრომის მართვის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი რგოლებია: შრომის დაგეგმვა. მისი ორგანიზაცია, სტიმულირება, შრომის ოპერატიული მართვა, კონტროლი. აღრიცხვა და შრომითი მაჩვენებლების ანალიზი.

შრომის მართვის მექანიზმის ფუნქციონირების ყველაზე აქტუალური პრობლემა მისი სტიმულირების სრულყოფაა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ რგოლებს: შრომის ნორმირება, სატარიფო სისტემა, ხელფასის ფორმები და სისტემები, პრემირება, სხვადასხვა დანამატები და სხვა.

უკანასკნელ ხანს შრომის მატერიალური სტიმულირების ორგანიზაციაში მოვების რგოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით შესუსტდა ეკონომისტების ყურადღება ხელფასისა და მისი შემადგენელი ნაწილების მასტიმულირებელი როლის საკითხების შესწავლისადმი. ცალკეულ შემთხვევებში კი

⁵ Система управления трудом в развитом социалистическом обществе. Руковод. авторского коллектива Б. М. Сухаревский, М., «Экономика», 1983, с. 9

სატარიფო სისტემა, ზოგჯერ, ხელფასის ფონდიდან გასაცემიც, შრომის მატერიალური სტიმულირების სისტემიდან სრულებით გამოირიცხებოდა. ზოგიერთ ეკონომისტს შრომის მატერიალური სტიმულირება წარმოუდგენია მხოლოდ როგორც პრემიების ორგანიზაციის ღონისძიებათა სისტემა. გარდა ამისა ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი ხელფასის თითოეული სტრუქტურული ელემენტის როლზე შრომელთა შრომის რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის საკითხში⁶. კვლავ დისკუსიის საგნად რჩება საკითხი სატარიფო სისტემის, პრემიების, შრომის ნორმების ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ შრომის მიხედვით განაწილების სისტემაში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის სტიმულირებაში დღეისათვის ვლინდება ორი ტენდენციის მოქმედება. ერთი მხრივ, მიმდინარეობს შრომის ანაზღაურების სხვადასხვა ელემენტების აქტიური ურთიერთმოქმედების პროცესი: სატარიფო განაკვეთების ამაღლება იძლევა ნორმირების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას; შრომის ნორმების ტექნიკური დასაბუთება ბევრად განსაზღვრავს შრომის შედეგების შეფასების სისწორეს, მუშაობის რაოდენობრივი შედეგების სტიმულირებასთან დაკავშირებული წამახალისებელი სისტემების გამოყენების ეფექტიანობას; სატარიფო განაკვეთების მიხედვით შრომის ანაზღაურება უშუალო გავლენას ახდენს პრემიების ქმედითობასა და დასაბუთებულობაზე, რადგან პრემია ვაიცემა სატარიფო განაკვეთზე, სარგებლისადმი განსაზღვრული პროცენტის მიხედვით. გარდა ამისა შრომის ანაზღაურების სხვადასხვა ფუნქციებისა და ელემენტების ინტეგრაცია გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ჯერ ერთი ნარდად მომუშავე მუშების შრომის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმირება ხორციელდება შრომის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგებისათვის წახალისების სხვადასხვა ფორმირების საშუალებით და მეორე, დროით ანაზღაურების სამუშაოზე მყოფი მუშებისათვის წესდება ნორმირებული დავალებები და მყარდება მჭიდრო კავშირი მათ წახალისებასა და მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს შორის.

მეორე მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში მოქმედებენ შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში უნიფიკაციის პროცესები, ადგილი აქვს ყოველი ელემენტის ფუნქციის და მნიშვნელობის დიფერენციაციას, რაც მიუხედავად ამისა არ ეწინააღმდეგება პირველ ტენდენციას. ეს დაკავშირებულია შრომის სირთულის გათანაბრებასთან მისი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების ამაღლების პირობებში.

ამის შედეგად ჩნდება შრომის ანაზღაურებისა და ორგანიზაციის ახალი ფორმები, რომელთა არსი მდგომარეობს ცალკეული მუშაკებისა და მთლიანად კოლექტივების ხელფასის უფრო მჭიდროდ დაკავშირებაში მუშაობის საბოლოო რაოდენობრივ და ხარისხობრივ შედეგებთან. ამის მაგალითია შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა, რომელიც ამჟამად ფართო გავრცელებას პოულობს.

⁶ См. например, Е. И. Капустин, Качество труда и заработная плата. М., 1964, с. 49, 59; С. Шкурко, Совершенствование форм и систем заработной платы, М., 1975, с. 14—15; В. П. Бабич, Экономические проблемы нормирования и оплаты труда. Киев, Вища школа, 1982, с. 145, и др.

აღნიშნული ორი ტენდენცია და მათი შედეგები წარმოადგენენ მატერიალური სტიმულირების სისტემურობის ნიშნებს: ცალკეული ელემენტების თვისებები მთლიანად ვერ განსაზღვრავენ მთელი სისტემის თვისებებს, ამიტომ სისტემური ობიექტის კვლევისას არ შეიძლება ცალკეული ნაწილების ანალიზის მიხედვით ვიმსჯელოთ მთელი სისტემის შესახებ. ელემენტებს შორის ურთიერთმოქმედება გავლენას ახდენს თვით ელემენტებზეც, რის შედეგადაც მლიანობითი სისტემა იძენს ახალ თვისებებს, განსხვავებულს, მისი შემადგენელი ელემენტების თვისებების ჯამისაგან.

ამრიგად, მატერიალური სტიმულირების როგორც სისტემის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მისი ელემენტები, ცალ-ცალკე აღებული, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, ვერ ახასიათებს მოცემულ სისტემას მთლიანად: ყოველი ელემენტი ასრულებს გარკვეულ როლს და უნიფიცირებულია. ამავდროს ამ ელემენტებს შორის ადგილი აქვს ინტეგრაციის პროცესს, ერთი ელემენტის, მნიშვნელობის შეცვლასთან ერთად შესაბამისად იცვლება სხვების მნიშვნელობაც.

მატერიალური სტიმულირების, როგორც სისტემის, ორგანიზაცია მოითხოვს:

— სტიმულირების ობიექტებისა და სუბიექტების განსაზღვრას;

— სტიმულირების ლოკალური მიზნების განსაზღვრას და მათ კონკრეტულ ეკონომიკურ გამოხატულებას წასახალისებელი ობიექტის ფუნქციონირების პირობებთან, სფეროფიციურისა და შესაძლებლობებთან შეფარდებით;

— შრომის სტიმულირების ელემენტის შერჩევას და მათ ურთიერთდაკავშირებას;

— კრიტერიუმების პოვნას, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება წასახალისებელი ობიექტის საქმიანობის შეფასება;

— წასახალისებელი ობიექტების საქმიანობის მაჩვენებლებსა და გასამარჯლოს ზომას შორის რაოდენობრივი დამოკიდებულებების დადგენას.

შრომის სტიმულირების სისტემის კრიტერიუმი მისი ეფექტიანობის ამაღლება შრომის პროცესის შედეგების ეფექტის უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევის საფუძველზე. მისი უმცირესი დანახარჯების პირობებში. თუ ეს კრიტერიუმი არ მიიღწევა, მაშინ შრომის მატერიალური სტიმულირების სისტემა არაეფექტიანია, რადგან შეუძლებელი ხდება შრომის მაქსიმალური შედეგების მიღწევა მისი უმცირესი დანახარჯებით.

მატერიალური სტიმულირების, როგორც სისტემის განხილვა აქტუალურს ხდის საკითხს ხელფასის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების შორის ეკონომიკურად დასაბუთებული ურთიერთდამოკიდებულებების დადგენის შესახებ. ხელფასის სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხები განხილულია ლ. კუნელსკის⁷ და ვ. ბაბიჩის⁸ შრომებში.

საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობა თვლის, რომ შრომის სტიმულირებაში აუცილებელია ტარიფით ანაზღაურების ქმედითობის შემდგომი ამაღლება იმ მიზნით, რომ ხელფასის ეს ძირითადი ნაწილი იყოს პირდაპირ

⁷ Л. Э. Кунельский, Повышение стимулирующей роли заработной платы и оптимизация ее структуры, «Экономика», М., 1975, с. 55—89.

⁸ В. П. Бабич, Экономические проблемы нормирования и оплаты труда, Киев, Вища школа, 1982, с. 144—158.

და უშუალოდ დამოკიდებული მუშაობის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მაჩვენებლებზე, ამავე დროს ეფექტიანობისა და ხარისხის მაჩვენებლებმა ბევრად უფრო მეტი ასახვა უნდა ჰპოვოს პრემიების სისტემების სრულყოფისას. ამასთან ერთად მატერიალური სტიმულების სისტემაში მთავარ და ყველაზე ნაკლებად გადაწყვეტილ საკითხს წარმოადგენს შრომის ნორმირებისა და მისი ანაზღაურების ნორმების დადგენა.

შრომის ნორმირება, როგორც სტიმულირების ორგანიზაციის მექანიზმის სტრუქტურული ელემენტი შრომის მიხედვით განაწილების რეალიზაციის — ფუნქციის ანხორციელებს იმ შემთხვევაში, თუ შრომის ნორმები თანაბრად დასაბუთებულია, აქვთ დაძაბულობის თანაბარი ხარისხი.

სტიმულირების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტებია ხელფასის ფორმები და სისტემები. ტექნიკური პროგრესი, მომუშავეთა მეცნიერულ-ტექნიკური დონის ზრდა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება განაპირობებენ ხელფასის ფორმებისა და სისტემების სრულყოფის აუცილებლობას. თუ საბჭოთა ეკონომისტებს შორის ხელფასის სტრუქტურის შესახებ არ არის არცერთი აზრთა სხვადასხვაობა — უმრავლესობას აქ შეჰყავს სატარიფო სისტემა, შრომის ნორმირება, ხელფასის ფორმები და სისტემები, — სტიმულირების სისტემის სტრუქტურის საკითხში საერთოდ აზრთა სხვადასხვაობაა.

ავტორთა ერთ ნაწილს მატერიალური სტიმულირების სისტემაში შეჰყავს მხოლოდ „პრემიის“ ცნება, რითაც საგრძნობლად ავიწროვებენ მის ფუნქციას. მაგალითად, კ. მიკულსკი წერს, რომ „მატერიალური სტიმულირება — ეს არის უპირველეს ყოვლისა დამატებითი ანაზღაურება დამატებითი შრომის დანახარჯებისათვის“⁹. ამავე აზრისაა ვ. მაკეევი¹⁰.

ავტორთა მეორე ნაწილი შრომის სტიმულირების ფორმების შინაარსს ზღუდავს მხოლოდ სატარიფო ანაზღაურებით და პრემიის სხვადასხვა სახეებით¹¹.

ავტორთა მესამე ნაწილს მატერიალური სტიმულირება დაჰყავს ხელფასის ორგანიზაციამდე ამ სიტყვის ფართო გაგებით. მაგალითად, ე. მანევიჩი წერს, რომ „მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის მთელი ორგანიზაცია — სატარიფო სისტემა, შრომის ნორმირება, შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები, თანამდებობრივი სარგოები, სხვადასხვა პრემიალური დებულებები — ემსახურება მატერიალურ სტიმულირებას“¹². რ. მაზიტოვა თავის ნაშრომში აგრეთვე აღნიშნავს, რომ ხელფასის ორგანიზაციის მაქანიზმის საყოველთაოდ მიღებული ელემენტებია სატარიფო სისტემა, შრომის ნორმირება, ხელფასის ფორმები (მათი ნაირსახეობები)¹³.

⁹ К. И. Микულский, Совершенствование распределения по труду в странах СЭВ. — «Вопросы экономики», 1975, № 1, с. 77.

¹⁰ В. А. Макеев, Совершенствование организации, нормирования и стимулирования труда, «Профиздат», 1983, с. 119.

¹¹ Экономический закон распределения по труду: сущность, действие и использование (под. ред. И. Кузьминова и др.) М., 1975, с. 45; Л. А. Костин, А. И. Милуков Стимулирующая роль оплаты по труду: «Знание», М., 1977, с. 13; О. А. Турецкий, Эффективность труда в промышленности, Киев, «Техника», 1981, с. 125 и др.

¹² Е. Л. Маневич, Вопросы труда в СССР, «Наука», М., 1980, с. 163.

¹³ Р. К. Мазитова, Заработная плата и проблемы ее взаимосвязи с экономичес-

ამასთან ერთად ავტორთა საკმაოდ დიდი ნაწილი აიგივებს მატერიალურ და ეკონომიკურ სტიმულირებას. მაგალითად, ი. თბლომსკაია წერს, რომ „მატერიალური ანუ ეკონომიკური სტიმულირებაა ფორმები, ინსტრუმენტები, ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოების წევრთა მიერ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მითვისება განპირობებულია მათი მონაწილეობით საზოგადოებრივ წარმოებაში“¹⁴. დ. ბოგინია ეკონომიკურ სტიმულირებას აკუთვნებს აგრეთვე ძირითად ხელფასს. პრემიებს, მოგებას, ფონდებზე გადასახდელს და ა. შ.¹⁵. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ „მატერიალური სტიმულირების სისტემა პრაქტიკულად მოიცავს ხელფასის ორგანიზაციის პრინციპებს, სამეურნეო ანგარიშიანი სტიმულირების ფართო სისტემის შექმნას (მოგების განწილებისა და გამოყენების წესების სრულყოფა)“¹⁶.

ამასთან ამ ცნებათა გამიჯვნის გასაღები მოგვცა ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა. ეკონომიკური ინტერესი („უწყებრივი ინტერესები“) მან დაუკავშირა საწარმოს სამეურნეო ანგარიშს, მის მომგებიანობას ეკონომიის რეჟიმის უზრუნველყოფას და ა. შ. ხოლო მატერიალური ინტერესი კი — ხელფასს, პრემიების გაცემას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას¹⁷.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რიგი ავტორების აზრი მატერიალური სტიმულირების შესახებ. მაგალითად, ი. არტემოვი წერს, რომ „შრომის ანაზღაურების როლის გაძლიერებასთან ერთად აუცილებელია სტიმულირების ისეთი ფორმების ქმედითობის ამაღლება, როგორცაა საცხოვრებელი ფართის მიცემა და მშრომელთა სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“¹⁸. ვ. კულიკოვი ასევე აღნიშნავს, რომ მატერიალური სტიმულირება „უპირატესად ხორციელდება შრომის მიხედვით ანაზღაურების, აგრეთვე სხვა ფორმების (საცხოვრებელი ფართის მიცემა, სხვადასხვა სოციალური შეღავათები და სხვა) ხარჯზე“¹⁹. ლ. გილიაროვსკაია იძლევა მატერიალური სტიმულირების ფართო განსაზღვრებას. მაგალითად, მატერიალური სტიმულირების ფორმებს იგი აკუთვნებს „როგორც ხელფასს, ისე პრემიას, ისე დასასვენებელ სასლებში, სანატორიუმებსა და ტურბაზებში საგზურების გაცემას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ღონისძიებებს, რომლებიც გამიზნულია წარმოების კულტურის, შრომის უსაფრთხოების, განათლებისა და

კიმი интересами (Вопросы теории и методологии), Изд-во Казанского университета, 1983, с. 49.

¹⁴ И. Я. Обломская, Система личных материальных интересов при социализме «Экономика», М., 1977, с. 31.

¹⁵ Д. П. Богиня, Эффективность общественного труда в условиях развитого социализма (проблемы теории и практики), Киев, «Наукова думка», 1982, с. 214.

¹⁶ Д. П. Богиня, Эффективность общественного труда в условиях развитого социализма (проблемы теории и практики), Киев, Наукова думка, 1982, с. 213.

¹⁷ В. И. Ленин, псс, т. 44, с. 342—343, 335—336.

¹⁸ Ю. Артемов, Материальные стимулы в хозяйственном механизме, «Вопросы экономики», 1980, № 11, с. 60.

¹⁹ В. Куликов, Система стимулов к труду. Всб.: Совершенствование организации и оплаты труда в промышленности, Иваново, 1981, с. 134.

კვალიფიკაციის, სამსახურებრივი დაწინაურების პერსპექტივობის, კვებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების ამალღებისაკენ²⁰.

რიგი ავტორებისა სამართლიანად მიუთითებენ მატერიალური სტიმულირების პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობაზე. მაგალითად, ნ. ფედორენკო და პ. ბუნიჩი თვლიან, რომ „მხოლოდ შრომის ანაზღაურების ძირითადი და დამატებითი ფორმების კომპლექსური გამოყენებისას შრომითი საქმიანობის სტიმულირებაში შესაძლებელია წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა“²¹. ს. შკურკო აგრეთვე წერს მატერიალური სტიმულირების კვლევაში კომპლექსური მიდგომის შესახებ. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ „შრომის ანაზღაურებისა და მისი მატერიალური სტიმულირების საკითხებისადმი მხოლოდ კომპლექსური მიდგომის საშუალებით არის შესაძლებელი სწორად განისაზღვროს მატერიალური სტიმულირების ადგილი და როლი სამეურნეო მექანიზმში“²².

ლ. კუნელსკი აღნიშნავს, რომ „ხელფასის მხოლოდ ცალკეული ელემენტების — სატარიფო სისტემის, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურების ფორმებისა და წამახალისებელი სისტემების — სრულყოფა არ იძლევა სათანადო ეფექტს, ვინაიდან ამ დროს წყდება მთლიანად მატერიალური დაინტერესების ამალღების მნიშვნელოვანი, მაგრამ ცალმხრივი ამოცანები. აუცილებელია შრომის ანაზღაურების ელემენტების მრავალმხრივი გამოყენება“²³. შემდგომ იგი წერს, რომ „თანამედროვე პირობებში და მიუთმეტეს პერსპექტივაში საყოველთაო გავრცელებას ჰპოვებს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის კომპლექსური და ამავე დროს მოქნილი სისტემები. ასეთი სისტემები ემყარებიან ახალი და უახლოესი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებას, ისინი მოითხოვენ შრომის ორგანიზაციის დონის არსებით ამალღებას, მოწყობილობისა და სამუშაო დროის უფრო მწარმოებლურ გამოყენებას“²⁴.

ჩვენი აზრით, მატერიალური სტიმულირების ორგანიზაციის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა მდგომარეობს არა მარტო ყველა ელემენტის, არამედ აგრეთვე შრომის ანაზღაურების ყველა წყაროს: ტარიფებისა და განაკვეთების მიხედვით ანაზღაურების, შრომის ანაზღაურების ფორმებისა და წამახალისებელი სისტემების, შრომის ნორმირების, სხვადასხვა გასაცემლებისა და დანამატების, აგრეთვე ხელფასის ფონდის, წამახალისებელი ფონდების წარმოქმნის, პრემირების სპეციალური სისტემების მიხედვით სახსრების დაგეგმვის სრულყოფაში.

მრავალი ავტორი სამართლიანად მიუთითებს მრეწველობაში შრომის ანაზღაურების დროითი ფორმების გამოყენების სფეროს გაფართოება-

²⁰ Л. Т. Гиляровская, Комплексный анализ материального стимулирования труда, Воронеж, изд-во Воронежского университета, 1982, с. 48—49.

²¹ Н. П. Федоренко, П. Г. Бунич, Механизм экономического стимулирования при социализме (опыт и проблемы) «Экономика», М., 1973, с. 248

²² С. И. Шкурко, Стимулирование качества и эффективности производства, «Мысль», М., 1977, с. 5.

²³ Л. Э. Кунельский, Заработанная плата и стимулирование труда. Социально-экономический аспект., М., «Экономика», 1981, с. 38.

²⁴ Там же.



ზე, რაც განპირობებულია ცვლილებებით წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიაში, რომლებიც ვაგლენას ახდენენ შრომის ხასიათის ცვლილებაზე²⁵.

ამასთან ერთად, ჩვენ ვიზიარებთ ლ. კუნელსკის აზრს იმის შესახებ, რომ „საწარმოებში, გაერთიანებებსა და დარგებში შრომის სანარდო ანაზღაურების გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა (ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვა, რომლებიც შეხამებული არიან მუშების პრემირებასთან, განსაკუთრებით მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის) დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა შრომის ნაყოფიერების ზრდის სტიმულირების თვალსაზრისით შესაბამისი საწარმოო ორგანიზაციული და ტექნიკური ფაქტორების არსებობის პირობებში მათი გამოყენებისათვის“²⁶.

ხელფასის ორგანიზაციის მთელი სისტემა, მისი დიფერენციაცია შრომის ნორმირება, სატარიფო სისტემა, ხელფასის ფორმები და სისტემები და სხვა) — ეს არის უპირველეს ყოვლისა შრომის მიხედვით განაწილების კანონის რეალიზაციის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. შრომის მიხედვით განაწილების კანონის ყოველმხრივი დაცვა წარმოადგენს მატერიალური სტიმულირების მთელი სისტემის რაციონალური ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.

სტიმულირების სისტემა იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ვინ გამოდის სტიმულირების ობიექტად, შესაძლებელია პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: ინდივიდუალური და კოლექტიური. სტიმულირების პირველი ჯგუფი გათვალისწინებულია მუშაზე უშუალო ზემოქმედებისათვის, მეორე კი მთლიანად კოლექტივზე ზემოქმედებისათვის.

ინდივიდუალური შრომის სტიმულირება ხორციელდება ძირითადად ხელფასის სხვადასხვა სისტემების მეშვეობით შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის შესაბამისად. კოლექტიური შრომის სტიმულირება ხორციელდება ძირითადად სხვადასხვა პრემიალური ვასაცემლების მეშვეობით.

წარმოების მუდმივი ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა ინიციატივის შემდგომ განვითარებას, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის საქმეში მათი უფლებების გაფართოებას. ეს ხორციელდება შრომის ანაზღაურების დადგენილი პირობების გამოყენებაში მოქნილობის გაძლიერებით, როგორც წამახალისებელი სისტემების, ისევე სატარიფო სისტემების მიმართ.

საწარმოთა უფლებების გაფართოება შრომისა და ხელფასის საკითხებში ახასიათებს მატერიალურ სტიმულირებას, როგორც ადაპტიურ სისტემას. მატერიალური სტიმულირებისათვის, როგორც ადაპტიური სისტემისათვის დამახასიათებელია ორი ნიშან-თვისება: თვითგამმართვადობა და თვითორგანიზებულობა.

²⁵ П. Ф. Петроченко, И. Я. Лясников, Экономика труда в промышленности, М., «Экономика», 1979, с. 121; Г. И. Бакланов, В. Н. Адамов, А. Н. Устинов, Статистика промышленности, М., Финансы и статистика, 1982, с. 200; Система управления трудом в развитом социалистическом обществе. Руковод. авторского коллектива Б. М. Сухаревский, М., Экономика, 1983, с. 155.

²⁶ Л. Э. Кунельский, Повышение стимулирующей роли заработной платы и оптимизация ее структуры, М., Экономика, 1975, с. 65—66.

5. მაკენე, ეკონომიკისა და საპრობლემის სერია, 1985, № 1

პირველ შემთხვევაში გარემოს ცვლილებების შესაბამისად იცვლება სისტემის ფუნქციონირების წესი (მაგალითად, საწარმო ამუშავენს პრემიალურ დებულებებს, რომლებიც ასტიმულირებს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით), მეორეში იცვლება სისტემის სტრუქტურა ორგანიზაცია (მაგალითად, წარმოიშვება მატერიალური სტიმულირების ახალი, მანამდე არარსებული სახეები).

ამის შედეგად ხორციელდება მატერიალური სტიმულირების სისტემის ადაპტაცია ბუნებრივ პირობებთან და მიიღწევა მისი ადეკვატურობა არსებულ სამეურნეო სიტუაციასთან.

მატერიალური სტიმულირების, როგორც სისტემის, სტიმულირება მოითხოვს მისი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას. მატერიალური სტიმულირების სისტემის ეფექტიანობის პირობებს:

1. მატერიალური სტიმულირების სისტემა უნდა ემყარებოდეს საქმიანობის შეფასების ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა მიღწევა უმეტესწილად დამოკიდებულია მუშაობის პირობებსა და ხარისხზე, მომუშავეთა შემოქმედებით ინიციატივაზე. ეს მაჩვენებლები თავისუფალი უნდა იყოს იმ გარეშე ფაქტორების გავლენისაგან, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მომუშავეებზე.

2. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მატერიალური სტიმულირების სისტემის კომპლექსურობა საქმიანობის შეფასებისათვის მაჩვენებელთა სისტემის გამოყენების საფუძველზე ერთდროულად მატერიალური სტიმულირების მრავალი ფორმისა და მეთოდის, ხელფასის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმისა და მატერიალური წახალისების სხვადასხვა სისტემის გამოყენებასთან ერთად.

3. მიღწეული უნდა იქნეს მატერიალური სტიმულირების სისტემის ყველა ელემენტის სინქრონულობა, შეთანხმებულობა, ურთიერთდაკავშირება, სტიმულირების სისტემის ცალკეული რგოლები უნდა ვითარდებოდნენ არა ავტონომიურად, არამედ როგორც შემადგენელი ელემენტები საერთო სისტემაში, უნდა ავსებდნენ და არ იმეორებდნენ ერთმანეთს.

4. სტიმულირების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებებს საწარმოებში, რადგან იგი დაგეგმვასთან, დაფინანსებასთან, აღრიცხვასთან და კონტროლთან ერთად წარმოადგენს მართვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას.

მატერიალური სტიმულირების სისტემის ქმედითობის ამაღლების ცდები ვერ მოგვეცემენ ჯეროვან შედეგებს, თუ დაგეგმვა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა ფაქტორები არ უზრუნველყოფენ რეალური პირობებს, თითოეული მუშაკის უკუგების გაზრდისათვის. ამიტომ მატერიალური სტიმულირების ქმედითი სისტემის გამოყენება გულისხმობს სამეურნეო-მექანიზმის ყველა რგოლის ეფექტიან ფუნქციონირებას.

В. Г. ЗАДОНСКИЙ, Г. А. ГАГУА

СИСТЕМНЫЙ АНАЛИЗ МАТЕРИАЛЬНОГО
СТИМУЛИРОВАНИЯ ТРУДА

Резюме

В статье с целью анализа материального стимулирования труда применен системный подход, который дает возможность изучить весь сложный механизм материального стимулирования, позволяет глубже проникнуть в диалектику развития его системы, выделить главные закономерности в ее развитии.

Авторы обосновывают необходимость научного подхода к изучению системы материального стимулирования, предусматривающего сочетание теоретического и практического аспектов исследования в их неразрывной связи: первый позволяет установить основные принципы и закономерности в изменении системы стимулирования; второй — полнее рассмотреть практический опыт, определить, насколько эффективна та или иная система стимулирования.

В статье исследуется иерархичность системы стимулирования труда, анализируются генетический и структурный подходы в ее изучении.

Авторы обосновывают критерии эффективности функционирования системы материального стимулирования на основе определения взаимосвязанной группы факторов.

წარმოადგინა აკად.

ო. შიქელაძემ

ანზორ ჩოგოვაძე

სპილენძ-პოლიმეტალური მრეწველობა საბჭოთაშვილ საქართველოში (1863—1920 წწ.)

რეფორმისმერმინდელ საქართველოში, კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებათა შედეგად, ზოგიერთ სხვა დარგთან ერთად, დაწინაურდა სამთო მეტალურგიული მრეწველობა, მოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის დარგთა შორის სპილენძის წარმოება, მარგანეცის მადნის მოპოვებასთან ერთად, უფრო პერსპექტიულ დარგს წარმოადგენდა. 70-იანი წლების დასასრულს სამხრეთ დასავლეთ საქართველოში (ბათუმის ოლქი, ართვინის „ოკრუგი“) იწყება სპილენძის საბადოთა სამრეწველო ექსპლუატაცია და დამუშავება. თურქების 300 წლიანი ბატონობისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების (1878 წ.) შემდეგ სწრაფი ტემპით დიწყო ბათუმისა და მასთან მიმდებარე ოლქის მრეწველობის ინტენსიური განვითარება. შეიქმნა სპილენძის მადნის მოპოვებისა და მისი მეტალურგიული დამუშავების მძლავრი კერა საქართველოში. ამების ლაზარეების ფირმა, რომელიც მანამდე სამხრეთ საქართველოში ეწეოდა სპილენძის მოპოვებასა და დამუშავებას, გახდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სპილენძის საბადოს აღმოჩენისა და მისი დამუშავების ორგანიზაციის პიონერი. მალე ამ რეგიონს მოაწყდა უცხოური (გერმანული, ინგლისურ-ამერიკული, მოგვიანებით კი შვეიცარული) მძლავრი ფირმები, რომლებმაც სპილენძის მადნის ათვისებასა და დამუშავებაში დიდი ოდენობის კაპიტალი დააბანდეს¹.

სამხრეთ საქართველოს (ალავერდის, შამბლული, ახტალა) სპილენძის უმდიდრეს საწარმოებს, მე-19 საუკუნის 60—80-იან წლებში, პოსესტური უფლებით ფლობდნენ ბერძენი მეწარმეები, რომლებიც ერთ-ერთი სპილენძის მადნის დასამუშავებლად თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძენების შთამომავლები იყვნენ. მათ ალავერდსა და შამბლულში ამხანაგობები ჩამოაყალიბეს. 1863 წელს ალავერდის მდაროთა მეპატრონეების რაოდენობა 59 კაცს შეადგენდა. ყოველ მდაროს რამდენიმე მეპატრონე ჰყავდა, რომლებიც მუშაობაში ე. ი. პაის (ნაწილის) სახით მონაწილეობდნენ.

1864 წელს ალავერდში არსებობდა 6 მოქმედი მდარო, რომლებიც ერთ-მანეთისაგან 10 საყენით იყვნენ დაცლებული. ყოველი მათგანი ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. მუშაობა კვლავ ძველი მეთოდით წარმოებდა. 1865 წლის ცნობით ალავერდის სპილენძის წარმოებაში დღემდე სამუშაოდ გამოდიოდა 120 კაცამდე, მადნის გამოწვავზე მუშაობდა

¹ Отчет Кавказского горного управления за 1889 г. г. Тифлис, 1890, с. 41.

60 კაცი, მადნის შავ სპილენძად გადადნობაზე — 55 კაცი, შავი სპილენძის სუფთა სპილენძად დაწმენდაზე — 20 კაცი².

რაც შეეხება შამბლულის ქარხანას, აქ შავი სპილენძის გამოდნობა სუფთა სახით არ წარმოებდა. მიღებული შავი სპილენძი გამოსაღობად მიჰქონდათ ალავერდში. 1866 წელს შამბლულში გამოდნობილ იქნა 720 ფუთი სპილენძი, მუშაობდა 48 კაცი, მათ შორის სამთო საქმეზე — 40 მუშა, დამხმარე საქმეზე — 8. ქარხანაში მანქანა არ იდგა³. ამ პერიოდისათვის, როგორც „სამთო უფრნალი“ აღნიშნავს, „ორივე ამხანაგობას ფულადი სახსრები არ ყოფნიდა“⁴, რის გამოც სპილენძის წარმოება საგრძნობლად შემცირდა.

1867 წელს კავკასიის მეფისნაცვალ იძულებული გახდა მიემართა კავკასიის კომიტეტისათვის (პეტერბურგი), რათა ალავერდისა და შამბლულის საწარმოები ხაზინას შეეძინა, მაგრამ ეს მოხერხდა მხოლოდ 1875 წელს⁵.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა 1887 წლამდე ალავერდისა და შამბლულის სპილენძის საწარმოებს კვლავ ბერძნების ორი ამხანაგობა ფლობდა პოსესტორი უფლებებისა და შესაბამისი კანონების საფუძველზე. იმის გამო, რომ ამხანაგობა ვანიცდიდა საბრუნავი კაპიტალის სიმცირეს, მუშაობა კვლავ ჩამორჩენილი ტექნიკით მიმდინარეობდა. სპილენძის წარმოების ნოცულობა ალავერდის საწარმოებში, 1872—1887 წლებში მერყეობდა 5154-დან⁶ 2387 ფუთამდე⁷.

ალავერდის ქარხნებში გამოდნობილ სპილენძს უმთავრესად ყიდდნენ თბილისში და ბაქოს გუბერნიის სოფელ ლამიჩში, სადაც ხელოსნები სპილენძის ქურჭელს ამზადებდნენ.

შამბლულის ქარხანაში შავი სპილენძის სუფთა სპილენძად გამოდნობა დაიწყო 1874 წელს. 1874—1887 წლებში აქ გამოდნობილი სპილენძის ნოცულობა 140 ფუთიდან⁸ — 262 ფუთამდე⁹ მერყეობდა. 1887 წლამდე შამბლულის ქარხანაში სულ გამოდნობილ იქნა 4953 ფუთი სპილენძი, რაც ალავერდის საწარმოებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.

ბერძნების პოსესტორი მფლობელობის პერიოდში ალავერდისა და შამბლულის ქარხნებში დასაქმებული მუშების რაოდენობა 1870 წელს იყო 299 კაცი¹⁰, ხოლო 1887 წელს — 107 კაცი¹¹.

ალავერდის მუშათა რიცხვი გაცილებით ჭარბობდა შამბლულისას, სადაც მუშათა კონტიგენტი 20—25 კაცს არ აღემატებოდა.

კვლავ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა მრეწველ მუშებს. დაბალი იყო მათი ხელფასი, იგი დღეში საშუალოდ 40 კაპიკს შეადგენდა. სამ-

² საქ. ცსსა, ფონდი, 264, საქმე 159, ფურტ. 7, 112.

³ «Кавказский календарь», 1869, отд. 2-ое, с. 165.

⁴ Горный журнал № 7, 1887, с. 42.

⁵ ЦГИАЛ д. 1268, оп. 14, 1869, л. 109, с. 1—14, 80, 223—244.

⁶ С. Гулишамбаров, Обзор Фабрик и заводов Закавказского края. Тиф., 1887, с. 177. საქ. ცსსა, ფონდი, 264, საქმე 788, 1186, 1299, 1658.

⁷ საქ. ცსსა, ფონდი, 264, საქმე 1658, ფურტ. 76—77.

⁸ С. Гулишамбаров, ОФЗЗК, Тиф., 1894, с. 177—178.

⁹ საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1542, ფურტ. 27—29.

¹⁰ ЦГИА ССР, Ф. 1268, оп. 17, 1872, л. 36, л. 159.

¹¹ საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1658, ფურტ. 76—77, საქმე 1542.

ხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებდა აგრეთვე ახტალის პოლიმეტალური მადნის მოპოვება-დამუშავება.

ჯერ კიდევ 1843 წელს თავადმა მელიქიშვილმა სცადა ახტალის ვერცხლის წარმოების განახლება, რაზედაც მიიღო სათანადო ნებართვა, მაგრამ მან ვერ შესძლო წარმოების ამოქმედება¹², შემდგომ პერიოდში აქ აღმოჩნდა სპილენძის საბადოები. მელიქიშვილმა გადაწყვიტა წარმოების იჯარის სახით გაცემა. 1861 წელს დაიდო ხელშეკრულება მემამულე მელიქიშვილსა და მრეწველ ბერძენ შამანოვს შორის¹³. აღსანიშნავია ისიც, რომ შამანოვის ამხანაგობაში შედიოდა შტაბსკაპიტანი ნიკოლოზ ბარათაშვილი¹⁴.

1861 წელს ახტალაში აშენდა სპილენძსადნობი ქარხანა „ახტალა“, სადაც 1864 წელს დაიწყო მადნის გამოდნობა¹⁵. იგი შედგავთიან პირობებში მუშაობდა — ხაზინას 5 წლის განმავლობაში არ უხდოდა გამოშვებული სპილენძის ღირებულების 1/10-ს¹⁶. 1866 წელს ქარხანამ გამოდნო დაახლოებით 16.000 მანეთის ღირებულების¹⁷ 300 ფუთი შავი სპილენძი¹⁸. ამ დროს ახტალის ქარხანაში მუშაობდა 23 მუშა, მათ შორის — 5 დამხმარე¹⁹. 1869 წელს ქარხანამ გამოუშვა 40.000 მანეთის ღირებულების პროდუქცია²⁰.

1869 წელს ახტალის ქარხანას დაუმთავრდა შეღავათიანი ვადა და მას ხაზინისათვის ყოველწლიურად უნდა ეხადა გამოშვებული სპილენძის ერთი მეათედ²¹, მაგრამ უსახსრობის გამო, ამხანაგობამ, სწორედ ამ პერიოდში შესწყვიტა მუშაობა. 1885 წელს თავად მელიქიშვილისაგან ექსპლუატაციის მიზნით ახტალის საბადოები 150.000 მანეთად იყიდა ფრანგმა მრეწველმა ერნსტ ტიერმა²². მან დაარსა ე. წ. „ახტალის მადაროების ფრანგული კომპანია“ და შეუდგა ვერცხლის მადნის ძიებასა და ქარხნის მშენებლობას, რისთვისაც ამხანაგობამ ძალზე დიდი თანხა დახარჯა, მაგრამ ამაოდ. დადგინდა, რომ ვერცხლის საბადო გამოფიტული იყო, რის გამოც ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა²³.

ამის შემდეგ ამხანაგობა შეუდგა ალავერდისა და შამბლულის სპილენძით მდიდარი მადნის დამუშავებას. 1887 წელს ეს ქარხნები იჯარით გადაეცა იზვესკოვს, რომელმაც, თავის მხრივ, 1888 წელს ალავერდის სამრეწველო რაიონის საწარმოები უცხოურ სააქციო საზოგადოებას — „ახტალის საბადოების ფრანგულ კომპანიას“ გადასცა, რომელიც პარიზში იმყოფებოდა. ფირმა იმთავითვე შეუდგა მუშაობას: პირველად რუსეთში მათ ხის ნახშირი შეცვალეს კოქსით, დაიწყო ღუმელებისა და საქარხნო ნაგებობათა გადაკე-

¹² С. Гулишамбаров, ОФЗЗК, 1894, с. 38.

¹³ საქ. ცსს, ფონდი 264, სა მე 290, ფ. 1.

¹⁴ იქვე, საქმე 218, ფურც. 7.

¹⁵ იქვე, საქმე 290, ფურც. 6.

¹⁶ იქვე, ფურც. 113.

¹⁷ იქვე, ფურც. 8.

¹⁸ «Кавказский календарь» 1869, т. л: 2-ое с. 167.

¹⁹ Сборн. стат. свод. о Кавказе, 1869, оп. II. с. 78—79.

²⁰ ЦГИАЛ СССР, ф. 1268, оп. 16, 1871, д. 12, с. 123.

²¹ საქ. ცსს, ფონდი 264, საქმე 290, ფურც. 8.

²² С. Гулишамбаров, ОФЗЗК, с. 172, ОФЗЗК, с. 38—39.

²³ საქ. ცსს, ფონდი 264, საქმე 1908, ფურც. 174.

თება; დადგეს მძღავრი ჰავრსაბერი მანქანა. მიუხედავად ამისა, ფირმამ 10 წლის განმავლობაში ბევრი ვერაფერი გააწყო. მართალია მან მადნის მოპოვების მასშტაბები შეამცირა და ალავერდის ქარხნის წარმადობა გაზარდა, მაგრამ წელიწადში საშუალოდ 80—82 ტ. სპილენძზე მეტი ვერ გამოაძღნო. 1892 წელს შამბლუღის ქარხანამ შესწყვიტა მოქმედება.

წლითწლილობით უარესდებოდა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. 1898 წლიდან ალავერდ-შამბლუღის საწარმოები უფრო მძღავრი ფრანგული ფირმის „კავკასიის“ სამრეწველო და მეტალურგიული ანონიმური საზოგადოების ხელში გადავიდა²⁴, რომელმაც დიდძალი კაპიტალი დააბანდა. შეიქმნა მძღავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ახალი ტექნიკით და მოწყობილობით აღიჭურვა წარმოება, საგრძნობლად გაიზარდა მადნის მოპოვება და სპილენძის გამოძღნობა.

ალავერდის სპილენძსაძღნობ ქარხანაში ძირითადი გარდატეხა 1900-იან წლებში მოხდა. დამონტაჟდა ახალი ტიპის დანადგარები; დაიწყო საპეროსაბაგირო გზები, რამაც საგრძნობლად შეამცირა თვითღირებულება და გაზარდა მადნის ამოღება. 1888 წ. ალავერდში დაშადა 1840 ფუთი სპილენძი, ხოლო შამბლუღში — 76 ფუთი²⁵. 90-იან წლებში ყოველ გაწმენდილ ფუთ სპილენძზე ხაზინას ამხანაგობა 75 კაპიკ უხდღდა.

1888—1898 წლებში სპილენძის გამოძღნობა არასტაბილურად მიმდინარეობდა, თანაც მცირე მასშტაბით. სამაგიეროდ 1900—1901 წელში ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად სპილენძის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ალავერდის 1900 წელს გამოაძღნეს 19682 ფუთი სპილენძი, ხოლო 1901 წელს — 54.769. შამბლუღში შესაბამისად 300 და 500 ფუთი სპილენძი²⁶.

1871 წელს ალავერდისა და შამბლუღის საწარმოებში დაშადა 80 ათ. მანეთის სპილენძი, 1873 წ. — 85, 1874 წ. — 48, 1894 წ. — 184, ხოლო 1900 წ. 310 ათ. მანეთისა²⁷.

როგორც აღენიშნეთ, სწრაფი ტემპით დაიწყო ბათუმის ოლქისა და მასთან მიმდებარე ართვინის ოკრუგის სპილენძ-პოლიმეტალური მრეწველობის განვითარება. სპილენძის საბადოებით მდიდარი ეს მხარე უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ადგილობრივი მცხოვრებლები პრიმიტიული წესით აწარმოებდნენ სპილენძის დამუშავებას. როგორც ვ. კაკაბაძე აღნიშნავს: „ყველა აკარლის ოჯახში შეხედებით სპილენძისაგან გაკეთებულ ყოველგვარ ჭურჭელს. აქ შეხედებით ისტორიულ ხანაში ბრინჯაოსაგან გაკეთებულ იარაღსაც. მდიდარი, ძველი კოლხეთიდან სპილენძი გაჭონდათ სხვა ქვეყნებშიც...“²⁸

საქართველოს ამ მდიდარ კუთხეში სპილენძ-პოლიმეტალური მრეწველობის პროგრესი 1880-იან წლებში დაიწყო, როცა აქ ამ დარგის განვითარებას მსხვილი უტეხოური ფირმები შეუდგნენ. ინტენსიურად ეწეოდნენ რა დაზვერვით სამუშაოებს, ისინი ადგილებს იჯარით ყიდულობდნენ ადგილობრივი მპაბატრონებისაგან. როგორც აღენიშნეთ, 80-იან წლებში ძმ. ლაზა-

²⁴ Статистические описание «Тифлиской губернии», Тиф., 1901, с. 74.

²⁵ საქ. ცსსა, ფონდი 264, საქმე 1658, ფურც. 76—77, საქმე 1908, ფურც. 16.

²⁶ იქვე, ფურც. 76—77, საქმე 1908, ფურც. 16. «Кавказский календарь» 1892, отд. 2-ое, с. 30; 1893, с. 60, 1894, отд. V, с. 230, 1903, от. III, с. 76.

²⁷ ЦГИА СССР, Ф. 1268, оп. 17 д. 36, л. 158—159; оп. 18, д. 31, л. 130, оп. 19, д. 180 л. 180, оп. 20, д. 146, л. 66—67.

²⁸ ვ. კაკაბაძე, საქართველოს ბუნებრივი სამღიდრენი, თბილისი, 1922, გვ. 33.

რევების ფირმა აჭარაში პირველი შეუდგა სპილენძის საბადოს ექსპლუატაციას. შემდეგში აქ გამოჩნდა გერმანული ფირმა „ძმ. სიმენსები“, რომლებმაც სპილენძის მადნით უმდიდრეს მალარობებში (სოფელ ქვარცხანაში) იწყეს სპილენძის დამუშავება, რიხნერის გერმანულმა ფირმამ კი ერგისის სპილენძის საბადოების ათვისება დაიწყო²⁹.

1900 წელს ჭინკათხევის უმდიდრესი სპილენძის საბადოს სამრეწველო დამუშავებას შეუდგა ინგლისურ-ამერიკული ფირმა — „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება“³⁰, ხოლო ხოდის სპილენძის საბადოს ათვისება დაიწყო სიმეონიდის ფირმამ.

ამრიგად, უცხოეთის ფირმებმა ხელთ იგდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენძით მდიდარი რაიონი და სწრაფი ტემპით შეუდგნენ მის ათვისებას.

გეოლოგიურ შესწავლასთან ერთად წარმოებდა გზების მშენებლობა და მიწისქვეშა გამონამუშევრების გაყვანა. თავდაპირველად ეს სამუშაოები პრიმიტიული წესით მიმდინარეობდა დიდი დაქირავებული მუშახელის გამოყენებით. სამთო საწარმოები საწყის პერიოდში ხელის შრომით დასაქმებულ მანუფაქტურებად წარმოგვიდგება. მადნის გადაზიდვა და დახარისხება წარმოებდა პრიმიტიულად, ე. წ. „შრალი წესით“³¹. 900-იან წლებამდე ბათუმის ოლქის და ართვინის ოკრუგის სპილენძის საბადოს ექსპლუატაცია მოსამზადებელ ხასიათს ატარებდა, რის გამო „ყველა ფირმის მიერ მოპოვებული მადნის ოდენობა ნახევარ მილიონ ფუტს ბევრად არ აღემატებოდა“³².

წლითი წლობით ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სპილენძის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი. ზოგიერთ უბნებზე ხელით შრომა შეიცვალა მექანიზმებით. დიდმა მძლავრი კომპლესორები; დაინერგა მექანიკური ჩაქუჩები, ე. წ. პერფორატორები და სხვ.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოიტანეს და საწარმოებში დაამონტაჟეს სხვადასხვა ტიპის ძრავები, მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობები და, რაც მთავარია, ამ პერიოდში იწყება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა³³, რომელმაც მკვეთრი ბიძგი მისცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სპილენძის წარმოების შემდგომ გაფართოება-განვითარებას.

დიდი რაოდენობის კაპიტალი იქნა დაბანდებული სატრანსპორტო მიწისქვეშა რელსებიანი გზების, სპილენძსადნობი ქარხნის და საპაერო საბაგირო გზების მშენებლობაზე. დაინერგა მადნის გამოდნობის მაგნიტური მეთოდი, რომელიც შემდგომში სველი მეთოდით შეიცვალა³⁴. XIX საუკუნის დასასრულისათვის სპილენძის წარმოება საქართველოში ჩქარი ტემპით ვითარდებოდა. სამთო საწარმოებში უცხოური კაპიტალის მთელ სააქციო კაპიტალთან ფარდობა საქართველოში 1890 წელს შეადგენდა 58 %, ხოლო 1900

²⁹ Отчет Кавказского горного управления за 1891 г., г. Тифлис, 1892.

³⁰ К. Ф о г т, Батумский округ, сб. «Медь», 1913, с. 101.

³¹ Отчет Кутаисского военного губернатора за 1892 год, 1893, с. 42.

³² ე. შარვაშიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიტი 1864—1917 წწ., თბილისი, 1976, გვ. 344.

³³ Ш. Цагаренишвили, К истории Фабрично-заводской промышленности Грузии Жур. «Исторический вестник», Тбилиси, 1956, с. 156.

³⁴ Отчет Кавказского горного управления за 1909 г. Тбилиси, 1910.

წელს — 70 %-ს. უცხოური კაპიტალის მოგებამ წელიწადში დაახლოებით 1 მილიარდ მანეთს მიადწია ოქროთი³⁵.

XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოს სპილენძ-პოლიმეტალურ წარმოებაში მუშათა რაოდენობის ზრდა და შესაბამისად მუშათა კადრის კონტიგენტის ჩამოყალიბება შედარებით ნელა მიმდინარეობდა. 1892 წლამდე სამხრეთ საქართველოს სპილენძის საწარმოებში საშუალოდ 310 მუშა მუშაობდა, შესაბამისად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენძის საწარმოებში — 320 მუშა. 1900 წლისათვის კი სულ ორივე საწარმოში 1320 მუშა იყო (მათ შორის სამხრეთ საქართველოში — 700, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — 620).

1900-1914 წლებში საქართველოში სპილენძის მრეწველობის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიადწია სამხრეთ საქართველოში ფრანგულმა ფირმამ „კავკასიის სამრეწველო და მატერიალურმა საზოგადოებამ“ და ინგლის-ამერიკის გაერთიანებამ³⁶ კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ³⁷ — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. პირველს, ინგლისურ-ამერიკულ ფირმასთან განსხვავებით, შედარებით უკეთეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. საბაგირო გზებით გადაზიდული სპილენძის მადანი ფრანგულ ფირმას შედარებით ნაკლები უჯდებოდა. ამასთან, 1906 წელს მწყობრში ჩადგა ალავერდის რეკონსტრუირებული გამამდიდრებელი ფაბრიკა³⁸, რომელიც ყოველდღიურად 150—200 ტონა მადანს ამუშავებდა.

ვინაიდან ფრანგულ ფირმას შამბლულიდან ალავერდში მადნის გადმოწოდვა ძვირი უჯდებოდა, 1908 წელს ადგილზე აიგო მცირე სიმძლავრის ქარხანა, რითაც შამბლულში სპილენძის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა³⁷.

1909 წელს კი ფრანგულმა ფირმამ დაიწყო ახტალის ვაუქნებულის საბადოს ექსპლუატაცია, ამით საფუძველი ჩაუყარა სპილენძის დამუშავების მძლავრ ცენტრს ამიერკავკასიაში. თუ რამდენად გაიზარდა სპილენძის წარმოება ალავერდში მოვიყვანთ ასეთ ფაქტს: 1852 წლიდან 1901 წლამდე ე. ი. ნახევარი საუკუნის მანძილზე, ალავერდის სპილენძის მადარობებთან ამოიღეს 6983477 ფუთი მადანი და გამოადნეს 208243 ფუთი სპილენძი³⁸, ანუ წელიწადში საშუალოდ 4000 ფუთი. მარტო 1912 წელს ალავერდის ქარხანაში გამოადნეს 233648 ფუთი სპილენძი, უფრო მეტი, ვიდრე მთელ XIX საუკუნის II ნახევარში.

ალავერდისა და შამბლულის საბადოებისა და ქარხნების ტერიტორიაზე გაიყვანეს ეიწრო ლიანდაგიანი რკინიგზები (ალავერდში 9 კმ მიწისქვეშა და 11 კმ მიწისზედა და შამბლულში 4 კმ)³⁹. საპაერო საბარგო გზის სიგრძემ 8 კმ გადააჭარბა. მდაროში მუშაობა მექანიკური ჩაქუჩებით წარმოებდა⁴⁰. 1912 წელს ალავერდში ქარხანა „მანესში“ ექსპლოატაციაში შევიდა ე. წ.

³⁵ В. С. Зив, Иностранные капиталы русской горнозаводской промышленности, М 1917, с. 84.

³⁶ Ю. И. Каменский, Медное дело на Кавказе, СПб., 1909, с. 22.

³⁷ ОКГУ за 1908 год, Тифлис, 1909, с. 85—86.

³⁸ «Кавказский вестник», 1901, № 10, с. 57.

³⁹ ОКГУ за 1912 г. Тиф., 1913, с. 78.

⁴⁰ ОКГУ за 1912 шг. Тиф., 1913, с. 66—78.

„ელექტროლიზური ფაბრიკა“, წელიწადში 48—50 ათასი ფუთი სუფთა სპილენძის წარმადობით.

ქარხნის მწყობარში ჩადგომით სპილენძთან ერთად შეიქმნა შესაძლებლობა ოქროსა და ვერცხლის მიღებისა, რითაც საფუძველი ჩაეყარა სპილენძ-პოლიმეტალური მადნების კომპლექსურ დამუშავებას. ფრანგულმა ფირმამ ამ დროისათვის სრულად დაამთავრა სპილენძის წარმოების ინდუსტრიალიზაცია და მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიური სრული ციკლი⁴¹.

1901 წლიდან ინგლის-ამერიკულმა გაერთიანებამ — „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ“ — მძლავრი ტემპით იწყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სპილენძის მრეწველობის განვითარება, საბადოს გეოლოგიური მარაგის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მადანი მცირე მეტალური შემცველობისა იყო და მისი მარაგი დაახლოებით 400 მილიარდი ფუთის (6,6 მილიონ ტონა) ოდენობით განისაზღვრებოდა⁴².

1902 წელს ჭოროხის მარცხენა შენაკადთან (ბათუმიდან 60 ვერსის დაშორებით) ინგლის-ამერიკული ფირმა შეუდგა ახალი სპილენძის საბადოს დამუშავებას, მაგრამ დაბალი ხარისხის გამო ფირმამ 1906 წლამდე შესწყვიტა საბადოს ექსპლუატაცია, ვიდრე ჭინკათხევში არ იქნა აშენებული (1904—1906 წწ.) უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილი სპილენძის გამამდიდრებელი ქარხანა, სადაც თითქმის ყველა პროცესი მექანიზებული იყო. ქარხნის სიმძლავრე წელიწადში 200 ათასი ფუთი წითელი სპილენძის დამზადებით განისაზღვრებოდა. მანქანა-დანადგარები ნაწილობრივ ინგლისიდან და ამერიკიდან იქნა შემოტანილი⁴³. საგანგებოდ აიგო ჰიდროელექტროსადგური. გაყვანილი იქნა 65 ვერსის სიგრძის ნავთსადენი ბათუმიდან ჭინკათხევამდე⁴⁴. შემუშავდა სპილენძის დნობის საუკეთესო მეთოდი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. 1903—1912 წლებში სამთო საწარმოებში ბურღვა ორხელა მექანიკური ჩაქურჩებით მიმდინარეობდა, რაც პირველი იყო ამიერკავკასიაში⁴⁵. 1913 წლიდან კი იგი პერფორატორული ბურღვით შეიცვალა.

მიღწეულ იქნა უდიდესი წარმატება. ერთ მუშას პერფორატორით შეეძლო 10 ხელით მომუშავე მუშის შეცვლა, რაც მადნის თვითღირებულების შემცირების უდიდეს საშუალებას იძლეოდა. დამონტაჟდა 2620 მეტრის ავტომატური მართვის საპაერო საბაგრო გზა. ფირმის ოთხიოდე გამამდიდრებელი ფაბრიკა აღჭურვილი იქნა უახლესი ტექნიკით.

1902—1914 წლებში ჭინკათხევში დიდძალი კაპიტალდაბანდების საფუძველზე ინგლის-ამერიკულმა ფირმამ მადნის მოპოვების სიდიდით ამიერკავკასიაში პირველი ადგილი დაიმკვიდრა, ხოლო 1913 წელს სპილენძის გამოდნობაში დაეწია ფრანგულ ფირმას.

რაც შეეხება ქვარცხანის სპილენძის მადნის მალარობეში ძმ. სიმენსების ნოღვაწეობას, 1900—1906 წლებში სამუშაო შეჩერდა, ხოლო 1907 წლიდან

⁴¹ ОКГУ за 1913 г. Тиф., 1914, с. 83—86.

⁴² А. Браитерман, Указ. труд, с. 220—221.

⁴³ ОКГУ за 1906 год., Тиф., 1907, с. 64.

⁴⁴ ОКГУ за 1906 год., Тиф., 1907, с. 64.

⁴⁵ Известия Варшавского политехнического инст-та, вып. I Варшава, 1913 с. 10.

ისივე განასხვავდა. 1912—1914 წლებში აშენდა სპილენძსადნობი ქარხანა, წელიწადში 150 ათასი ფუთი სპილენძის წარმადობით, რომელიც თანამედროვე ტექნიკის დონეზე იქნა მოწყობილი. აშენდა 2 ვერსის საბაგრო გზა, 1915 წელს საქართველოში ქარხანამ ყველაზე იაფფასიანი სპილენძის გამოშვება დაიწყო⁴⁶.

სოფელ ხოდში სიმენებმა ააგეს სპილენძის სადნობი ქარხანა. 1908 წელს იქვე აშენდა წითელი მეტალის გამომდნობი ქარხანა⁴⁷.

1914 წელს ხოდში გრძელდებოდა მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და გზების გაყვანა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო აღნიშნული საბადოს სპილენძის წარმოების ყველა სამუშაო შეწყდა⁴⁸.

საქართველოში სპილენძის მადნის მოპოვებისა და წითელი მეტალის წარმოების ზრდა 1900—1914 წლებში იხ. პირველ ცხრილში.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მოპოვებული მადნის და გამოდნობილი სპილენძის უდიდესი ხვედრითი წილი მოდის ალავერდისა და კინკათხევის საწარმოებზე.

ფრანგული ფირმა 1909 წლამდე (იგულისხმება ალავერდის და შამბლულის საწარმოები) სპილენძის წარმოების მხრივ ინარჩუნებდა პირველ ადგილს, ხოლო 1910 წლიდან ინგლისურ-ამერიკული ფირმა (იგულისხმება კინკათხევის საწარმო) გადადის პირველ ადგილზე, თუმცა წითელი სპილენძის წარმოებაში იგი 1913 წელს ძლივს დაეწია ფრანგულ ფირმას.

1913 წელს, 1900 წელთან შედარებით (სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ერთად) სპილენძის მადნის მოპოვება 1331 ათასი ფუთიდან 15252 ათას ფუთამდე გაიზარდა, ხოლო ომისი გამოდნობა 27,5 ათასი ფუთიდან 559,5 ათას ფუთამდე. შესაბამისად გადიოდა წარმოებაში დასაქმებული მუშების რიცხვიც.

1900 წელს ალავერდში დამზადდა 408 ათ. მანეთის სპილენძი, 1913 წელს კი 2867 ათ. მანეთისა, ე. ი. დაახლოებით 7-ჯერ მეტი, ვიდრე 1900 წელს.

გარდა აღნიშნული სპილენძის საბადოებისა, სადაც ძირითადად უცხოური ფირმები ბატონობდნენ, საბჭოთამდელ საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძის მოპოვება და დამუშავება წარმოებდა თელავის მაზრაში სოფელ არტაანთან და დევდორაკის საბადოზე ყაზბეგთან ახლოს⁴⁹. არტაანის საბადო, რომელიც ყარაღაშვილების მამულში იქნა აღმოჩენილი, მე-19 საუკუნის ბოლოს შეიცავდა მეტად საინტერესო სპილენძის მადნის გამოსავალს. გახსნილი იქნა ფენა 5 არშინის (დაახლოებით 3,5 მეტრი) სპილენძის კოლჩედანისა 3 მილიონი ფუთი მადნის ოდენობით, სადაც სპილენძის შემცველობა შეადგენდა 3,6—17 %.

დაბა ყაზბეგის მიდამოში დევდორაკის ყინულის მარჯვენა ფერდობზე გეოლოგებმა აღმოაჩინეს დაახლოებით ერთი კილომეტრის სიგრძის მადნის 2 ფენა, ნახევარი არშინის სისქის პლასტიკით (დაახლოებით 35 სმ). მადნის

⁴⁶ А. Браитерман, Указ. труд, с 211.

⁴⁷ ОКГУ за 1908 г с. 105—106.

⁴⁸ ОКГУ за 1914, г. с. 94—96.

⁴⁹ И. Л. Кипшидзе, Краткие сведения о горных богатствах Грузии, Тифлис, 1919.

სპილენძის მადნის მოპოვება (ტონობით)⁸⁶

სამაშაინდრო მეტალურგიულ საწარმ. განლაგება	1900	1903	1906	1907	1908	1910	1911	1912	1913	1914
თბილისის ვუზბერნია, ბორჩალოს მახრა										
ა) ალუვური (მოპოვება) (გამოდნობა)	536458 19682	1538740 75397	1379192 84455	1751675 91208	2989530 116018	3912160 160687	4404125 211830	3672872 233648	4022196 231540	3697660 198352
ბ) შამბლული (მოპოვება) (გამოდნობა)	310200 —	108294 არ მოქმ.	173452 არ მოქმ.	264000 არ მოქმ.	292900 არ მოქმ.	439530 35364	557452 26761	539584 36134	962970 45283	317906 32100
გ) ახტალა (მოპოვება) (გამოდნობა)	— —	— —	— —	— —	— —	— —	155900 —	94378 —	1063012 30985	— 30985
ქუთაისის ვუზბერნია ართვინის ოკრუგი და ბათუმის ოლქი										
ა) ვრჯია (მოპოვება) (გამოდნობა)	422472 7891	193793 7045	48400 1070	არ მოქმ. 4800	909 900	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —
ბ) კრკაბდვეი (მოპოვება) (გამოდნობა)	54018 —	1020425 31014	83000 —	734754 50600	1364529 26437	8180318 101013	9999780 189755	10147920 138800	8891939 250964	8891930 179331
გ) ზოდა (მოპოვება) (გამოდნობა)	— —	— —	— —	25000 —	49000 1560	20500 685	21700 634	50400 670	900 810	9000 900
დ) შერია (მოპოვება) (გამოდნობა)	8505 —	5440 —	არ მოქმ. —	2700 —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —	არ მოქმ. —
ე) ქვარცხანა (მოპოვება) (გამოდნობა)	— —	— —	— —	10000 —	59325 —	54340 —	52655 —	59400 —	310100 —	320000 —

⁸⁶ ცხრილი შედგენილია კავკასიის სამთო უწყებების და სააქციო საზოგადოებების შესაბამისი წლების ანგარიშგების საფუძველზე, ე. წერეთელის ნარკვევი ქ. მა-
თლის საეპიტრო-სამრეწველო განვითარება, Багумი 1906 პ. გუგუშვილი კამიტალის მწარმოებლის საქართველოსა და ამერკავკასიაში, 1941, თბილისი; ე.
ქავთარაძე, სპილენძის მრეწველობა ამერკავკასიაში, „მაცნე“ თბილისი 1975, В Медкоии, Металургия меди в Армении, М, 1955; И. Каспа-
рова, Меднорудная промышленность дореволюционной Армении и Иностранний капитал, Ереван, 1961.

ოდენობა 13 მლნ ფუტს აღემატებოდა, მასში შედიოდა საშუალოდ 2 % სპილენძი⁵¹. 1914 წელს აქ წარმოებდა მეთოდური სამუშაოები.

დედოფარაჯის საბადოს ახლოს, სოფელ ღვილეთან, 1903 წელს გაიხსნა სპილენძის მეორე საბადო. გიშლერის საბადოში კი ადრე წარმოებდა მუშაობა, სადაც 1910 წელს ამოღებულ იქნა 109615 ფუტი სპილენძის მადანი, ხოლო 1915 წელს — 61.200 და 1918 წელს — 189.945 ფუტი სპილენძი. საბადოს ჰქონდა სამრეწველო მნიშვნელობა⁵².

აღნიშნულ მადაროებში მუშების სამუშაო პირობები ძალზე მძიმე იყო. დაბალი იყო მუშათა ხელფასი. ისინი მიწურებში ცხოვრობდნენ, გამეფებული იყო სასტიკი ანტისანიტარია, ეპიდემია, არსაც თან ერთვოდა არაერთი გაიცევა⁵³.

სპილენძზე მოთხოვნების გადიდებამ კიდევ უფრო მძიმე პირობებში ჩააყენა მუშათა მდგომარეობა. სპილენძის წარმოების გადიდება ხდებოდა არა ტექნიკის გაუმჯობესების მეშვეობით, არამედ მუშების უმოწყალო ექსპლუატაციის გზით.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთის იმპერიაში სპილენძის მრეწველობა დაქვეითდა, სპილენძის გამოდნობის მასშტაბი ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა⁵⁴. ეს ყველაზე მეტად, ბუნებრივია, ფრონტისპირა სამრეწველო რაიონის კავკასიის სპილენძ პოლიმეტალურმა მრეწველობამ განიცადა, რაც განპირობებული იყო ქვეყნის სახალხო მეურნეობის ნგრევითა და კავლიფიკაციური მუშების მოქმედ არმიაში გაწვევით.

კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მუშაობა შეწყვიტა ერგისის, კინკათხევის და ხოდის სპილენძსადნობმა ქარხნებმა, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, საომარი მოქმედების ზონაში მოექცნენ.

რაც შეეხება ძმ. სიმენსების ქვარცხანის სპილენძსადნობ ქარხანას, რომელიც 1914—1915 წლებში აშენდა, აქ სპილენძის გამოდნობა უფრო გაიზარდა. რადგან იგი საომარი მოქმედების ხაზიდან დაშორებით იმყოფებოდა, 1915 წელს აქ გამოაღწეს 18821 ფუტი სპილენძი, ხოლო 1917 წელს — 98.340 ფუტი. 1918 წლის მარტიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენძის სამრეწველო რაიონის დიდი ნაწილი თურქეთის ხელში მოექცა.

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს სპილენძის სამრეწველო რაიონში სპილენძის წარმოშობას, მიუხედავად მათზე მოთხოვნების ზრდისა, იგა დაქვეითდა. 1915 წელს აქ გამოუშვეს 115.891 ფუტი სპილენძი, ხოლო 1917 წელს — 52.597 ფუტი⁵⁵.

შამბლულის სპილენძსადნობმა ქარხანამ 1914 წელს გამოაღწეს 30.985 ფუტი სპილენძი, ხოლო 1917 წელს — 31.320 ფუტი⁵⁶.

⁵¹ Л. К. Коношевский, Геологические исследования в районе медных руд в Северной части Душетского уезда. Тифлис, 1909, с. 11.

⁵² И. А. Кияшадзе, Краткие сведения о горных богатствах Грузии, Тифлис, 1919 с. 17.

⁵³ ЦГИА ГССР, ф. 264, д. 4089, л. 174.

⁵⁴ გ. მარგვიანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 178.

⁵⁵ იქვე, გვ. 379.

⁵⁶ იქვე.

სათბობის უქონლობისა და სხვა სიძნელეების გამო 1917 წლის სექტემბერში ალავერდისა და შამბლუდის სპილენძის სადნობმა ქარხნებმა მუშაობა შეწყვიტა⁵⁷.

1916 წელს ფრანგულმა ფირმამ ქარხანა „მანესთან“ ააშენა ელექტროლიზური სახელოსნო „სპილენძის შლამისაგან“ ოქროსა და ვერცხლის მისაღებად. ი. კასპაროვას გაანგარიშებით, 1916 წლის ივნისიდან 1917 წლის 1 მაისამდე აღნიშნულმა საწარმომ 243 ფუთი და 28 ფუნტი ვერცხლი და 11 ფუთი ოქრო შეადგინა⁵⁸. ფრანგული ფირმა მიღებულ მეტალს პეტროგრადის ზარაფხისას აბარებდა.

სპილენძ-პოლიმეტალური მადნებიდან, რომლის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რევოლუციამდელ საქართველოში წარმოებდა აგრეთვე პოლიმეტალური მადნის, ბარიტის მოპოვება და დამუშავება.

საქართველოში ბარიტის მოპოვება 1901 წელს დაიწყო ქუთაისის მაზლადად ე. წ. ქუთაისის ჯგუფის საბადოებზე.

1921 წლამდე ბარიტის მოპოვებას აქ აწარმოებდნენ კერძო მრეწველები და მაძიებელთა არტელები შინამრეწველური წესით.

ბარიტის პროდუქცია იგზავნებოდა რუსეთში და საზღვარგარეთ. იგი ერთადერთი იყო მეფის რუსეთში და მრეწველობის მოთხოვნილებას სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა.

1901—1921 წლებში მოპოვებული იქნა შემდეგი რაოდენობის ბარიტი (ტონობით)⁵⁹.

1901 წ.—1670	1903 წ.—1884	1909 წ.—2343
1912 წ.—1163	1915 წ.—475	1921 წ.—1966

მეფის მთავრობა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნედლეულის მოპოვება-დამუშავების საქმეს ყურადღებას არ აქცევდა. ბარიტის მრეწველობა ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა საბჭოთამდელ საქართველოში

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო ბარიტის სამუშაოების გაფართოება საქართველოში. ქუთაისის ჯგუფის საბადოები ერთადერთი იყო რუსეთში. აქედან პროდუქციას აგზავნიდნენ ლენინგრადში ლითოფონის წარმოებისათვის და საზღვარგარეთ.

ამჟამად საქართველოს ბარიტის მარაგითა და მაღალხარისხოვნებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც⁶⁰.

⁵⁷ ХФЦГИА УССР, ф. 834, оп. 1, д. 23, л. 48.

⁵⁸ И. Каспарова, Меднорудная промышленность дореволюционной Армении и иностранный капитал, Ереван, 1961, с. 137.

⁵⁹ ვ. კვიციანი, საქართველოს სსრ ბარიტის მრეწველობის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, № 3, თბ. 1966, გვ. 51.

⁶⁰ ა. ავალიანი, საქართველოს წიაღისეულის ქიმიური გადამამუშავების გზები, „მეცნიერება“, 1974, გვ. 29.

А. В. ЧОГОВАДЗЕ

МЕДНО-ПОЛИМЕТАЛЛИЧЕСКОЕ ПРОИЗВОДСТВО
В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ГРУЗИИ

Резюме

Во второй половине XIX века на развитие капиталистической экономики Грузии, наряду с русским капиталом, непосредственное влияние оказывал иностранный капитал. Особый интерес проявлялся к добыче и переработке медной руды в южной (Алаверди Шамблуг) и юго-западной (Батумская обл., Артвинский округ) Грузии.

Особо быстрыми темпами эта отрасль развивалась в 1900—1914 гг. Только в 1913 г. в Грузии было выплавлено 559,5 тыс. пудов меди, что вдвое больше, чем за всю вторую половину XIX века.

В связи с началом Первой мировой империалистической войны все работы по добыче и производству меди в Грузии прекратились. Восстановление и дальнейшее развитие этой отрасли стало возможным только после установления Советской власти.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განყოფილებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ



ნაწილი არევაჲ

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის ზრდის სტრუქტურული რეჟიმები საპარტიულო სსრ კომიურ პროგრესში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რადიკალურად ზემოქმედებს წარმოების ყველა ელემენტზე და შესაბამისად მის ფუნქციონალურ და დარგობრივ სტრუქტურაზე. თავის მხრივ, დარგობრივი სტრუქტურა და მისი ცვლილებები წარმოადგენს წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრულ არა მარტო მნიშვნელოვან ფაქტორს, არამედ მნიშვნელოვან პირობასაც და გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობასა და განვითარების ტემპებზე. წარმოების სტრუქტურაში აისახება წარმოების ტექნიკური დონე, სტრუქტურულ ცვლილებებში — ახალი პროგრესული დარგების განვითარების ინტენსიურობა.

წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, განსაკუთრებული ყურადღება ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს განეკუთვნება. ამასთან, ყურადღება მიექცა ურთიერთკავშირის სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციასა და სტრუქტურულ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“ აღინიშნულია: „მივადწიოთ პროგრესულ ძვრებს სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში, სრულყოთ დარგთაშორისი და შიგადადარგობრივი პროპორციები, გავნაჯრძოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების უპირატესი განვითარება“¹.

ეკონომიკის სტრუქტურა სხვადასხვა ეკონომიკური პირობების გავლენით ყალიბდება. ეს პირობები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად გაერთიანდეს:

1. ცვლილებები მიმდინარე განვითარების მიზნებში, დროს ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში.

2. მუდმივი ცვლილებები სახალხო მეურნეობრივი რესურსების ხარისხობრივ შემადგენლობაში.

3. ცალკეული სახის რესურსებისა და დარგების აღწარმოებაში დაბალანსების დონის ამაღლების მიზანსწრაფული პოლიტიკა².

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში თან სდევს ახალი პროგრესული დარგების და ქვედარგების სწრაფი განვითარება და მათი ზვედრითი წილის ამაღლება. მრეწველობის განვითარების ისტორია ადასტურებს ცნობილ ჰეშმარტებას, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყ-

¹ სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 206—207.

² Ю. В. Яременко, Структурные изменения в социалистической экономике, М., 1981, с. 10—14.

ნებში, როგორც წესი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების ზრდის ტემპები ჭარბობს მთელი მრეწველობის განვითარების ზრდის ტემპებს. მაგალითად, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგები, მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით, ბევრად უფრო სწრაფად იზრდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში (გამონაკლისის იაპონია, სადაც მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით მანქანათმშენებლობა წარმოდგენილი).

სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციის ზრდამ 1975 წელს, 1970 წელთან შედარებით, 165% შეადგინა, მაშინ როცა მთელი მრეწველობის ანალოგიური მაჩვენებელი 143% იყო. ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობას უპირატესი ზრდა ახასიათებდა 1970—1982 წლებშიც და მთელი მრეწველობის ზრდის ტემპს 47 პროცენტული პუნქტით უსწრებდა³.

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის უპირატესი ტემპებით განვითარება რიგი მიზეზებით არის განპირობებული. აქედან ძირითადი და უმთავრესია მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების პირდაპირი დამოკიდებულება ქიმიური მრეწველობის განვითარების ტემპებსა და დონეზე, რამდენადაც ქიმიური მრეწველობა წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მიმართულების — ქიმიზაციის მატერიალურ საფუძველს.

1960—1982 წლებში, საქართველოს სსრ მრეწველობაში, უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. კერძოდ, მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 359% -ით ზრდის პირობებში, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 757% -ით⁴ გაიზარდა. მათ შორის, ზრდის მაღალი ტენდენციით ხასიათდებოდა ქიმიურ-ფარმაცევტული, ლაქ-საღებავების, საამთო ქიმიური და ქიმიური ბოჭკოს ქვედარგები.

ქიმიური მრეწველობის ხვედრითი წილი რესპუბლიკის მთელ მრეწველობაში 1960 წლის 2,4% -დან 1975 წელს 4,7% -მდე გაიზარდა, 1981 წელს კი შემცირდა 4,0% -მდე, ამის მთავარი მიზეზი იყო ძირითადი ქიმიისა და ქიმიური ბოჭკოს საწარმოების მიერ ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისებისა და მოქმედებაში შესვლის საგვემო დავალებათა შეუსრულებლობა. რის შედეგადაც საქართველოს სსრ ქიმიურმა მრეწველობამ დათმო მიღწეული მიჯნები, ამის შესახებ აღინიშნა საქართველოს კპ XXVI ყრილობაზე აშხ. ე. შევარდნაძის მოხსენებაში.

1966—1982 წლებში რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობას შეემატა რუსთავის ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების ქარხანა, წულუკიძის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხანა, ქუთაისის რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სინთეზური საღებავების ქარხანა და სხვა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს ძირითადი წარმოებრივი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, მასში პროგრესული დარგების ხვედრითი წილის ამაღლებას.

პროგრესული ძვრები ქიმიური მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურ-

³ Народное хозяйство СССР в 1982 г., М., 1983, с. III, 146.

⁴ Народное хозяйство Грузинской ССР в 1982 г., Тб., 1983, с. 46.

რაში, პირველ რიგში, გამოიხატება იმ დარგების ხვედრითი წილის ამოღებით, რომლებიც უშეგებენ პოლიმერულ მასალებს (პლასტმასები და სინთეზური ფისები, სინთეზური ბოჭკოები და კაუჩუკი), ნედლეულსა და ნახევარპროდუქტებს მათთვის, აგრეთვე მინერალურ სასუქებს, მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს, სახალხო მეურნეობის კონკრეტული დარგებისათვის დამხმარე ნივთიერებებს და სხვან.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის განვითარებაში შეიმჩნეოდა ცალკეული, ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი ტენდენციები, ერთი მხრივ მისწრაფება პროპორციულად და რიტმულად განვითარებულყო ქიმიური მრეწველობის ყველა ქვედარგი, მეორე მხრივ, ზოგიერთი მთავანის უპირატესი განვითარება, რაც იწვევდა დარგის განვითარების კომპლექსურობის დარღვევას. ყველაფერი ეს კი წინააღმდეგობრივ გავლენას ახდენდა დარგის განვითარებაზე მთლიანად. თავის მხრივ, ამ განსხვავებას თავისი მიზეზები გააჩნდა და განპირობებული იყო ქიმიური მრეწველობის ქვედარგების განვითარების სხვადასხვა დონით და მათ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნების ხასიათისა და ზრდის ტემპების განსხვავებულობით, აგრეთვე სახსრების კონცენტრაციით ცალკეული პრობლემების გადაწყვეტაზე და შესაბამისი წარმოების უპირატესი ზრდის უზრუნველყოფით, ეს კი სახსრების შეზღუდულობის პირობებში იწვევდა დარგების განვითარების შეფერხებასა და პროპორციულობის დარღვევას.

საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობა რამდენიმე ქვედარგისაგან შედგება; სამთო ქიმიური მრეწველობა; ძირითადი ქიმიკა; ქიმიური ბოჭკოსა და ძაფების მრეწველობა; პლასტმასების, მინის ბოჭკოს მასალების, მინა-პლასტიკების და მათი ნაკეთობების წარმოება; ფირების, მილების და ფურცლების წარმოება პოლიმერული მასალებისაგან; ლაქ-საღებავების მრეწველობა; საყოფაცხოვრებო ქიმიის მრეწველობა და სხვ. აღნიშნული დარგებიდან საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობის მაპროფილებელ ქვედარგს წარმოადგენს ძირითადი ქიმიის მრეწველობა, ანუ მინერალური სასუქების წარმოება. მასზე მოდის ქიმიური მრეწველობის მთელი დარგის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ნახევარზე მეტი, აგრეთვე სამთო ქიმიური მრეწველობა.

მინერალური სასუქების წარმოების განვითარების საფუძველია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის აუცილებლობა, სამთო ქიმიური მრეწველობისა კი — მდიდარი სანედლეულო ბაზა: ბარიტი, დარი-შხანი, ასკანიდი, ასკანგელი და სხვა, რომელთა მოხმარება სახალხო მეურნეობის მიერ ყოველწლიურად იზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობა მაღალი ფონდო და კაპიტალტევადობით ხასიათდება, რაც მისი სტრუქტურითაა განპირობებული. კერძოდ, ფონდო და კაპიტალტევადი ქვედარგების დიდი ხვედრითი წილით და საყოფაცხოვრებო ქიმიის, პოლიმერული მასალების, პლასტმასების წარმოებების და სხვათა მცირე ხვედრითი წილით, რომლებიც ნაკლები ფონდო და კაპიტალტევადობით ხასიათდებიან.

როგორც სთავადაო მასალების ანალიზმა გვიჩვენა 1975—1982 წლებში



ზრდის ტენდენციით საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობის სწორედ ფონდტევადი ქვედარგები ხასიათდებიან.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების ტექნოლოგიური სტრუქტურა დარგში პროგრესული ძვრებით ხასიათდება, კერძოდ, სისტემატურად იზრდება როგორც ყველა მანქანა-მოწყობილობის ხვედრითი წილი, ასევე მუშა მანქანებისა განსაკუთრებით.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოს სსრ მრეწველობაში „გახალგაზრდაების“ ტენდენციით ხასიათდება, რაც არ შეიძლება ითქვას ქიმიურ მრეწველობაზე (ცხრ. 1).

ცხრილი 1

მანქანა მოწყობილობის პარკის ასაკობრივი სტრუქტურა⁶

%-ში წლის ბოლოს

მოწყობილობის დასახელება	1978 წ.				1981 წ.			
	5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10-დან 20 წლამდე	20 წელზე ზევით	5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10-დან 20 წლამდე	20 წელზე ზევით
1. მთელი მრეწველობის მანქანა-მოწყობილობები	32,7	29,3	29,4	8,6	41,6	28,4	21,3	8,7
2. ქიმიური მრეწველობის მანქანა-მოწყობილობები	20,6	25,3	45,0	5,1	23,6	30,0	21,7	24,7
მ. შ. ძირითადი წარმოების საამქროებში	16,5	25,5	53,9	4,5	16,8	21,8	33,2	28,2
მ. შ. ცალკეულ მანქანები								
1. ელექტროშემდუღებელი მოწყობილობა	32,6	57,6	25,0	1,2	41,0	20,5	32,0	6,6
2. ლითონმჭრელი ჩარხები	8,2	30,4	50,5	10,8	1,5	19,1	71,8	7,4
3. საწუნებ-საბრესი მანქანები	22,4	27,1	39,1	12,0	17,4	35,0	23,3	2,3

საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში შეიმჩნევა ძირითადი მანქანებისა და მოწყობილობის ასაკობრივი „დაბერების“ ტენდენცია; ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს ტენდენცია ძირითადი წარმოების საამქროებისათვის არის დამახასიათებელი და მათი რეკონსტრუქციისა და განახლების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ქიმიური მრეწველობის საწარმოო აპარატის განახლება 1975—1982 წლებში არც თუ მაღალი ტემპებით ხორციელდებოდა და თავის მაქსიმუმს 1980 წელს მიაღწია ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებასთან დაკავშირებით, მის შემდგომ კი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 1980 წელს ახლად ამოქმედებული ფონდების ხვედრითმა წილმა ქიმიური მრეწველობის მთელ ძირითად საწარმოო ფონდებში 22,9% შეადგინა (წლის დასაწყისის მონაცემებით), მათ შორის ძირითადი ქიმიის მრეწველობაში 37,3 %, სამთო ქიმიურ მრეწველობაში 16,6 %, ქიმიური ბოჭკოს მრეწველობაში 4,3 %.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების ლიკვიდაციის მაჩვენებელი დარგში

⁶ აქ და შემდგომ ვერლებზე წყარომითითებული მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ჯერ კიდევ მცირეა და 1966—1980 წლებში 2,8 %-ზე მაღალი არ ყოფილა, 1981 წელს კიდევაც შემცირდა და მხოლოდ 1,2 % შეადგინა, 1982 წელს კი გაიზარდა 3,7 %-მდე.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების ინტენსიურობა 1975 — 1978 წლებში საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში, 1979 წლიდან ტემპი შენედა და უკანასკნელ წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში ყოველწლიურად მრავალი ღონისძიება ხორციელდება ახალი ტექნიკის დანერგვის მიმართულებით. 1980 წელს, მაგალითად, 110 ღონისძიება დაინერგა, რაზედაც 3477 ათასი მანეთი დიხარჯა (ცხრ. 2). ამასთან დანერგილ ღონისძიებათა რიცხვი 1980 წელს 1970 წელთან შედარებით არ გაზრდილა. ფაქტიური დანახარჯები კი 61,3 %-ით გაიზარდა. ფაქტიური დანახარჯები საშუალოდ ერთ ღონისძიებაზე მეცხრე ხუთწლეულში 265,2 %-ით გაიზარდა, მეათეში კი შემცირდა. მაშასადამე, მეცხრე ხუთწლეულში უფრო მსხვილი ღონისძიებები ინერგებოდა.

ცხრილი 2

დანახარჯები ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვაზე და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში

	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1975 წ.-ში 1970 წელთან	1980 წ.-ში 1975 წელთან	1980 წ.-ში 1970 წელთან
დანერგილი ღონისძიებების რიცხვი	196	82	110	42,3	132,5	56,1
ფაქტიური დანახარჯები დანერგილ ღონისძიებებზე, ათასი მანეთი	2156	4058	3477	188,2	85,7	161,3
შეფარდებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი, კაცი	74	20	90	27,0	450,0	121,6
დამატებითი მოგება დანერგილი ღონისძიებების შედეგად, ათასი მანეთი	474	1084	539	228,7	49,7	113,7
წლიური ეკონომიკ. ეფექტი ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად, ათასი მანეთი	609	2303	1517	378,2	65,87	249,1
ფაქტიური დანახარჯები საშუალოდ ერთ ღონისძიებაზე, ათასი მანეთი	11,0	40,17	23,18	365,2	57,7	210,7
დანახარჯების ამოგების საშუალო ვადა წლიური ეკონომიკური ეფექტის ხარჯზე, წელი	3,54	1,76	2,29	49,7	130,1	64,7
იგივე, დამატებითი მოგების ხარჯზე	4,54	3,74	6,45	82,4	172,4	142,1
შეფარდებით გამოთავისუფლებული ერთი მუშაკის საშუალო ღირებულება, ათასი მანეთი	29,1	202,9	38,6	697,2	19,0	132,6

წლიური ეკონომიკური ეფექტი 10 წლის მანძილზე ბევრად უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ფაქტიური დანახარჯები საშუალოდ ერთ ღონისძიებაზე და შეფარდებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი, არ გაზრდილა დანახარჯების ამოგების ვადა წლიური ეკონომიკური ეფექტის ხარჯზე. შეფარდებით გამოთავისუფლებული ერთი მუშაკის საშუალო ღირე-



ბულემა 1975 წელს 1970 წელთან შედარებით თითქმის 7-ჯერ გაიზარდა. ერთი მუშაკის საშუალო ღირებულების ზრდა ძირითადად ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: არასაკმარისად ეფექტიანი ტექნიკის დანერგვით დამხმარე წარმოებაში (სადაც დანახარჯები ერთი მუშის გამოთავისუფლებაზე ბევრად დაბალია ძირითად წარმოებასთან შედარებით) და მექანიზაციის ზოგიერთი საშუალების შეფარდებითი გაძვირებით.

მე-2 ცხრილიდან ირკვევა, რომ დანახარჯების ამოგების საშუალო ვადა წლიური ეკონომიკური ეფექტის ხარჯზე საშუალოდ 2,5 წელია, დამატებითი მოგების ხარჯზე 4,9 წელი. მაშასადამე, დანახარჯები ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვაზე საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში ფრიად ეფექტიანია.

საშუალო დანახარჯები და წლიური ეკონომიკური ეფექტი, გამომდინარე ღონისძიებათა ხასიათიდან მკვეთრად განსხვავდებიან. ახალი ტექნიკის ღონისძიებანი მიღებული კლასიფიკაციის თანახმად 7 მსხვილ ჯგუფად იყოფა (ცხრ. 3).

წარმოდგენილი მასალების თანახმად, საშუალო დანახარჯების ყველაზე მაღალი სიდიდე გაჩნდა სამრეწველო პროდუქციის ახალი სახეების ათვისებას 1975 წელს და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას 1980 წელს. ამასთან საშუალო დანახარჯების ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან ახალი ტექნიკის დანერგვის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა მოწინავე ტექნოლოგიისა და წარმოების ავტომატიზაციის დანერგვა. საშუალო დანახარჯები წარმოების მექანიზაციაზე და სამრეწველო პროდუქციის ახალი სახეების ათვისებაზე ბევრად უფრო მაღალი იყო 1975 წელს, ვიდრე 1980 წელს. ამასთან, წლიური ეკონომიკური ეფექტი ყველა ღონისძიების მიხედვით 1980 წელს 2,5-ჯერ გაიზარდა 1970 წელთან შედარებით.

ცხრილი 3

ახალი ტექნიკის ერთ ღონისძიებაზე დანახარჯებისა და წლიური ეკონომიკური ეფექტის საშუალო სიდიდე საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში

ღონისძიებების ჯგუფები	საშუალო დანახარჯები, ათასი მანეთი			საშუალო ეკონომიკური ეფექტი, ათასი მანეთი		
	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
ყველა დანერგილი ღონისძიება	10,0	40,17	23,18	3,1	27,7	13,8
მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა	35,02	57,18	125,7	7,24	19,0	56,9
წარმო ბის მექანიზაცია	1,74	32,3	23,15	1,48	17,6	11,3
წარმოების ავტომატიზაცია	4,14	42,3	65,0	—	6,25	—
გამომთვლელი ტექნიკის დანერგვა	—	—	20,0	—	—	17,4
სამრეწველო პროდუქციის ახალი სახეების ათვისება	1,63	215,4	46,07	3,2	161,9	6,85
მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია	0,84	10,06	6,3	0,55	11,18	3,79
სხვა ღონისძიებები	4,0	0,95	170,5	—	0,03	—

ახალი ტექნიკის ღონისძიებათა ამოგების საშუალო ვადებზე გარკვეულ ვავლენას ახდენს ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანახარჯების ფუნქციონალური სტრუქტურა, რომელიც საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ცხრ. 4).

ცხრილი 4

დანახარჯებისა და წლიური ეკონომიკური ეფექტის ფუნქციონალური სტრუქტურა საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში (%-ში ჯამთან)

ღონისძიებათა ჯგუფები	დანახარჯები ახალი ტექნიკის დანერგვაზე			წლიური ეკონომიკური ეფექტი		
	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
ხველა დანერგილი ღონისძიება	100	100	100	100	100	100
მათ შორის:						
მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა	29,1	8,4	13,6	67,8	22,3	56,3
წარმოების მექანიზაცია	19,9	32,5	11,8	9,5	5,3	9,7
წარმოების ავტომატიზაცია	3,6	4,8	4,5	—	1,1	—
გამომთვლელი ტექნიკის დანერგვა	—	—	0,9	—	—	11,5
სამრეწველო პროდუქციის ახალი სახეების ათვისება	16,8	10,8	18,2	17,2	63,3	9,0
მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია	30,1	19,3	49,1	5,4	7,8	13,5
სხვა ღონისძიებები	0,5	24,1	1,8	—	0,3	—

მე-4 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ახალი ტექნიკის დანახარჯებში, საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწველობაში, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციის ღონისძიებებია წარმოდგენილი. ამ ჯგუფის ღონისძიებებზე 1980 წელს შოდიოდა ახალ ტექნიკაზე დანახარჯების თითქმის ნახევარი. ყველაზე უმნიშვნელო დანახარჯები გაწეულია გამომთვლელი ტექნიკის დანერგვაზე, მაშინ როცა ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ყველაზე მაღალ ეფექტს მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა და სამრეწველო პროდუქციის ახალი სახეების ათვისება იძლევა. მასასადამე, დასანერგ ღონისძიებათა არჩევის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი ეფექტიანობაც.

სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის თანახმად ჩვენ გავითვალეთ მტკ მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში საქართველოს სსრ ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში. გამოიკვია, რომ მეცხრე ხუთწლეულში ეს მაჩვენებელი 5,1%-ს უდრიდა, მეათეში 33,9%-ს, 1981 წელს 7,3%-ს, ხოლო 1982 წელს — 28,6%; მასასადამე, მისი მნიშვნელობის ერთგვარი გადიდების მიუხედავად, მტკ ჯერ კიდევ არ გამხდარა დარგში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ძირითადი ფაქტორი.

⁷ Методика (основные положения) определения эффективности использования в народном хозяйстве новой техники, изобретений и рационализаций, М., 1977.

Н. Г. АРЕВАДЗЕ

СТРУКТУРНЫЕ РЕЗЕРВЫ РОСТА ЭФФЕКТИВНОСТИ
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА В ХИМИЧЕСКОЙ
ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В статье анализируется технологическая структура основных производственных фондов, возрастная структура машинного парка, величина затрат на освоение новой техники и их экономическая эффективность, средняя величина затрат и годового экономического эффекта на одно мероприятие по новой технике, функциональная структура затрат и годового экономического эффекта. Рассчитан прирост производительности труда за счет научно-технического прогресса.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ



Р. Ш. ГИГИЛАШВИЛИ

ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ СТРУКТУРНЫХ СДВИГОВ НА ЭФФЕКТИВНОСТЬ РЕГИОНАЛЬНОГО ПРОИЗВОДСТВА

Развитие регионального хозяйственного комплекса обуславливает углубление процесса общественного разделения труда, дифференциацию отраслевой структуры производства, изменение в соотношении затрат и полученного эффекта в отдельных отраслях, что в свою очередь является предпосылкой для перераспределения производственных ресурсов между отраслями и влияет на эффективность производства.

Методы количественной оценки влияния структурных сдвигов на эффективность производства пока еще недостаточно разработаны, несмотря на важность этого вопроса и интерес к нему советских экономистов.

Количественная оценка эффективности структурных сдвигов подразумевает их анализ в качестве относительно независимого фактора роста результатов производства.

Марксистская теория факторов производства является методологической основой оценки роли отдельных факторов в экономическом росте. По марксовой теории рабочая сила и средства производства образуют основные факторы производства. Маркс называл их соответственно личными и вещественными факторами. Процесс производства есть соединение труда и средств производства, в результате чего создаются материальные и культурные ценности. Однако в этом соединении роль личного и вещественного факторов различна. Личный фактор является активной стороной, имеющей решающее значение в процессе производства, в то время как вещественный фактор, или средства производства, создает лишь условие для функционирования человеческого труда. Как сам процесс производства, так и основные его факторы имеют всеобщий характер: «Каковы бы ни были общественные формы производства, рабочие и средства производства всегда остаются его факторами. Но находясь в состоянии отделения друг от друга, и те и другие являются его факторами лишь в возможности. Для того, чтобы вообще производить, они должны соединиться; тот особый характер и способ, каким осуществляется это соединение, отличает различные экономические эпохи общественного строя»¹.

На экономический рост, как известно, кроме основных факторов производства, оказывает влияние множество других факторов. Теоретически для факторного анализа требуется выявление и изолированная оценка влияния каждого фактора на результаты производства. Однако в макроэкономических исследованиях нет возможности количественно оценить воздействие всех факторов, тем более, что

¹ Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 24, с. 43—44.

влияние многих незначительно и в практических расчетах их можно не учитывать.

Обычно в применяемых на практике производственных функциях выявляется, оценивается и анализируется влияние основных факторов экономического роста — рабочей силы и производственных фондов. Иногда рассчитывают и влияние различных составляющих научно-технического прогресса².

Существенное воздействие на экономический рост оказывают качественные характеристики основных производственных ресурсов: уровень и динамика производительности труда, фондоотдача, материалоемкость, которые в свою очередь зависят от природных условий, достигнутого уровня экономического развития, квалификации рабочей силы, организации производства, фондовооруженности, отраслевой структуры и т. д. Однако первичное, определяющее влияние на результаты производства имеют только основные факторы производства, их наличие, а все другие могут лишь увеличить или уменьшить производительность живого и овеществленного труда, так как только через них можно оказать воздействие на темпы расширенного воспроизводства.

Практическое измерение вклада отдельных факторов в результаты производства возможно лишь приблизительно. В реальных экономических процессах все факторы действуют одновременно, поэтому влияние каждого из них изменяется из-за одновременного воздействия множества других и ни один фактор никогда не выступает в чистом виде. Поэтому изолированная оценка роли и значения отдельных факторов носит в известной мере условный характер и служит для наглядного анализа процесса экономического роста.

Построение модели для количественной оценки роли отдельных факторов предусматривает условное разделение прироста результирующего показателя на две части: часть, связанная с ростом совокупности личностных факторов (рабочей силы), и часть, обусловленная ростом факторов, связанных с использованием овеществленного труда. Такого рода разделение прироста продукции предполагает возможность замещения между производственными ресурсами в процессе экономического роста. Причем границы и масштабы этого замещения непрерывно изменяются по мере развития производительных сил. Для совместной оценки влияния личных и вещественных факторов существуют определенные трудности, главная из которых заключается в разделии всего прироста результирующего показателя между этими факторами, что в свою очередь требует приведения к единой размерности разнокачественных факторов роста рабочей силы и основных производственных фондов.

В буржуазной экономической науке для определения роли факторов производства в процессе экономического роста наиболее часто применяется так называемый распределительный метод³, который исходит из вульгарной теории факторов производства. По этой теории «вклад» фактора в объем производства и его динамику определяет цену этого фактора и измеряется его долей в национальном доходе. Индексы роста затрат труда и капитала взвешиваются с помощью удельных весов прибыли и заработной платы в распределенном нацио-

² Силаев Е., Барамидзе А. Влияние производственных факторов на экономический рост союзных республик. «Вопросы экономики», 1980, № 4, с. 104—112.

³ Экономика США в будущем (проблемы и прогнозы), 1982, с. 427—429.

нальном доходе. Распределительный метод неприемлем по ряду причин. Прежде всего в силу своего априорного характера, так как заранее задаются значения отдельных факторов в экономическом развитии. К тому же получается, что вся прибыль приходится на капитал, и рабочая сила не принимает участия в производстве прибыли⁴.

В предложенной методике значения личных и вещественных факторов определяются из уравнения регрессии, в котором величина результирующего показателя (национальный доход, чистая продукция) выступает как функция количественных и качественных характеристик основных производственных ресурсов: рабочей силы и основных производственных фондов.

Функцию $Y = Y [L, \Phi]$ можно представить в следующем виде: $Y = B_1 L + B_2 \Phi$, где

Y —результирующий показатель (национальный доход, чистая продукция);

L, Φ —рабочая сила и основные производственные фонды;

$B_1; B_2$ —коэффициенты регрессии.

Уравнение регрессии в таком виде поддается однозначной экономической интерпретации. Коэффициенты регрессии выступают как агрегированные показатели. Один из них (B_1) представляет собой произведение двух величин: производительности труда (P) и доли национального дохода (чистой продукции), приходящиеся на личные факторы производства (μ):

$$B_1 = P \cdot \mu$$

Второй коэффициент регрессии (B_2) представляет собой произведение величины фондоотдачи (F) и доли национального дохода, приходящиеся на вещественные факторы производства (K):

$$B_2 = F \cdot K$$

С помощью коэффициентов регрессии можно рассчитать коэффициенты, которые будут характеризовать разделение прироста национального дохода (чистой продукции) на часть, приходящуюся на личные факторы и часть, приходящуюся на вещественные факторы:

$$\mu = \frac{B_1}{P}, \quad K = \frac{B_2}{F}$$

Таким образом, производственную функцию можно записать в следующем виде:

$$Y = \mu \cdot P \cdot L + K \cdot F \cdot \Phi$$

Для сравнительно небольшого отрезка времени (10—15 лет) коэффициенты регрессии не меняются значительно. Поэтому величины μ и K в основном зависят от динамики производительности труда и фондоотдачи. Динамика производительности труда характеризуется неуклонным повышением, а динамика фондоотдачи характеризуется снижением, стабилизацией

⁴ Критику распределительного метода см. в работе А. И. Анчишкина, Прогнозирование роста социалистической экономики, М., 1973, с. 212—214.

уровня или в некоторых случаях незначительным увеличением. Поэтому имеет место постоянное увеличение показателя K и уменьшение η , а так как они находятся в функциональной зависимости $\eta + K = 1$, то в приросте результирующего показателя постоянно увеличивается доля, приходящаяся на совокупность вещественных факторов производства. В этом обстоятельстве отражается повышение уровня производительности общественного труда, так как по мере развития производительных сил происходит постепенное уменьшение относительной роли затрат массы живого труда и увеличивается значение труда овеществленного в производственных фондах: "...увеличение производительности труда проявляется ...в уменьшении величины субъективного фактора процесса труда по сравнению с его объективными факторами".⁵

Использование производственной функции дает возможность учитывать совместное влияние на прирост результирующего показателя следующих основных групп факторов роста производства:

1) личных и вещественных факторов, выраженных через объемные показатели — численность занятых и стоимость основных производственных фондов;

2) качественных факторов, характеризующих эффективность использования живого и овеществленного труда, через показатели производительности труда и фондоотдачи.

К качественным характеристикам использования живого и овеществленного труда относятся и отраслевая структура. Структурный фактор выступает как структурно-экономическая зависимость уровня производительности труда и фондоотдачи от изменения отраслевой структуры численности занятых и основных производственных фондов.

Изменение уровня производительности труда и фондоотдачи (например, в промышленности) определяется совместным воздействием двух относительно независимых друг от друга факторов: изменением уровней этих показателей в отдельных отраслях и изменением удельных весов отраслей в структуре занятых и основных производственных фондов. Поэтому роль структурных сдвигов в приросте результирующего показателя проявляется опосредственно, только через изменение уровня производительности труда и фондоотдачи. Для количественной оценки влияния структурных сдвигов на прирост продукции, их воздействие на производительность труда и фондоотдачу нужно оценить отдельно, а влияние от изменений уровней производительности труда и фондоотдачи в отдельных отраслях — отдельно. В первом случае нужно элиминировать воздействие на средний по промышленности уровень производительности труда и фондоотдачи от изменений данных показателей в отдельных отраслях, а во втором случае элиминировать влияние, оказываемое структурными сдвигами.

Таким образом, можно количественно оценить участие в приросте национального дохода личных и вещественных факторов экономического роста, их качественных характеристик, которые включают и структурные сдвиги.

Изменения в структуре могут быть рассмотрены в качестве фактора, способствующего интенсивному процессу роста, если они направлены в сторону увеличения доли в отраслевой структуре основных производственных фондов или численности занятых тех отраслей, в ко-

⁵ Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 25 ч. I, с. 386.

торых показатели фондоотдачи или производительности труда выше, чем в среднем по промышленности. В таком случае, даже без увеличения объемов используемых производственных ресурсов и повышения их качественных характеристик, за счет только структурных изменений можно получить прирост продукции.

Применяемая функция, как и все другие методы определения эффективности структурных сдвигов, учитывает воздействие лишь тех структурных изменений, которые непосредственно способствуют изменению эффективности производства. При этом остается незамеченным косвенное влияние структурных сдвигов на рост производства. Прогрессивные структурные изменения, т. е. увеличение доли отраслей, способствующие усилению научно-технического прогресса, не всегда могут вызвать незамедлительное повышение эффективности из-за различия между отраслевыми уровнями показателей эффективности производства. Однако такие изменения способствуют вооружению различных отраслей современными видами средств производства и в конечном итоге обуславливают повышение эффективности во всех отраслях материального производства. Это требует изучения и решения в будущем для определения влияния структурных сдвигов на эффективность и рост производства.

На основе приведенной производственной функции были проведены расчеты на примере промышленности Грузинской ССР и внутриреспубликанских автономных образований — Абхазской АССР, Аджарской АССР и Юго-Осетинской АО. Весь прирост чистой продукции промышленности за 1970—1982 гг. был разделен между отдельными факторами.

Анализ табл. I свидетельствует, что основную роль в росте чистой продукции промышленности как в Грузинской ССР в целом, так и в автономных формированиях сыграли экстенсивные факторы роста — увеличение численности занятых и физического объема основных производственных фондов. Факторы, способствующие интенсификации производства, обеспечили менее половины прироста чистой продукции. Уменьшение фондоотдачи в отдельных отраслях промышленности внутриреспубликанских регионов определило отрицательное влияние этого фактора на прирост продукции.

Таблица 1
 Роль основных факторов в росте чистой продукции промышленности Грузинской ССР, Абхазской АССР, Аджарской АССР и Юго-Осетинской АО за 1970—1982 гг. (в процентах)⁶

Факторы	Грузинская ССР	Абхазская АССР	Аджарская АССР	Юго-Осетин. АО
Численность занятых	11,27	10,22	15,05	34,09
Объем основных производственных фондов	46,79	80,96	43,01	65,37
Производительность труда	34,28	34,27	41,61	32,81
Фондоотдача	5,45	-8,95	-0,27	-33,18
Отраслевая структура занятых	-0,35	1,67	0,47	-1,59
Отраслевая структура основных производственных фондов	2,56	-21,17	0,13	2,5

⁶ Таблица рассчитана по данным формы «СО» Грузинской ССР, Абхазской АССР, Аджарской АССР и Юго-Осетинской АО.

На рост производства отрицательное воздействие оказали и изменения в отраслевой структуре занятых в Грузинской ССР и Юго-Осетинской АО. Это обстоятельство было вызвано увеличением удельного веса отраслей, в которых уровень производительности труда был ниже, чем в среднем по промышленности (машиностроение для Грузинской ССР, легкая промышленность для Юго-Осетинской АО).

В Абхазской АССР, после вступления в эксплуатацию Ингури ГЭС, в отраслевой структуре основных производственных фондов существенно повысился удельный вес электроэнергетики. В этой отрасли, как известно, наблюдается весьма низкий уровень фондоотдачи, поэтому увеличение удельного веса электроэнергетики обусловило негативное влияние на рост чистой продукции от изменений в структуре основных производственных фондов.

Таким образом, с целью обеспечения перехода промышленности республики и внутриреспубликанских автономных образований на интенсивный путь развития, необходимо повысить роль факторов, способствующих интенсивному процессу роста. Для этого требуется дальнейшее повышение производительности труда, более эффективное использование имеющихся основных производственных фондов и целенаправленная структурная политика, чтобы с учетом специфики каждого региона обеспечить ускоренное развитие наиболее эффективных отраслей.

Представлена отделом воспроизводства и экономической эффективности капитальных вложений Института экономики и права АН ССР

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

რეზავ ჰვარცხავა, ნუზარ ლათიფიძე

არასრულწლოვანი დამნაშავეის სოციალურ განწყობათა სტრუქტურის საკითხისათვის

საბჭოთა კრიმინოლოგიაში „დამნაშავეობის მიზეზების“ და „დამნაშავეობის პროფილაქტიკის“ გარდა სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. „დამნაშავე პიროვნების“ პრობლემას, რომელსაც კრიმინოლოგიის მესამე პრობლემასაც კი უწოდებენ¹. ამ პრობლემისადმი კრიმინოლოგების ინტერესის გაზრდა საესებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგანაც დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული დამნაშავეის პიროვნების პრობლემასთან. ვიკვლევთ რა დამნაშავეს, მის პიროვნულ მახასიათებლებს, ამავე დროს ვსწავლობთ დანაშაულებრივი ქცევის მიზეზებსაც. კონკრეტული დანაშაულის მიზეზები შეუძლებელია შევიმეცნოთ დამნაშავე პიროვნების გათვალისწინების გარეშე.

პიროვნებას მრავალი მეცნიერება შეისწავლის: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეთიკა, პედაგოგია.

ყოველი მეცნიერება პიროვნებას განიხილავს თავისი სფეროს, მიზნებისა და მეთოდის შესაბამისად. ამიტომაც არსებობს პიროვნების მრავალი დეფინიცია, ძირითადად გამოყოფენ ამ ცნების ორ ასპექტს: 2) ადამიანი ინდივიდი, როგორც ურთიერთდამოკიდებულებისა და ცნობიერი საქმიანობის სუბიექტი (პირი ფართო გაგებით); 2) სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების მყარი სისტემა, რომლითაც ხასიათდება ინდივიდი, როგორც საზოგადოების ან ერთობის წევრი². სპეციალურ გამოკვლევებში პიროვნება უმთავრესად მეორე მნიშვნელობით იხმარება: პედაგოგი ლაპარაკობს მოზარდის პიროვნებაზე, სოციოლოგი — მუშის პიროვნებაზე, კრიმინოლოგი — დამნაშავეის პიროვნებაზე, ფსიქიატრი — ნევროტიკის პიროვნებაზე. ყოველ მათგანს უპირველეს ყოვლისა მხედველობაში აქვს პიროვნული თვისებების ის სისტემა, რომლის გამოც ადამიანი არის მოზარდი, მუშა, დამნაშავე თუ ნევროტიკი; სწორედ იმ მახასიათებლებით, რომლებიც კონკრეტული ჯგუფის წევრთათვის ტიპურია და არსებითი, ხდება ამა თუ იმ ჯგუფის წევრების სხვებისაგან გამოყოფა.

კრიმინოლოგებს შორის დამნაშავე პიროვნების ცნების დადგენაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს კამათი³. მაგრამ ერთი რამ უდავოა — კონკრეტულ ინდივიდს დამნაშავე პიროვნება შეგვიძლია ვუწოდოთ მხოლოდ მის მიერ დანაშაულებრივი ქცევის ჩადენის შემდეგ. თუ ინდივიდს დანაშაულებრივი

¹ Социально-психологическая характеристика личности несовершеннолетнего преступника. М., 1975.

² Б. С. Э., т. 14, с. 578.

³ Теоретические проблемы учения о личности преступника, М., 1979.

ქცევა არ ჩაუდგნია, მიუხედავად მისი უკიდურესი ანტისოციალური თვისებებისა, ის არ არის დამნაშავე პიროვნება. შესაბამისად, „დამნაშავე, პიროვნების“ განსაზღვრის ქვაკუთხედია დანაშაულებრივი ქცევა და ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ამ დანაშაულებრივ ქცევას განსაზღვრავენ. იმ პიროვნული მახასიათებლებიდან, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევისა და კერძოდ დანაშაულებრივ ქცევას, სულ უფრო და უფრო ხშირად გამოყოფენ სოციალური განწყობის ცნებას, რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში სოციოლოგიურისა და სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი გახდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია დამნაშავე პიროვნების შესწავლა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სოციალური განწყობის ცნებას.

ჩვენს მიერ არასრულწლოვანი დამნაშაულის სოციალურ განწყობათა სტრუქტურის საკითხის შესწავლა მართო ამით არ არის განპირობებული.

საბჭოთა კრიმინოლოგია გამოდის იმ დებულებიდან, რომ ადამიანი დამნაშავედ არ იბადება, ადამიანი დამნაშავედ სოციალური პირობების გავლენით ხდება. თუ გამოვალთ თეზისიდან, რომ პიროვნებად არ იბადებიან, არამედ პიროვნებად ყალიბდებიან, მაშინ უნდა დავეუშვათ, რომ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი ადამიანის სოციალიზაციის პროცესის შინაარსიც არის. ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბება სოციალიზაციის პროცესში ხდება.

სოციალიზაციის პროცესს ადამიანი დაბადების პირველივე წუთებიდანვე განიცდის. სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმებისა და ღირებულებათა სისტემის შეთვისება, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდს საზოგადოებაში, კონკრეტულ ჯგუფში სრულუფლებიან წევრად იფუნქციოს. ადამიანის დამნაშავე პიროვნებად ჩამოყალიბება შეიძლება იყოს არასწორი სოციალიზაციის შედეგი. ამ დროს მოზარდი ითვისებს დამნაშავეობის სამყაროს ღირებულებებს, სოციალურ განწყობილებებსა და ქცევის ნორმებს. მისთვის რეფერენტული ჯგუფია — კანონდამრღვევთა ჯგუფი. ასეთი მოზარდის მიზანია გახდეს დამნაშავეთა სამყაროს სრულუფლებიანი წევრი და ცდილობს ზუსტად შეასრულოს „ქურდული კანონები“, ლაპარაკობს „ქურდულ ჟარგონზე“, თავის ყოველ ქცევას აფასებს იმის მიხედვით, თუ შისი რეფერენტული ჯგუფი როგორ შეაფასებს ამ ქცევას. ეს ხდება მაშინაც კი, როდესაც მოზარდი დანაშაულებრივი სამყაროს არც ერთ წარმომადგენელს არ იცნობს.

ერთხელ მიღებული არასწორი სოციალიზაციის შეცვლა, რესოციალიზაცია, საკმაოდ სიმძნელებთანაა დაკავშირებული. დამნაშაულის რესოციალიზაცია უფრო რთულდება, თუ ინდივიდი დამნაშავე პიროვნებად ჩამოყალიბდა არასრულწლოვან ასაკში. ამ ფაქტს მრავალი კრიმინოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს. სრულწლოვანი რეციდივისტი დამნაშავეების ნახევარზე მეტს პირველი დანაშაული ჩადენილი აქვთ არასრულწლოვანების ასაკში⁴. კერძოდ რსტერის ერთ-ერთი ოლქის მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქურდულ საქმიანობაში ჩაბმული პირების 2/3-ს პირველი დანაშაული ჩადენილი აქვთ არასრულწლოვანების ასაკში⁵. ამიტომაც კრიმინოლოგიაში ერთ-

⁴ Таратурхин С. А. Преступное поведение, М., 1974.

⁵ Сахаров А. Б. О личности преступника и причинах преступности в СССР, М., 1961.

ერთი მნიშვნელოვანი ადგილი არასრულწლოვანთა დამნაშავეობისა და მათი რესოციალიზაციის საკითხების შესწავლას უკავია. უნდა ვიფიქროთ, რომ დამნაშავეს რესოციალიზაციის შედეგად ეცვლება ფიქსირებული სოციალური განწყობები, რომლებიც მას სოციალიზაციის დროს ჩამოუყალიბდა. დამნაშავე პიროვნების გამოსწორება, აღზრდა, რესოციალიზაცია გულისხმობს დამნაშავეს სოციალურ განწყობათა ისეთ შეცვლას, რომლის შედეგადაც ის მოწყდება დამნაშავეთა წრეს და ვახდება საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. ამიტომაც არასრულწლოვან დამნაშავეთა სოციალური განწყობების შესწავლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში სოციალური განწყობა განხილულია ქცევის ჰიპოტეტურ, ლატენტურ ცვლადად. იგი არაა დაკავშირებული რომელიმე ცალკეულ, სპეციფიკურ აქტებთან ან ინდივიდის გარკვეულ რეაქციასთან. შეიძლება ითქვას, რომ ს. გ. — ა ურთიერთდაკავშირებული აქტების ან რეაქციების აბსტრაქციად არის განხილული. ასეთი ლატენტური ცვლადი გამოყენებულია, რათა აღწეროთ სტიმულის გარკვეულ კლასზე განსხვავებული რეაქციები. ამდენად ს. გ. — ა შუალედურად განიხილება სტიმულსა და რეაქციას შორის. რეაქციაზე შეიძლება ვთქვათ, რომ ხასიათდება კოვარიაციით, რადგან გაშუალებულია ერთიანი ჰიპოტეტური ცვლადით. ჩათვლილია, რომ ეს ლატენტური ცვლადი ახდენს ფაქტების მთელი სერიის, რეაქციების უნიფიცირებას. სოციალურმა ფსიქოლოგიამ სწორედ ამიტომ გამახვილა განსაკუთრებით ყურადღება ამ ცნებაზე.

სოციალური ფსიქოლოგიის ინტერესი სოციალური განწყობებისადმი სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. აშკარა გახდა, რომ ადამიანის ქცევის სპეციფიკურობის ასახსნელად არ იყო საკმარისი ინსტიქტების განსხვავებული ჰიპოთეზები (როგორც ვარიაციითაც არ უნდა ყოფილიყო ის წარმოდგენილი). ადამიანის ქცევაზე სოციალური გარემოს (სხვა ადამიანების, სოციალური ინსტიტუტების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების გავლენის ასახსნელად არ იყო საკმარისი მხოლოდ ინდივიდის თანდაყოლილ თვისებებზე მითითება. საჭირო გახდა ისეთი ჰიპოტეტური ცვლადის დაშვება, რომელიც თავისუფალი იქნებოდა უპიროვნო სოციალური ძალების აბსტრაქტული შინაარსებიდანაც და თანდაყოლილი იდეებისაგანაც. სწორედ ასეთს წარმოადგენდა ს. გ. -ის ცნება. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ოლპორტი, ს. გ. -ა შეეცავეს ინსტიქტსაც და ჩვევასაც ნებისმიერი პროპორციით⁸. ამის გამო იგი არ ხდება არც ინსტიქტ-თეორიებისა და არც მხოლოდ გარემოსეული გავლენის თეორიების კუთვნილება.

სოციალურ ფსიქოლოგიაში ამ ცნების განმტკიცება არსებითად დაკავშირებულია ტომასისა და ზნანეცის სახელებთან. მათ სოციალური განწყობა გაიზარეს ინდივიდუალურ მენტალურ პროცესად, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის ფაქტიურ და პოტენციალურ რეაქციას სოციალურ სამყაროში. რადგან მათი აზრით ს. გ. ყოველთვის მიმართულია რაიმე სოციალურად ღირებულ ობიექტზე, ის შეიძლება განვსაზღვროთ „ინდივიდის მენტალურ

⁸ Allport G. W. Attitudes in Murchison (ed.) The handbook of Social Psychology. Worcester, Clare Univ. press 1935.

მდგომარეობად ღირებულების მიმართ⁷. სოციალური ღირებულება განიხილება ემპირიულ მნიშვნელობად, რომელიც მისაღებია გარკვეული ჯგუფის წევრებისათვის და რომლის მიმართაც ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს აქტიობა. სოციალური განწყობა კი ამ ღირებულებებთან მიმართებაში ყალიბდება. ამრიგად ს. გ.-ა სოციალური ფსიქოლოგიის კუთვნილებად, მის ერთ-ერთ ძირითად ცნებად იქცევა, რომელსაც მიეძღვნა უამრავი გამოკვლევა.

1. სოციალური განწყობის დეფინიცია

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია ს. გ.-ის მრავალი დეფინიცია. განსხვავებას ქმნის ნიუანსები ან ის ასპექტები, რომელნიც ხაზგასმულია ამა თუ იმ დეფინიციაში.

ოლბორტმა გაარჩია ს. გ.-ის 16 დეფინიცია და დაუმატა თავისი მეჩვიდმეტე. ნელსონმა გაარჩია ოცდაათამდე დეფინიცია, კემბელმა უფრო მეტი და ა. შ. დეფინიციათა ამ სიმრავლეში შეინიშნება გარკვეული კრიტერიუმები, რომლითაც შეიძლება მათი კლასიფიკაცია. ასეთი კრიტერიუმებია ის თუ ს. გ.-ის რა ასპექტებზეა ხაზგასმად დეფინიციაში. ამ თვალსაზრისით დეფინიციები შეიძლება დალაგდეს სამ ძირითად კლასად.

1. დეფინიციები, რომლებშიც ხაზგასმულია ს. გ.-ის ქცევითი ტენდენციები — ამ მხრივ ტიპურია ოლბორტის დეფინიცია; 2. დეფინიცია რომელშიც ხაზგასმულია უფრო ის თუ რას წარმოადგენს ს. გ.-ა და არა მისი ტენდენციები — ტიპურია დუბის დეფინიცია და 3. რომელიც აერთიანებს ორივე ზემოთ მითითებულ პრინციპებს — ტიპურია კრჩისა და კრეჩფილდის მიერ მოცემული დეფინიცია.

ოლბორტის აზრით „სოციალური განწყობა არის მზაობა, მენტალური და ნევრალური მდგომარეობა, რომელიც ორგანიზებულია გამოცდილებით და წარმართველ ან დინამიურ გავლენას ახდენს ინდივიდის რეაქციაზე“⁸. როგორც ვხედავთ, ოლბორტი ს. გ.-ში პირველ რიგში ხაზს უსვამს ქცევით სეულ ტენდენციებს, უპასუხოს სიტუაციას გარკვეული გზით.

განსხვავებით ამ დეფინიციისაგან, დუბი ს. გ.-ას განსაზღვრავს „იმპლიციტურ, დრავით — განპირობებულ პასუხად, რომელიც საზოგადოებაში განილულია სოციალურად მნიშვნელოვანად“⁹. ამ განსაზღვრებაში უფრო ხაზგასმულია ის თუ რა არის თვით ს. გ.-ა და ის თუ რა ტენდენციებს შეიცავს ის. როგორც ვხედავთ, დეფინიცია არ შეიცავს ღია ქცევას, თუმცა შეიცავს დაშვებას, რომ ს. გ.-ა გავლენას მოახდენს იმაზე თუ როგორ მოიქცევა ინდივიდი. ეს დეფინიცია გამომდინარეობს დასწავლის S—R ტრადიციებიდან, და ს. გ.-ა კონცეპტუალიზირებულია განსხვავებულ პასუხად (თუმცა უფრო იმპლიციტური ვიდრე ექსპლიციტური).

⁷ Thomas W., Znaniecki F., The Polish Peasant in Europe and America, vol. 1. Boston, 1918.

⁸ Allport G. W. The Historical Background of Modern Social Psychology. n. G. Lindzey and E. Azonson (Ed). The Handbook of Social Psychology. vol. 1. Addison—Wesley, Reading, mass. 1969.

⁹ Freedman J., Corlsmith M., Seers D., Social Psychology. Prentice—hall. Inc., New—Jersey 1970.

მესამე კლასის, კრეჩი და კრეჩვილდის დეფინიცია, როგორც აღვნიშნეთ, აერთიანებს ორივე ზემოთ მოცემულ პრინციპს: „სოციალური განწყობა არის სოციალური ობიექტების დადებითად ან უარყოფითად შეფასების, მისდამი დადებითი გრძნობის და pro ან contra მოქმედების მყარი სისტემა“¹⁰. დეფინიციის ამ კლასში ერთიანდება ს. გ.-ის ე. წ. სამკომპონენტური თეორიის წარმომადგენლები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ს. გ.-ა არის მყარი სისტემა, რომელიც შეიცავს კონკრეტურ და გრძნობით კომპონენტს და აქტიობის ტენდენციას. კონკრეტური კომპონენტი შეიცავს ობიექტის ან იდეის შესახებ რწმენას ან მოსაზრებას; გრძნობითი კომპონენტი არღს დუბის აფექტური კომპონენტის ექვივალენტური, სადაც იგულისხმება, რომ რწმენასთან დაკავშირებულია გარკვეული გრძნობა; აქტიობის ტენდენცია კი არის ის, რაზედაც ოლპორტი მიუთითებდა როგორც გარკვეული მანერით (გზით) „პასუხისკენ მზადყოფნა“.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს შედარებით უფრო გაზიარებულია ს. გ.-ის სამ კომპონენტური თეორია, მაგრამ დეფინიციებიდან უფრო მხარდაჭერილია ოლპორტის მიერ მოცემული ფორმულირება. ეს გასაგებია, რადგან ოლპორტის მიერ მოცემული დეფინიცია კარგ შესაძლებლობას იძლევა დავახსიათოთ ს. გ.-ის ბუნება.

2. სოციალური განწყობის ბუნება

სოციალური განწყობის ბუნების გარკვევისას ჩვეულებრივ იძლევიან ოლპორტისეული დეფინიციის ანალიზს. ამ დეფინიციის თანახმად ს. გ.-ას აქვს სულ მცირე ხუთი ასპექტი: 1. ის წარმოადგენს მენტალურ და ნევრალურ მდგომარეობას; 2. მზაობაა პასუხისათვის; 3. წარმოადგენს ორგანიზაციას; 4. შექმნილია გამოცდილებით და 5. ამჟღავნებს ქცევაზე წარმავალ და (ან) დინამიკურ გავლენას.

ჩათვლილია, რომ ს. გ.-ის ამ ხუთი ასპექტის ანალიზი გავიხსნის თვით სოციალური განწყობის ბუნებას.

1. მენტალური და ნევრალური მდგომარეობა. ეს ასპექტი დეფინიციისა ასახავს იმ ფაქტს, რომ ს. გ. არის ამბივალენტური (დენომელოგიური და ფიზიოლოგიური) და რომ ის არის შუალედური კონცეპტი, აბსტრაქცია, რომელიც განსაზღვრულია მთელი რიგი წინმსწრები პირობებისა და ქცევის როგორც შედეგის ტერმინებში. ასეთი შუალედური ცნებების შემოტანა, რომლებსაც ტენდენცია აქვთ გახდნენ ჰიპოტეტური ცვლადები, ყოველთვის აყენებს მათი გაზომვის პრობლემას. არის მრავალი ცდა ს. გ.-ის ინტროსპექტიური, ვერბალური ანგარიშით გაზომვისა. ამ მხრივ აღსანიშნავია ტურსტონის, ლიკერტისა და სხვათა მიერ შემუშავებული ს. გ.-ის ვასაზომი შკალები. არსებობს აგრეთვე ს. გ.-ის ვასაზომი პირდაპირი ფიზიოლოგიური ინდიკატორების გამოყენების ცდაც. ჩათვლილია, რომ ფიზიოლოგიური ინდიკატორები ს. გ.-ის „შეფასებით“ ან „ემოციონალურ“ კომპონენტებს ზომავს და არა კონკრეტურ ან (და) კონატურ კომპონენტებს. ვასაზომად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა კანის გაღვანური ეფექტი, გულისცემა, სისხლის მიმოქცევა, სისხლის შემადგენლობა და ა. შ.

¹⁰ Krech D., Cratsfield R., Ballachey F., Individ in Society, N—Y, 1962.



ეს ფიზიოლოგიური მაჩვენებლები საუკეთესო შემთხვევაში იძლევა ს. გ.-ის ინტენსიობის გაზომვას, მის მიმართულებაზე რაიმე მითითების გარეშე. ე. ი. თუ სტიმული ობიექტი ინდივიდში იწვევს ძლიერ ავტონომიურ რეაქციას, შეიძლება დავუშვათ, რომ ამ ობიექტის მიმართ ინდივიდს აქვს ძლიერი ს. გ., მაგრამ ეს რეაქცია არაფერს გვეუბნება, ეს არის მოწონება, ზიზღი, მქენვარება თუ სხვა რამ.

ასეთი ფიზიოლოგიური და ფენომენოლოგიური ინდიკატორების გარდა ნაცადია ს. გ.-ის პირდაპირი მაჩვენებლის ძიება. კერძოდ იზომება ინდივიდის რეაქცია ს. გ.-ის რელევანტური ობიექტების მიმართ და მას უდარებენ აღმაინის რეაქციას იმავე ობიექტებზე, როცა მისდამი დამოკიდებულება ინდიფერენტულია. რადგან ამოცანა, რომელიც ეძლევა ინდივიდს შეიძლება მოწოდებულ იქნას ამა თუ იმ უნარის გაზომვის ქვეტექსტით, ეს პროცედურა წარმოადგენს ს. გ.-ის შენიღბულად გაზომვის საშუალებას, რაც მეტად ხელსაყრელია მკვლევარისათვის, რადგან ინდივიდები ხშირად მალავენ თავიანთ ნამდვილ ს. გ.-ბებს.

2. მზაობა პასუხისათვის. დეფინიციის ეს ასპექტი პასუხს იძლევა მეტად პრობლემურ საკითხზე, ს. გ. წარმოადგენს პასუხს თუ პასუხისათვის მზაობას. მთელი რიგი მკვლევარებისა უფრო იხრებიან ოპერაციონალური დეფინიციისაკენ, რომ ს. გ.-ა მიაკუთვნონ პასუხის კატეგორიას, მაშინ როცა ოლპორტი, დუბი, კემბელი ს. გ.-ს განიხილავენ პასუხისათვის მზაობად, ე. ი. მათი აზრით ს. გ.-ა წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქტს, რომელიც მხოლოდ არაპირდაპირაა დაკავშირებული ღია პასუხთან.

3. ორგანიზაცია. დეფინიციაში ორგანიზაციაზე ხაზგასმა გულისხმობს ან იმას, აქვს თუ არა ცალკეულ ს. გ.-ს, რომელიც აგებულია კომპონენტებისაგან, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა, ე. ი. ეხება ს. გ.-ის კოგნიტურ, ემოციონალურ და კონატურ კომპონენტების ორგანიზაციას, ან იმას არსებობს თუ არა ს. გ.-ის წყობაში განსხვავებული სტრუქტურა (ამ უკანასკნელზე შევჩერდებით ქვემოთ).

4. შექმნილია გამოცდილებით. შეიძლება ითქვას, რომ მკვლევარები თითქმის ერთხმად ეთანხმებიან ოლპორტს, რომ ს. გ. არის შექმნილი გამოცდილებით. მაკგიური შეშფოთებასაც კი გამოთქვამს ასეთ ერთსულოვნებაზე, რადგან ჩნდება ამ დებულების შეუმოწმებლად მიღების ტენდენცია. შეშფოთების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ აზრის ერთსულოვნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ქეშმარიტებას.

5. ქცევაზე მიმართულებითი ან (და) დინამიკური გავლენა. აქ საკითხი ეხება იმას, ს. გ. განხილულია ქცევის მხოლოდ დინამიკურ ფაქტორად თუ მიმართულების მიმცემდაც. თუ ს. გ. განხილულია მხოლოდ მიმართულების მიმცემად, მაშინ დაშვებულია, რომ ის წარმოადგენს ენერჯის არსებული დონის არხს ამა თუ იმ ქცევისაკენ. თუ ს. გ. ჩათვლილია დინამიკურადაც, ეს ნიშნავს, რომ ის გავლენას ახდენს ენერჯის აბსოლუტურ დონეზე და ამასთან განსაზღვრავს ქცევის მიმართულებასაც. ს. გ.-ის ფროიდისეულ კონცეფციაში მას არსებითად მიმართულების მიცემის ფუნქცია ექნება. მაგ. ანტისემიტოზმი როგორც ს. გ. ამ თეორიაში განხილულია კოგნიტურ სტრუქტურად, რომელიც ინდივიდის ენერჯის მიმართულებას აძლევს ებრაელებისადმი აგრესიული ქცევებისაკენ. ს. გ.-ის შე-

ცვლა უბრალოდ იქნება აგრესიულობის მიმართულების შეცვლა სხვა ობიექტისაკენ, მაგ. ხელოვნებისაკენ, მდიდრებისაკენ ან თვით „მე“-საკენ და ა. შ. დუბი, ოლბორტის მსგავსად, ს. გ.-ას მიაწერს როგორც დინამიკურ, ისე მიმართულების მიმცემის თვისებას, რომელიც ახდენს ქცევის ენერგიზირებასაც და მიმართულების მიცემასაც. დუბი ამ ნიშნით ანსხვავებს ს. გ.-ას სხვა ფენომენისაგან, ვთქვათ ჩვევისაგან (რომელიც ასევე სტიმულით წარმოშობილი პასუხის მედიატორიცაა). ასეთი გავებით ანტიემპირიული ს. გ. განხილულია არა უბრალოდ ებრაელების სპეციფიკაციად, როგორც ობიექტისა, რომლისაკენაც მტრობაა მიმართული, არამედ აგრეთვე თვით ამ მტრობის წარმოშობა. ასეთი თვალსაზრისი განხილულია ოპტიმისტურ მიდგომად რადგან ანტიემპირიული ს. გ.-ის შეცვლა ფაქტიურად ნიშნავს საერთოდ ინდივიდის სოციალური სიძულვილის დონის დადაბლებას და არა მისი ობიექტის შეცვლას.

3. სოციალური განწყობის მონათმესამე ცნებები

სოციალური განწყობის თეორიული სტატუსის დახვეწა შესაძლოა მისი სხვა მონათესავე ცნებებისაგან გამოიჯნოს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზშირად არსებობს მათი ერთმანეთთან აღრევის საშიშროება. როგორც ლიტერატურის ანალოზი გვიჩვენებს, შედარებით საკამათოა სოციალური განწყობის ცოდნის, ღირებულების და საზოგადოებრივი აზრისაგან გამოიჯნის საკითხი¹¹. ჩვენ ს. გ.-ის სწორედ ამ სამი ფენომენისაგან გამოიჯნას და მისი სპეციფიკურობის ხაზგასმას შევეცდებით.

1. სოციალური განწყობა ცოდნა (იგულისხმება ცოდნა ფართო გაგებით, როგორც ეს გააზრებულია ბიპევიორისტულ ფსიქოლოგიაში). ცნობილია, რომ ის ვინც ს. გ.-ის ანალიზისას იყენებს სტიმულ-რეაქტიულ მიდგომას, ჩვეულებრივ არკვევს მის ჩვევასთან მიმართებას. ჩვევა კი როგორც შექმნილი ფენომენი, განიხილება როგორც ცოდნა ფართო გაგებით. დუბის კონცეფციაში (რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი) ს. გ. ძალიან ემსგავსება ჩვევას. მაგრამ მათ შორის განსხვავებას ქმნის ის, რომ ცოდნას აქვს მხოლოდ მანიშნებელი ღირებულება, მაშინ როცა ს. გ.-ას აქვს როგორც მანიშნებლის, ისე მოთხოვნილებისეული ასპექტი. ოლბორტიც ეთანხმება დუბს, როცა აღნიშნავს, რომ ჩვევა შეიძლება განვიხილოთ ს. გ.-ბად შეფასებითი კომპონენტის გარეშე, ე. ი. გ.-ას მიეწერება ქცევაზე როგორც მიმართულების მიმცემი, ისე დინამიური გავლენა. მაშინ როცა ცოდნას მხოლოდ მიმართულების მიცემის ფუნქციას მიაწერენ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰალისეულ ტრადიციებში (რომელიც საკმაოდაა გაბატონებული თანამედროვე ბიპევიორისტულ თეორიებში) ყოველ სტიმულს აქვს როგორც მანიშნებლის, ისე მოთხოვნილებისეული თვისება, საკითხი ისევ პრობლემატური ვახდება. მაგ. კემპბელი ვარაუდობს, რომ ს. გ.-ის დინამიური ასპექტი არ განასხვავებს მას სხვა ბიპევიორისტულად გაგებული დისპოზიციებისაგან, რადგან მათ ყველას აქვთ იგივე მოთხოვნილებისეული ღირებულება.

ს. გ.-ის ცოდნისაგან განსხვავების დაჭერა ნაცადია სოციალური განწყობა

¹¹ Attitudes, Ed. by Marie Tahoda and Neil Warner, Penguin book, 1966. N. Y.

ბის შეცვლის თეორიულ გაზრებაში, სადაც ამ განსხვავების პრაქტიკული მნიშვნელობა მართლაც ძალიან დიდია. ცნობილია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ს. გ.-ის შეცვლას (როგორც „პროპაგანდის“ ან „დარწმუნების“ შედეგი) ანსხვავებს ცოდნის შეცვლისაგან (როგორც „განათლების“ შედეგი). დუბისა და კემპბელის აზრით სწავლასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა შინაარსს მხოლოდ მიმართულების მიმცემი ფუნქცია აქვს, მაშინ როცა დარწმუნებაში ჩართულია დინამიური ფაქტორი. შესაბამისად განიხილება „დასწავლასა“ და „დარწმუნებას“ შორის. როცა რამეს ვასწავლით, იგულისხმება, რომ მიმღებს არა აქვს რაიმე საწყისი პოზიცია, ხოლო როცა ვარწმუნებთ, ასეთი საწყისი პოზიცია არსებობს. ზოგიერთი მათ შორის განსხვავებას „მეს ჩართულობაში“ ხედავს (შერიფი) და ა. შ.

განათლებასა და დარწმუნებას შორის განსხვავების დასადგენად ხაზგასმას იმაზეც აკეთებენ თუ რისთვის ხორციელდება კომუნიკაცია. თუ კომუნიკაციის აზრი გაგებაა, სიტუაცია განმანათლებლურია; თუ ძირითადად ყურადღება გამახვილებულია იმისადმი რაც გაგებულ იქნა, მაშინ თვლიან, რომ სიტუაცია დამარწმუნებელია და საკითხი ს. გ.-ის შეცვლას შეეხება. მაგ., ცვლილება, რომელსაც იწვევს ფიზიკის ლექტორი მსმენელებში სამყაროს ფიზიკურ აგებულებაზე, არის განათლება. მსმენელებს შორის განსხვავება შეიძლება გაგების ხარისხში იყოს. მაგრამ მხატვრული ტილოს მშვენიერებაზე ინდივიდის მიერ საკუთარი შეფასების შეცვლა სხვისი აზრის მოსმენის შემდეგ, განიხილება დარწმუნებად. აქ მსმენელებს შორის, რომლებიც იცვლიან თავიანთ შეფასებას, განსხვავება იქნება დამთმობლობის ხარისხში.

2. სოციალური განწყობა და ღირებულება. სოციალური განწყობის და ღირებულების ერთმანეთისაგან განსხვავების ორი მიდგომაა ცნობილი:

1. სადაც ღირებულებას განიხილავენ უფრო ფართე ცნებად, ვიდრე სოციალური განწყობილებაა. ოლბორტი საილუსტრაციოდ იყენებს ოთხი ცნების ურთიერთ შედარებას — საზოგადოებრივი აზრი, სოციალური განწყობა, ინტერესი და ღირებულება. მისი აზრით, ეს ოთხი ცნება განიხილება უფრო კონკრეტულიდან უფრო ზოგადისაკენ ერთი კონტინიუმის თანმიმდევარ წერტილებად.

2. სადაც ღირებულება განიხილება სოციალური განწყობის კომპონენტებად. ამ მიდგომაში გარკვეული მოვლენის მიმართ ს. გ. გააზრებულია ღირებულების ვალენტობის (პოზიტიური ან ნეგატიური) კომპოზიტად, თუ რამდენადაა ინდივიდის მიერ აღქმული მისი პოზიტიური ან ნეგატიური ინსტრუმენტალურობა.

3. სოციალური განწყობა და საზოგადოებრივი აზრი. სოციალური განწყობის საზოგადოებრივი აზრისაგან განსხვავების საკითხს შედარებით მეტი ყურადღება დაუთმეს მკვლევარებმა. ჰოვლენდა, იანისი და კელი ვარაუდობენ, რომ ს. გ. გამოვიყენოთ ზოგადი ორიენტაციის აღსანიშნავად და საზოგადოებრივი აზრი კი მისი (ორიენტაციის) სპეციფიკური გამოვლინებისათვის. ტურსტონი თვლის, რომ საზოგადოებრივი აზრი არის დაფარული აზრის გამოხატვის ფორმა. ასეთი დაფარული აზრის აღსანიშნავად ჩვეულებრივ გამოიყენება ისეთი ცნებები როგორც ცენტრალური, ლატენტური, ჰიპოტეტური, არაცნობიერი და ა. შ.. ზოგი საზოგადოებრივი

აზრს, რწმენასა და ს. გ.-ას ერთმანეთისაგან განასხვავებს სწორედ ცენტრალურობის ხარისხის მიხედვით. ზოგი (მაგ. სტრაუსი) საზოგადოებრივ აზრს განიხილავს დამოკიდებულ ცვლადად, ხოლო ს. გ.-ას შუალედურად. ბოგარდესმა კი საზოგადოებრივი აზრი უწოდა ცნობიერ (ე. ი. რაციონალურ) ასპექტს, ხოლო ს. გ. მის არაცნობიერ (და ალბათ ირაციონალურ) ასპექტს.

დეუტმისა და ჯერარდის აზრით საზოგადოებრივ აზრსა და ს. გ.-ას შორის განსხვავებას ქმნის ის, თუ რას ეხებიან ისინი, ინფორმატიულ მასალას თუ ნორმატიულს. ასე მაგ. რწმენა იმისა, თუ ვინ დაწერა ესა თუ ის პოემა, იქნება აზრი, მაგრამ ამ პოემის ღირსების რწმენა იქნება სოციალური განწყობა.

